სპეციალური ნომერი 2023

მასწავლებელი

26 მაისი მასწავლებლისთვის

განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

ISSN 1987-6149

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:
„განმავითარებელი შეფასება სასწავლო პროცესში“



სპეციალური ნომერი, 2023

მასწავლებელი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
ნათია როსტიაშვილი,
თამთა დოლიძე,
სოფიო კუბლაშვილი,
თამარ ესიტაშვილი,
მიშა ბახსოლიანი,
დიანა ანფიმიადი,
შორენა ძამუკაშვილი,
ნათია გოგიჩაიშვილი,
მაკა ცხვედიანი,
ნინო ქადაგიძე

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი,
ზურაბ ანჯაფარიძის I შესახვევი N6,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი:
FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე.
ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 / 8-374

WWW.TPDC.GE

სარჩევი

ნათია როსტიაშვილი
2 ფუტკარი ბარამბოს ტოტზე

თამთა დოლიძე
6 ამ ომში არავინ დაბერდება

სოფიო კუბლაშვილი
11 მესამე მე

თამარ ესიტაშვილი
18 მზის სხივები ღრუბლებს უკან

მიშა ბახსოლიანი
22 ხეზე ასვლა

დიანა ანფიმიადი
26 მფარველი ანგელოზი

შორენა ძამუკაშვილი
29 ნეტავ ისევ გვყავდეს დამსწრე!

ნათია გოგიჩაიშვილი
34 ხი თუ არა?

მაკა ცხვედიანი
40 დაჯექი, აღბერტ!

ნინო ქადაგიძე
44 ანიკო მასწავლებელი

ნათია როსტიაშვილი

ფუტკარი ბარამბოს ტოტზე

სიჩუმის ეს ხორკლიანი სახეობა ბავშვობიდან მძულს.

თითქოს ხმას არავინ იღებს, მაგრამ მხარზე თითის წვერებით შეხება, ამოსუნთქვა, შემჭკნარ ყვავილს უცებ ჩამომძვრალი ფურცელი რაღაც მოგუდულ, ხორკლიან რხევებს აჩენს ჰაერში, ყურის აპკზე მაწვება და მტკენს.

ყველა, ვინც ოთახშია, თაიგულებს შორის უადგილოდ გამოჩხერილ ბარამბოს ტოტს მისჩერებია გაოცებული. რომც არ დამენახა, ვინ მოიტანა, მაინც მივხვდებოდი. მარტო დოდიკოს შეუძლია, მკვდარი მეგობრისთვის სოფლიდან ქალაქში ბარამბოს ტოტი ჩამოიტანოს, ზედ ფურცლის ნაგლეჯი მიამაგროს ტექსტით: „ყველაზე ძვირფას ნაზის!“ და შავ არშიამოვლებულ გვირგვინებს შორის კმაყოფილმა „დააადგილოს“.

ნაზის გაცემულ რჩევებში ბარამბოს „ლუმინალის“ ადგილი ეკავა. კუჭი გაწუხებს? ბარამბო უებარია! ნევროზი გიშლის ნერვებს? აჰ, რა თქმა უნდა, ბარამბო! ჰიპერტონია? ასთმა? რევმატიზმი? ბარამბო, ბარამბოოო!

დოდიკო, ამ შავი შალით შეფუთული ჭაღარა თავით, ისეთ ბავშვურად გულუბრყვილო აზრებს დაატარებს, არ გამიკვირდება, სადღაც იმის იმედიც ჰქონდეს, რომ ყოვლისშემძლე ბარამბოს ადამიანის სიკვდილისგან განკურნებაც შეუძლია.

ტოტს ვაკვირდები. არ მეჩვენება, ბარამბოს ფოთოლზე ფუტკარი ზის და თავს ირწევს არხეინად, თავისი წვლილი შეაქვს ამ მოგუდული სიჩუმის ქსოვაში. თითქოს წარსულიდან ნაზის არაერთხელ ნათქვამი ფრაზის ვიბრაციაც გამოიხმო და რიტმში აიყოლია: „ბა-რამ... ბო-სი... გი-ჟემ... დე-უყ... ვართ-ფუტ... კრე-ებს“.

ფუტკარი ირწევა, ბარამბოს ფოთოლს მტვერივით სცვივა სურნელი, წრეზე მოსიარულე ხალხი მანტრასავით იმეორებს: „ვიზიარებ, ვიზიარებ, ვიზიარებ...“ ეს ყველაფერი ნელ-ნელა მაჰიპნოზებს, სიმშვიდისკენ მექაჩება, სიმშვიდის იმ უიშვიათეს სახეობაში მითრევს, რომელიც სრულიად ულოგიკოდ მოდის ზუსტად მაშინ, როცა ყველაზე ცუდად ხარ.

ბიოლოგიის მასწავლებლისთვის ერთგვარი პროფესიული ჩვევა იყო – ნაზისთვის ყველა და ყველაფერი სახეობებად იყოფოდა. ეს ჩვევა მეც გადმომდო. მე და ლუკას ოდესმე შვილი თუ გვეყოლება, სიკვდილის წინ მოვიხმობ და საგვარეულო ბეჭდის ნაცვლად, ადამიანებისა და შეგრძნებების სახეობებად დახარისხების ბაჯაღლო ნიჭს გადავცემ.

– დედი, შენი ცოლი ძალიან იშვიათი სახეობის ადამიანია, – ლუკას უთხრა ერთხელ ნაზიმ, – ძალიან უნდა გაუფრთხილდე, ძალიან! ჩათვალე, „წითელი წიგნის“ მცველი ხარ და გევალება.

– აუუუუუ! – „უ“ უსაშველოდ გაწელა ლუკამ. – რა „წითელი წიგნის მცველი“, რეებს იგონებ, ქალო?!

არასდროს უთქვამს, მაგრამ ვგრძნობდი, შვილისგან ნათქვამი „ქალო“ ძალიან სწყინდა. ეს თითქოს უწყინარი მიმართვა რაღაც ძალიან სათუთს უჭკნობდა გულის ქოთანში.

ადამიანი თავის სახელს ასე ჰგავდეს, სხვა არც არავინ ვიცი. რაღაცნაირი საფრთხილო იყო, მსხვრევადი, მაგრამ რაკი ღმერთმა მის შესაქმნელ მასალად შუშა კი არა, ხორცი ჩაიფიქრა, როგორღაც გადაურჩა ნამცეცებად ჩამოშლას. აქამდე გადაურჩა, თორემ ახლა...

დოდიკო ამოწითლებული თვალებით მომიჯდა გვერდით. თავზე მოხვეული შავი შარფი შეისწორა და ჩამჩურჩულა:

– დედასავით გყავდა ცხონებული... რამდენჯერ უთქვამს ჩემთვის: „დოდიკო, ქალიშვილი შევიძინე! დრო რომ მომივა, ვიცი, ცრემლით დამშვიდობებას არ დამამადლის!“

იქნებ ოდესმე რამე ამდაგვარი მართლაც უთხრა ნაზიმ, მაგრამ მე მაინც მგონია, ჩემი უხმო, უცრემლო ჭირისუფლობით გულნატკენმა დოდიკომ ძალა მოიკრიბა, საკუთარ თავში ეშმაკობის ძლივს შესამჩნევი პაწაწინა ნამცეცები წამოფხიკა, შეაკოწიწა და გამოგონილი ტექსტით მიმანიშნა, რომ დროა, რამე დავატირო დედამთილს, რომელიც დედაც იყო ჩემთვის, მეგობარიც, მაგრამ რა ვქნა, არ შემიძლია. თითქოს ჩემი ქცევის მართვის პულტი მე არ მეკუთვნის, სადღაც გდია ელემენტდამჯდარი და დოდიკო ხან ერთ ღილაკს დააწვება, ხან მეორეს – ვერაფერი.

მე და ლუკა რომ დავქორწინდით, პირველი, ვინც მოსალოცად მოვიდა, დოდიკო იყო. გავაღეთ კარი და დგას ზღურბლთან ფუმფულა, წითელლოყება, გულწრფელი სიხარულით გაბადრული დოდიკო. ხელში თავისი ბოსტნის ქლიავით, ბადრიჯნით, კიტრითა და კარტოფილით გამოტენილი დიდი შავი ჩანთა უჭირავს და, რაც მთავარია, ამ ჩანთის გაქლეტილ სახელურზე თეთრი, კარგად გახამებული უგრძესი მაქმანი აქვს ბაფთად გამონასკვული.

– წუხელ მომაფიქრდა. შენახული მქონდა, ახალგაზრდობის დროინდელი. გავრეცხე, „კრახმალში“ ამოვავლე, გავაკოხტავე. ასე გაბაფთული ჩანთა ხომ უფრო საზეიმოა, არა? ხომ უფრო ეტყობა, რომ საქორწინო საჩუქარია?! – რიტორიკულად გვკითხა საკუთარი იდეით ბავშვივით აღფრთოვანებულმა და მერეღა შემოვიდა, მოგვილოცა.

დღემდე მახსოვს ნაზის უცნაური რეაქცია: ბავშვობის მეგობრის დანახვაზე თვალები კი გაუბრწყინდა, მაგრამ კი არ მიეგება, უკან დაიხია, თვალები დახუჭა და იდგა ეგრე, სუნთქვაშეკრული.

საღამოს, ძილისწინა რიტუალს, ქოთნის ყვავილებთან ლაპარაკს რომ მორჩა, დამიძახა.

– დეა, მოდი, ვიცი, გაინტერესებს... ემოცია, დოდიკოს დანახვისას რომ გამიჩნდა, ისეთი იშვიათი სახეობისაა, როგორც, მაგალითად, ceroid cacti ჯგუფის ერთი კაქტუსი. კაქტუსის ეს სახეობა მთელ წელში მხოლოდ ერთი ღამით იშლება. თუ ვერ მიუსწარი და დატკბი, მორჩა! დილისთვის უკვე დამჭკნარი დაგხვდება. ჰოდა, მინდოდა, ჩანთაზე მაქმანგამობაფთული, ბედნიერი დოდიკოს დანახვით გაჩენილი ემოციისთვის ჩამევლო, ჩემში შემეკავებინა, გამეხანგრძლივებინა, ბოლომდე შემეგრძნო. ეგეთი კადრი მეტჯერ ხომ აღარ განმეორდება, არა?

მოგუდული სიჩუმისგან ჩამოქსოვილი ჰაერის ფარდა უცებ აფრიალდა, გამოვფხიზლდი. ვხედავ, ლუკა დგას კარის ზღურბლთან. თვალები აქვს დაჭყეტილი და ისეთი არაბუნებრივად თეთრი ფერი ადევს, რა დროს ესაა, მაგრამ გონებაში უნებურად ვაგებ წინადადებას: „და ჰა, განეძარცვა მას ყოველი ფერი ძეხორციელისა“.

შენელებულ კადრად ვხედავ, ლუკამ ხალხი მისწი-მოსწია, თან თვალს არ მაცილებს, მოიწევს დაფეთებული და უცებ მივხვდი, მე კი არა, ნაზის ფეხებთან მიწვენილ ბარამბოს ტოტს მისჩერებია, ფუტკარი დაინახა და მექანიკურად გამოექანა, რომ აუქშიოს. ნაზის ალერგია ჰქონდა ფუტკრის ნაკბენზე და საკუთარი ცხოვრების ყველაზე დიდ ტრაგედიად ოჯახის დანგრევა კი არა, ეს ალერგიულობა მიაჩნდა, რაკი ბუნებაზე ყურებამდე შეყვარებულ ბიოლოგს არ შეეძლო, როგორც თვითონ იტყოდა, „ამ გამრჯე მწერებს ჯეროვნად მოსიყვარულებოდა“.

ლუკას თვალებს ვუქაჩავ, ნაზიზე ვანიშნებ. ისიც მიქაჩავს და ფუტკარზე მანიშნებს. ვცდილობ, თვალებითვე ვუთხრა, რომ ლუკ, აღარაა ადამიანი ცოცხალი, ფუტკრის ნაკბენი ნაზის უკვე აღარ გაუსივდება, დამშვიდდი! თან ფუტკარმაც არა მგონია, იმ მკვდარი ქალის კბენა იკადროს, მოსწავლეებთან ლამის დედაშვილური სიყვარულით რომ საუბრობდა მის მოდგმაზე.

ლუკამ ყველაფერი გაიგო და აყვირებული თვალები უცებ ჩაიჩუმა. თითქოს ახლა, ამ წამს, ნაზის სახლში ყოფნის ამ ბოლო წუთებშიღა მიხვდა, რომ მორჩა, დასრულდა დედამისი, აღარაა.

ნაზი ჩემი და ლუკას დამრიგებელი იყო სკოლაში. ერთხელ გავბედე და ვუთხარი: მას, მიყვარს, მცენარეებზე რომ გვიყვებით, თითქოს თქვენი მოყოლილი მცენარეები უფრო ჯადოსნურები არიან, ვიდრე ჩვენი დანახულები-მეთქი, და ისე გაუხარდა! იმის მერე სულ ცდილობდა, „მწიკვი“ ჯადოქრობა ყოველ გაკვეთილში გამოერია. გაკვეთილის ახსნის მანერაც კი შეეცვალა. ერთხელ, მაგალითად, ისეთი ფრაზა თქვა, ისეთი თეატრალურობა ჩააქსოვა, მთელ კლასს გაეცინა, ლუკასაც. მაგრამ რაკი ნაზი ახსნისას მხოლოდ მე მიყურებდა და მე კიდე არც გამღიმებია, დანარჩენების გაცინება თუ ჩაცინება არ შეუნიშნავს (მადლობა ღმერთს!). ფრაზა კი ასეთი იყო:

–...და ეს სიცოცხლით სავსე თესლი უცებ – ჰოოოპ! ამოღვივდება, სასწაულებრივად ამოყოფს თავს შავი მიწიდან. პატარა, თავწვეტა გნომივით!

ახლა ვფიქრობ, ამ „თავწვეტა გნომივით“-ზე რანაირად არ გამეცინა, მაინც რანაირი უგერგილო ბავშვი ვიყავი?!

მერე, უკვე რძალი რომ დამერქვა, სიცხიანი ვიწექი ნაზის ტახტზე და ვთხოვე, ყველაზე ჯადოსნურ მცენარეზე მომიყევი-მეთქი.

– ოჰ, დეა, რომ იცოდე, როგორი ჯადოსნური მცენარეა მისი უდიდებულესობა ნეპენტესი! ბერძნულიდან ითარგმნება, როგორც „არავითარი მწუხარება“. ne – არავითარი, penthos – მწუხარება. დოქის ფორმა აქვს და ამ „დოქში“ ეშმაკურად იზიდავს ცოცხალ ორგანიზმებს, შიგ გამოკეტავს და მათით იკვებება. ასეთია ნეპენტესის ბუნება, მაგრამ რა ქნა ერთმა საოცარმა სახეობამ? ვერ გამოიცნობ! უარი თქვა ცოცხალი ორგანიზმით კვებაზე და ფოთლებიჭამიად გადაიქცა! წარმოგიდგენია? ხომაა წარმოუდგენელი ჯადოქრობა?

არადა, ნეპენტესზე მეტი ჯადოქრობა თვითონ აქვს ჩადენილი. საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, კვამლი ხორცად როგორ გადააქცია.

მშობელთა კრება იწყებოდა. საკლასო ოთახთან ჩემი კლასელების გაპრანჭული, მზამზარეული ბედნიერებისგან ცხოვრებააფუებული დედები იდგნენ. დავინახე, როგორ ფეხათრევით, კვამლივით ზანტად მიიზლაზნებოდა მათკენ ნახევრად გამჭვირვალე, ნახევრად ნაცრისფერი ბებიაჩემი. ღია კარში ისე შეცურდა, ვე-

რავინ შეამჩნია. მახსოვს, გავიფიქრე, რომ ასე ლანდივით გალეულ ადამიანს არც ჩაკეტილ კარში გაუჭირდებოდა გავლა.

კრებაზე კვამლად შევიდა და იქიდან ადამიანად გამოვიდა.

– ბები... მადლობაო, იმან... ნაზიმ, – იქვე ჩამჩურჩულა თვალებგაბრწყინებულმა, – მადლობას გიხდით კარგი შვილიშვილის გაზრდისთვისო!

ასეთი ბედნიერი მეტჯერ აღარც მინახავს ბებიაჩემი.

კი, ნაზი ჯადოქარი იყო. მასწავლებლის ის იშვიათი, ჯადოსნური სახეობა, რომელმაც გარიყული, ჩაკეტილობის გამო ოროსანი (ვიცოდი და მოყოლას ვერ ვბედავდი) ბავშვი საუკეთესო მოსწავლედ აქცია! ყოველდღე, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, დამსვამდა ცარიელ კლასში, ამოალაგებდა სახლში გამომცხვარ კექსს, ქილით – მურაბას და „მაიძულებდა“, ერთად გვეჭამა, გველაპარაკა, გვეცინა. ხან ლუკასაც შემოიყვანდა ხოლმე და მთხოვდა: „დეა, მგონი, ლუკა მათემატიკაში ვერ გაერკვა, მიდი, აუხსენი, რაა. შენსავით კარგად ვერავინ გაიგებდა ახალ მასალას“.

ნელ-ნელა გაკვეთილების მთელი კლასის წინაშე მოყოლაც გავბედე, მასწავლებლებმაც ამაძრეს თავიანთი მოწებებული იარლიყები: „თვალებიანი კუნძი“ და „უსიცოცხლო“. ბავშვებსაც გაუჩნდათ ჩემთან დამეგობრების სურვილი. ჩემი თავდაჯერებულობის აქამდე ვერაფრით გაღვივებულმა თესლმა ერთმანეთის მიყოლებით ამოყარა ნედლი ყლორტები. უკვე აღარ ვფიქრობდი, რომ რაკი დედამ ღრმა ბავშვობაში მიმატოვა, რაკი გრაფაში „მამის სამუშაო სტაჟი“ მხოლოდ „ლოთობა“ შეიძლებოდა ჩაწერილიყო, რახან ქრონიკულად გადაქლეტილი ფეხსაცმლით დავდიოდი და ბებიაჩემი კიდე კვამლს ჰგავდა, არ ვიყავი ღირსი, ადამიანები თანასწორივით მომქცეოდნენ.

ნაზისთან სკოლის დამთავრების მერეც ვმეგობრობდი. ამ სახლში ამოვდიოდი ხოლმე სტუმრად, ამ მისაღებ ოთახში ვსხდებოდით. ახლა რომ წევს, ზუსტად აქ, ოთახის შუაგულში, კუბოს ნაცვლად, ხის მრგვალი მაგიდა იდგა. როცა გამხმარი ყვავილების ჩაის ვსვამდით, კედლის იმ სარკეში ვიყურებოდი, ახლა ჩემ ზურგსუკან თეთრი ნაჭერი რომ აქვს ჩამოფარებული, ვიღიმოდი და მიკვირდა: აი, რანაირად ვჩანდი ნაზის სარკეში გაცილებით ლამაზი, ვიდრე ჩემი სახლისაში? მერე და მერე, მე და ლუკა რომ დავახლოვდით, ამ სარკეში ჩახედვა აღარ მჭირდებოდა თავის გასამხნევებლად, ჩემი სათქმელი ლუკამ გადაიბარა: „რა ლამაზი ხარ, დეა!“ ახლა ვერ ვიხსენებ, ნეტა მაგ პერიოდში როგორ მიმართავდა დედამისს, მაშინაც „ქალო“-თი?

პირდაპირ არასდროს უთქვამს, მაგრამ სულ ვგრძნობდი: ლუკას ნათქვამი „ქალო“ რომ ხიჭვივით ჩაესობოდა, იმ ხიჭვის ამოღება ჩემს ნათქვამ „დედას“ შეეძლო, მაგრამ ნაზიმაც იცოდა და მეც, რომ ძნელი იყო ჩემთვის, ლამის შეუძლებელიც, სათქმელი სიტყვისთვის ამ მარტივად დასალაგებელი ასოთშეთანხმების ფორმა მიმეცა.

ხალხმა საათზე დახედვას მოუხშირა, თვალს ჩემკენ აპარებენ. როგორც ჩანს, უკვე დროა...

სიჩუმის ეს საზიზღარი, დამხორკლავი სახეობა ახლა, ნაზის სახლში ყოფნის ბოლო წუთებში, კიდევ უფრო აუტანელი გახდა. არ ვინძრევი, მაგრამ ამ სიჩუმის დაშვებით თუ ხელშეწყობით თითქოს უკვე რაღაც უპატიებელს ვაკეთებ. თითქოს ჩემზეა დამოკიდებული, სიჩუმის ეს საძაგელი სახეობა აქ, პირდაპირ ჩემ ცხვირწინ, ჭერის ყველა კუთხიდან გადმობიბინდება, ამ დღის სამყოფი მოგონების ყველა მტკაველს ხვიარასავით მოედება, ყველა ნივთს გადაუვლის, ფანჯრიდან გადაეფინება და მთელ სამყაროს დაფარავს, თუ ძირფესვიანად ამოვძირკვავ აქ და ახლა და დინოზავრივით სამუდამოდ გადაშენდება.

ღმერთო, რატომ გამჭვირვალეს არ ხდი მგლოვიარე ადამიანის ხორცს, რომ გული და გონება გამოუჩნდეს? რატომ სჭირდება ხალხს, ხელი ჩაიყო სულში, თავი ამოიტრიალო და სანახაობა აჩვენო, შენი მკვდრის სიყვარული დაუმტკიცო? იქნებ იმიტომ, რომ სინამდვილეში მგლოვიარესაც აწუხებს ეს სიმუნჯე და ასე ეხმარები, ხალხის „შიშით“ მაინც ამოიღოს ხმა, შიგნიდან ტკივილი ამოიწუროს, უკან ჩაბრუნებული ემოციისგან გათავისუფლდეს?

ალბათ ნევროზის ახალი სახეობაა: ენას ვერ ვამოძრავებ და თვალებს ვერ ვაჩერებ, სწრაფ-სწრაფად დახტიან ერთი გვირგვინის წარწერიდან მეორეზე:

„უსაყვარლეს ნაზი მასწავლებელს მოსწავლეებისგან“

„თანამშრომლებისგან“

„მეზობლებისგან“

„ყველაზე ძვირფას ნაზის!“

გამომშრალ ტუჩებს ძლივს ვახლეჩ ერთმანეთს. თითქოს ხორბალს ეკალი არ აქვს, არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ პირში მოგროვილი ხორბლის მარცვლისოდენა ასოები ენაზე მჩხვლეტენ, ვერ ვალაგებ საჭირო მწყობრში.

დოდიკო ზის ჩემ პირდაპირ. ნაზის აქეთ – მე, ნაზის იქით – დოდიკო და თვალებით ისეთ იმპულსებს მიგზავნის, გამომშრალ ტუჩებზე ნესტს მიბრუნებს, ენის ნარ-ეკალს უცებ-უცებ კაფავს და სიტყვის ხორბალიც ღვივდება:

– მადლობა ყველაფრისთვის, შეხვედრამდე, დე.

რაღაცნაირი, ხიჭვებიანი ხმით ვამბობ და რომ ნამდვილად ვთქვი, ამას დოდიკოს თვალები მარწმუნებს. დოდიკოს თვალებიდან წამით, სულ ერთი წამით ნაზი მიყურებს ისეთი სიყვარულით, სიყვარულის ისეთი იშვიათი სახეობით, რომ ღრიალი მინდა. ვღრიალებ კიდეც. ოღონდ ვერასდროს ვერავისთან შევძლებ ვაღიარო, ვერ შევძლებ ავხსნა, რომ ეს ღრიალი სიხარულისაა. რომ დიახ! მე ის ჯადოსნური ნეპენტესი ვარ, უარს ვამბობ მწუხარების აღქმაზე! ჩემს თავში, როგორც დოქში, მკვდარი სხეულის დარდს კი არა, სიყვარულს ვიტოვებ საკვებად და იმ სიხარულის ფოთლებს, რომელიც ამ ორი ასო-ბგერის თქმამ დაბადა ჩვენთვის, ცოცხალი და მკვდარი ადამიანისთვის ერთდროულად. რომ ეს კიდევ უფრო იშვიათი სახეობის სიხარულია, ვიდრე მთელ წელს მხოლოდ ერთი ღამით გაყვავილებული კაქტუსის საკრალურობა.

„ადამიანი ერთხელ იბადება და ერთხელ კვდება“, – ნაზი ამბობდა ხოლმე, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ნაზის სახეობის ადამიანი „მრავალწლოვანი მცენარეა“. ოდესმე სხვა ფორმით, სხვა სახით, სხვა განზომილების მორგებით აუცილებლად ამოღვივდება, სასწაულებრივად ამოყოფს თავს შავი მიწიდან პატარა, თავწვეტა გნომივით და მხოლოდ ბარამბოს ტოტზე დარწეული ფუტკრის სმენისთვის სამყოფ სიხშირეზე იტყვის:

– ჰოოოპ!

თამთა ღოღიძე

ამ ომში არავინ დაბერდება

ის მხოლოდ ერთხელ დამესიზმრა...

სახის ნაკვთები დიდი ხანია, დრომ წაშალა, სამაგიეროდ, ახლაც კარგად მახსოვს მისი წაბლისფერი, გრძელი და ხშირი კულულები, ხავერდის შინდისფერი კაბა ატლასის თეთრი საყელოთი და ლაკის შავი, ტბის ზედაპირივით ლაპლაპა ფეხსაცმელი. XX საუკუნის 90-იანი წლების თბილისი რომ პატარა გოგო ყოფილიყო, სწორედ ასეთი იქნებოდა – ტომარასავით მუცელგამობერილ ხავერდის კაბასა და მოუხერხებელ, მაგრამ ავი თვალის დასაბრმავებლად იდეალურ ლაკის უქუსლო ფეხსაცმელში ჩაჭედილი ბავშვი, საგანგებოდ რომ გამოაწყვეს და წინკარში სტუმრების დასახვედრად დააყენეს, სტუმრებს კი ძალიან, ძალიან დააგვიანდათ.

– ფრთხილად იარე, არავის გამოელაპარაკო, სკოლიდან მუსიკაზე და მერე ეგრევე სახლში! – ჩვეულებისამებრ მომაძახა დედამ.

– კაი რა, ხომ იცი, ბავშვებს და უიარაღოებს არ ესვრიან! – გავძახე თითქოს დამშვიდების მიზნით.

– უკვე დაგავიწყდა, ამასწინათ ტყვიას ძლივს რომ შემოასწარი სახლში? – ფანჯრიდან თავი გამოყო და სიტყვებს ცრემლით და საყვედურით სავსე თვალები გამოაყოლა.

მინდოდა შევპასუხებოდი, ის ტყვია ხომ ჩვენი თუთის ხეს მოხვდა-მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე. ფანჯარასთან მივირბინე, ფეხის წვერებზე ავიწიე და აცრემლებულ დედას ორივე ლოყაზე ვაკოცე, მერე კი დამარცვლით გავუმეორე: „ფრთხი-ლად ვიქ-ნე-ბი!“ და სკოლისაკენ დავეშვი.

როცა ბაბუაჩემმა ეს სახლი იყიდა, ულოცავდნენ: „ვაა, რა მაგარი ადგილია, ბიჭო, ორი წუთი და რუსთაველზე ხარ!“ მართლა ორი წუთი მჭირდება, სანამ ქვაფენილიან აღმართს ჩავირბენ და გამოჩნდება ნატყვიარი, გადამწვარი შენობები, დახეთქილი ასფალტი, ტროტუარს ალაგ-ალაგ შერჩენილი ქვაფენილი და მიწიდან ფესვებამოყრილი ჭადრები (ამათაც გაქცევა უნდათ, მაგრამ ვინ უშვებს?!). დილის ბინდბუნდში მეჩვენება, რომ ქუჩაში ჩემ გარდა არავინაა, ან იქნებ მართლა არავინაა... სროლის ხმაც არ ისმის. მალე ოპერასთან მივალ, კიდევ ერთ დაღმართს ჩავირბენ და სკოლაც გამოჩნდება. რაღაცნაირად უჩვეულო სიჩუმეა, მხოლოდ საკუთარი გულისცემისა და ნაბიჯების ხმა მესმის. სკოლის ზარი რეკავს. ტფუი, დამაგვიანდა! დღეს აშკარად ვეღარ ავცდები მარინა მასწის დამმუნათებელ ლექციას დისციპლინისა და პუნქტუალობის შესახებ.

შეიარაღებული კაცებით სავსე ქალაქში ისე მოვახერხე ცხოვრება, რომ ახლოდან არცერთი მათგანი არ მინახავს, თუ არ ჩავთვლით ბიძაჩემს, რომელიც ომის დაწყებამდე სანადიროდ ძალიან ხშირად დადიოდა. დღესაც არ ვიცი, მართლა უყვარდა ნადირობა თუ სამამულო ომში დაკარგული ბაბუის პატივსაცემად დასდევდა მწყერსა და კურდღელს ზამთარ-ზაფხულ. აი, მის ძაღლს კი ნადირობა მართლა უყვარდა და კარგადაც გამოსდიოდა. ეს ძაღლიც ნადირობის დროს იპოვა ნასაკირალის ტყეში, პატრონისგან მოძულებული, დარდით და შიმშილით დასუსტებული. წამოიყვანა და სიცოცხლისკენ შემოაბრუნა. ბევრი არ უფიქრია, პაკუსია დაარქვა... აი, სად გამოადგა ბაბუამისის გაკვეთილები.

– ნადირობის დროს მარტო კი არ სროულობ, ბიჯო! – ეტყოდა ხოლმე ღვინოში ჩამბალი პურივით რბილი და მათრობელა, მშობლიური ხმა. – ტყეც უნდა იცოდე და ნადირიც, ზუსტი დროი და ალაგე უნდა შეარჩიო და ისთე დუუდარაჯდე... ჰო, ძაღლი არ დაგავიწ-

ყდეს! მაგასაც უნდა ასწავლო დაგეშვა, კვალის აღება, ნანადირევის მოტანა... რასაც ყურობ ახლა, ამგენს სკოლაში ვერ ისწავლი, უნდა დამაყურო და მდიო კუდში პაკუსიასავით, აპა, რავა გინდა?!

ახლა სანადირო თოფს ვერსად გამოაჩენდი, ან „იმათთან“ ყოფნას დაგაბრალებდნენ, ან – „იმათ“ წინააღმდეგ, გააჩნია, ვინ გაგიჩხრეკდა ბინას. ამიტომ ბიძაჩემმა ბაბუის დანატოვარი ორლულიანი სახელოსნოში, იატაკის ქვეშ სახელდახელოდ გაკეთებულ სამალავში ჩაკეტა, იატაკს ფიცრები დააფარა, ზედ „სტანოკი“ შემოდგა და მამაჩემთან და რამდენიმე ძმაკაცთან ერთად ხის საწოლების, მაგიდებისა და სკამების დამზადება-გაყიდვას მიჰყო ხელი. ხეზე მუშაობა ჩვენს ოჯახს წინაპრებიდან მოსდგამდა. გოდრის ღობვიდან დაწყებული აკვნის გამოთლით დამთავრებული, რას აღარ ჩორკნიდნენ თურმე. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ასეთ არეულ დროში დიდხანს ვინ გაგახარებდა?!

ერთ დღეს ჩვენს ჭიშკარსაც მოადგნენ ისინი, ვინც თოფი ბიძაჩემივით იატაკქვეშ კი არ დამალეს, მხარზე შემოიგდეს და აღმა-დაღმა დაიწყეს სირბილი. თავიდან კი გაგვიკვირდა, რადგან გურიაში მათნაირები იშვიათად ჩამოდიოდნენ, მაგრამ მერე ბიძაჩემი ეჭვობდა, ვიღაცამ უეჭველი „ნაკოლი“ მისცაო. ასე იყო თუ ისე, ჩვენს სახლსაც მოადგნენ და... „სუფრა გაგვიშალეთო, ჩვენო, სამშობლოს ვიცავთო, გვეკუთვნისო! უი, შენ თურმე რა მაგარ რამეებს აკეთებო, ფულიც გექნება და არმიას დაეხმარეო!“ ცომში ხელებჩაყოფილი ბებიაჩემი შვილს თვალებით ემუდარებოდა, არაფერი უთხრა, ფული მიეცი, სუფრასაც გავშლი, ოღონდ მშვიდობით წავიდნენო, მაგრამ... „თუ ჯარისკაცები ხართ და სამშობლოს იცავთ, აქ რა გინდათ, სოხუმის ბილეთი მე აგიღოთო?!“ – ვერ მოუთმენია ბიძაჩემს და გაუქანებია აბაშმაძეების საწოლის თავისთვის გარანდული ფიცარი. ბიძაჩემი მაღალი, ჩაფსკვნილი კაცი გახლდათ, არც მამაჩემს აკლდა სიმაღლე, კუნთები და გამბედაობა... ორი ორზე, ბებიაჩემის კივილი, მეზობლები... „თქვენი მისამართი ხომ ვიცით!“

ჰოდა, გააჩერეს „სტანოკი“ და სამივენი ჩვენთან, თბილისის სახლში ჩამოვიდნენ. მე და დედას თავიდან კი გაგვიხარდა, რადგან ძალიან ძნელი იყო უკაცოდ ყოფნა თბილისში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩვენ ცხვირწინაც გაჩაღდა ომი. მაგრამ მალევე გაგვახსენდა, რომ კაცებს ჯერ კიდევ იბარებდნენ კომისარიატში და ვისაც ეროვნული გვარდია ვერ მიაგნებდა, მხედრიონელები პოულობდნენ. არაა, ისევ კაცების სოფელში ყოფნა გვერჩია, აქ სად დაგვემალა?! მაგრამ ახლა სხვა გზა არ იყო. ის ორი დაბრუნდებოდა, აუცილებლად დაბრუნდებოდა... „ახლა თქვენზე ვნადირობთო! დედას მოგიკლავთო, გაწამებთო!“ აქ მცირე იმედი მაინც იყო. ამხელა ქალაქი, ამდენი ჯარისკაცი, რაღა იმათ გადაეყრებოდნენ?!

ერთ დღესაც ბიძაჩემი ფოსტაში ჩავიდა წერილის გასაგზავნად. მერე გვიყვებოდა, როგორ გადააწყდა იმ ორს ფოსტის შესასვლელთან. კიბის საფეხურზე ისხდნენ, თოფები ლაჯჯებს შუა მოექციათ და „სემიჩკის“ ჩენჩოს იფურთხებოდნენ, ეგრეევე მიცნეს და გამომეკიდნენო. ჯერ იმ უზარმაზარი ბოძებიდან ერთ-ერთს ამოვეფარე, მერე მთელი ძალით შესასვლელისკენ გავიქეცი, როგორღაც შევასწარი, კარს შიგნიდან მოვაწექი და ავღრიალდი; დაცვამ შესასვლელი რომ ჩარაზა, მაშინ ვიგრძენი ტკივილი და გონება დავკარგეო.

სახლში შემოვლითი გზით მოიყვანეს, გაბინტული. საოპერაციოში ვერაფრით შეუყვანიათ და ჭრილობა ზედაპირულად დაუმუშავეს. ტყვია მხარში ჰქონდა ჩარჩენილი, ეს კი იცინოდა – სანადირო თოფი იყო, მაგის ტყვიამ რა უნდა მიყოსო. ვერც ჩვენ დავითანხმეთ – ამ გამყინვარებაში სანთლის შუქის იმედად დარჩენილ საოპერაციოში რომ შემიყვანოთ, სკალპელი მომკლავს, სიცივე თუ ტყვია, რაღა მნიშვნელობა აქვსო. მოკლედ, ის ჭრილობა შეიხორცა და მოგვიანებით აეროპორტის რადარების თავის ტკივილად იქცა.

თბილისში გაჩერება რომ ძალიან საშიში გახდა, ავიკრიფეთ გუდა-ნაბადი და შემოვლითი გზით როგორღაც მეტრომდე ჩავაღწიეთ. მერე კი სადგური, ალალბედად მოსული დენი და მატარებელი, რომელსაც ორი დღე დასჭირდა ოზურგეთამდე, ელექტროენერგიის მიწოდების იმდროინდელი გრაფიკისა და დაჟანგებული რელსების მდგომარეობის გათვალისწინებით. სოფლის სახლში დაბრუნებულებს კარი შემტვრეული დაგვხვდა, სახლი – გაძარცვული, „სტანოკი“ – გაჩოჩებული... იქნებ ბიძაჩემს სულაც იმ თოფიდან ესროლეს, ვინ იცის?!

თურმე ადამიანი ყველაფერს ეჩვევა – სროლის ხმასაც, დაჭრილებსაც, მსხვერპლსაც...

წლების შემდეგ შვილს ბავშვობის სკოლაზე ვუყვებოდი, ნედლად, შეულამაზებლად. მალევე გამაჩერა და გაოცებულმა მკითხა:

– ომში რა დროს სკოლა იყო, რატომ დადიოდით, როგორ არ გეშინოდათ?

– გვეშინოდა, მაგრამ რაღაცნაირად ხომ უნდა გვეცხოვრა? – ვუპასუხე და მაშინვე მივხვდი, რომ ეს არ იყო სწორი პასუხი.

ახლა რომ უკრაინელ გლეხს ჰკითხო, ბომბების წვიმაში ხორბალს რატომ თესავო, ალბათ ასე გიპასუხებს:

– რომ არ დავთესო, მოკვდება.

– რა, რა მოკვდება, მარცვალი?

– არა, იმედი.

სკოლა თავშესაფარია, ბავშვებს არაფერს დაუშავებენო, გვჯეროდა და ცოტა ხნით მაინც ვივიწყებდით ფანჯრებს მიღმა დარჩენილ ქალაქს, ქუჩებში გაჩაღებულ ომს, შიშს და შიმშილს. მუსიკალური სასწავლებელი ხომ მთლად უკაცრიელ კუნძულად გვეჩვენებოდა. ასე გვეგონა, იმ პატარა აღმართზე მხოლოდ მოსწავლე-მასწავლებლები დავდიოდით და კიდევ უბნელები, იქაურები. ზამთარში გაყინულ კლავიშებზე დაკვრა არ გინდოდა?! მაგრამ მაინც, გათოშილ, ალაგ-ალაგ იატაკჩამტვრეულ და კედლებდაბზარულ ოთახებში შეყუჟულები, დედებისა თუ ბებიების ნაქსოვ შალის სვიტერებსა და ჩვენი ქალაქივით ფერგაცრეცილ, ორი-სამი ზომით დიდ ქურთუკებში გამოკრულები, ვცდილობდით, დამზრალი თითებით ფურცელზე დაწერილი ჯადოსნური მელოდიები გაგვეცოცხლებინა და ცოტა ხნით მაინც გადაგვეფარა ხმა, რომელიც შიშის ზარივით რეკდა და ყვავივით თავზე დაგვჩხაოდა: „ფრთხილად იყავით, ფრთხი-ლად!“

როცა ეს ამბავი მოხდა, სიკვდილს უკვე კარგად ვიცნობდი – ბაბუაჩემის მოულოდნელი ავადმყოფობა, დაუმარცხებელი სენი, დასასრული, მერე 9 აპრილი, სამოქალაქო ომი, აფხაზეთი. ძალიან მალე დამთავრდა ბავშვობა...

ანოს დაღუპვის ამბავი მეხივით გავარდა დასეტყვილ ქალაქში. ასე გაიცნო ომით დაბეჩავებულმა, ერთი შეხედვით, სიკვდილს შეგუებულმა თბილისმა პატარა, ხუჭუჭთმიანი გოგო, სულ სცენაზე რომ იდგა ხავერდის შინდისფერი კაბით, თეთრი კოლგოტითა და იმ ყბადაღებული, მოდური ლაკის ფეხსაცმლით. ქალაქმა თითქოს საკუთარი დასასრულის ამბავი გაიგოო, თვალები ცრემლებით დაითხარა და ერთხანს გლოვის სხვა მიზეზი არც მისცემია, იქამდე მაინც, სანამ მის ხრიოკ შემოგარენს აფხაზეთიდან დევნილთა პირველი ტალღა მოაწყდებოდა. მე კი მაშინაც ვერ დავივიწყე პატარა გოგო ყელზე გაბანტული ყურთბალიშითა და სიმებით დასერილი ბუთქუნა თითებით. თან როგორი ჯიუტი იყო?! ახლა მიზანდასახულს რომ ეძახიან, აი, ეგეთი. მოკუმავდა ტუჩებს, წარბებს ქვემოდან გამოხედავდა დარბაზს, შემდეგ სიმებს ხემს ისე ფრთხილად ჩამოუსვამდა, თითქოს სიჩუმეს სკალპელით კვეთსო და ნელ-ნელა, ტანის მსუბუქი რწევით აცოცხლებდა ყველა იმ გრძნობას, რომლის განცდაც ადამიანს შეეძლო – ტკივილსა და სიხარულს, შიშსა და შვებას, აღმაფრენას და სასოწარკვეთას... მისთვის ასე დაკვრა არავის უსწავლებია. მასწავლებელი მართლა კარგი ჰყავდა, რეპერტუარის შერჩევა-გარჩევასა თუ სხვა ტექნიკურ საკითხებში ძალიანაც ეხმარებოდა, მაგრამ კონცერტზე ეს ნასწავლ-ნავარჯიშები სულ სხვანაირად ჟღერდა. ჰოდა, ჩვენთან ერთად მასწავლებელიც გაოცებული შესცქეროდა თავის მოსწავლეს და ხანდახან სუნთქვას ოხვრასავით ამოაყოლებდა: „Magnifique!“

ანოს, სკოლის ჟურნალის მიხედვით კი, ანგელინას, დიდად არ უყვარდა ლაპარაკი და შესვენებებზე თანაკლასელებთან თამაში. იჯდა ამოჩემებულ მერხთან საკლასო ოთახის უკიდურეს კუთხეში და იქ ელოდებოდა მომდევნო გაკვეთილის დაწყებას. ასეთი იყო, გაუთქმელი ამბავივით მიმზიდველი და ამოუცნობი, მაგრამ როცა სიმებზე ხემს ჩამოუსვამდა, ჩვენც ვჩუმდებოდით. მის ვიოლინოს სხვანაირი ხმა ჰქონდა, სხვანაირ ამბებს ჰყვებოდა. სეზონებს, ამინდებს, ტკივილებსა და სიხარულებს ამოალაგებდა და ჩვენც უთქმელად ვხვდებოდით, რატომ არ უნდა დაგვეცინა მისთვის. მერე რა, რომ პუტკუნა ლოყები ჰქონდა და ტკბილეულის ჭამა უყვარდა, ვერც ჩვენსავით სწრაფად დარბოდა და ვერც ასფალტზე დახატულ, დანომრილ კვადრატებში ახვედრებდა კენჭებს, ან თუ მოახვედრებდა, რა აზრი ჰქონდა, ასკინკილით მაინც ვერ შემოივლიდა ცარცით დახატულ ლაბირინთს... მერე რა, რომ სკოლას ხშირად აცდენდა, სამაგიეროდ, მის მსგავსად ვერავინ უკრავდა, მარტო ჩვენს სკოლაში კი არა, ქვეყანაშიც. საერთაშორისო კონკურსებს იგებდა, პატარა ვირტუოზიაო, მოცარტს ასე ვერავინ უკრავსო... რას აღარ ამბობდნენ მასზე. ჰოდა, ჩვენც ვეღარ ველაზღანდარებოდით, ვერც რეზინობანას ვასწავლიდით, ვერც – დახუჭობანას, არადა, როგორ გვინდოდა!

შერმადინის ჯგუფში ანოსთან ერთად მოვხვდი. იმ წელს პირველ სემესტრში ერთი საგანი მქონდა გასავლელი, ვიოლინოსთვის აკომპანემენტი უნდა გამეკეთებინა, ასე ვთქვათ, დუეტში დამეკრა. მე ფორტეპიანოზე ვუკრავდი, ვუკრავდი რა, ვჯახირობდი. სიმართლე თუ გინდათ, წირვა გამოვუყვანე ბახსა თუ ბეთჰოვენს, მოცარტსა და ჰაიდნს. ძალიან კი მრცხვენოდა, მაგრამ რა მექნა?! „არა შეჯდა მწყერი ხესა“-ს ამბავია რა... ჰოდა, შავ დღეში ვარ, ნოტებს ვარჩევ, ვცოდვილობ და ამ დროს ოთახში ანო არ შემოდის?! იქვე გავფუჭდი. კლავიშებს თითები მოვაშორე და შეშინებული მზერა მისკენ გავაპარე. ის კი ჩვეული სიმშვიდით მომიახლოვდა და გამიღიმა, მერე ვიოლინო ყელთან მიიბჯინა, ხემი მოიმარჯვა და ყოველგვარი მისალმება-შესავლის გარეშე, ღვინოში ჩამბალი პურივით რბილი, მშობლიური ხმით მითხრა: „მიდი, დაიწყე!“

იმ წელს მუსიკალური სკოლის ნიშნების ფურცელში პირველად ჩამიწერეს ხუთიანი.

ანო ანგელოზი იყო!

შერმადინი თავისი სახელივით იშვიათი, განსაკუთრებული კაცი გახლდათ. ის ვიოლინოსა და აკომპანემენტის ჯგუფებს ხელმძღვანელობდა. იმ რთულ წლებში მუსლიტერატურის პედაგოგის მოვალეობების შეთავსებაც მოუწია. ამიტომ მის კაბინეტში როიალთან და ნოტების სადგამთან ერთად, პატარა მაგიდაც შემოეტანათ და ზედ დანჯღრეული ფირსაკრავი და ძველი, ადგილ-ადგილ გვარიანად დაკაწრული ფირფიტების გროვა დაეხვავებინათ.

შერმადინი მაღალი, ხმელ-ხმელი კაცი იყო, აპრეხილი ულვაშით, არწივივით მოკაუჭებული ცხვირითა და სქელი, მუდამ დაორთქლილშუშებიანი სათვალით, რომელსაც წამდაუწუმ ჩვრით აპრიალებდა. ერთი შეხედვით, მკაცრ, შეუვალ მზერას ბავშვური ღიმილი ურბილებდა. თითქოს მართლა „ვეფხისტყაოსნიდან“ გადმოვიდაო, მისი წილი საერთგულო საქმით, ულევი ენერგიითა და ბავშვებთან საერთო ენის გამონახვის თანდაყოლილი უნარით. მავანნი იტყვიან, განა რა იყო ასეთიო, მისი წილი სადარაჯო და მოსავლელი – ავარიული შენობის ერთი პატარა ოთახი ყინვისა და შიშისაგან დამზრალი გოგო-ბიჭებით, რომლებიც თავიან წილ ხორბალს აქ, ამ ოთახის კედლებში თესავდნენ და მოსავალიც აქვე მოჰყავდათ. მერე რა, რომ მწირი იყო ეს მოსავალი და მომავალიც – ბუნდოვანი. სხვა მომავალი არც ამ გოგო-ბიჭებს ჰქონდათ და მათი მასწავლებელიც ერთადერთი მეგზური იყო ამ, ერთი შეხედვით, არსაითკენ მიმავალ გზაზე. აბა, ვის აინტერესებდა, ვის სჭირდებოდა ომში მუსიკა, რა სიკეთე უნდა მოეტანა კაცისთვის ასეთ დაუფასებელ შრომას, ხელფასიც არ იყო მაშინ... ნეტა, რით გაჰქონდა თავი?

ჩვენი სკოლის წინ ოთხსართულიანი კორპუსი იდგა. მისი ერთადერთი სადარბაზოს კარი რა ხანია, აღარ იკეტებოდა. შატალოების უმეტესობა სწორედ ამ სახლის სახურავზე გვქონდა გატარებული. შორს წასვლას ვინ გაბედავდა?! თან იმ სიმაღლიდან საკლასო ოთახები ხელისგულივით მოჩანდა. ჰოდა, ჩამოვსხდებოდით ამ სახელდახელო თეატრის „აივანზე“, გაფაციცებით ვუსმენდით ერთმანეთში არეულ, მოუხეშავ ბგერებს, ვაკვირდებოდით შემსრულებელთა ხელების მოძრაობას, ტანის რიტმულ რხევას და ვცდილობდით, რამდენიმე მელოდია ერთმანეთისგან გამოგვერჩია, გამოგვეცნო. ეს სახელდახელო თამაში ფეტვისა და ხორბლის გარჩევას ჰგავდა, კონკიას ჯაფას. ასეთი იყო ჩვენი ბავშვობის ლაიტმოტივი... ერთხელ სახურავზე იარაღიანები შევნიშნეთ. ვიღაცამ თქვა, პერიმეტრს ახლა სახურავებიდანაც აკონტროლებენო და ჩვენც შევეშვით იქ ძრომიალს, ჯარისკაცებთან შეხვედრას მოვერიდეთ.

მე და ანოს აკომპანემენტის გაკვეთილები საღამოობით გვიტარდებოდა. მეცადინეობის დასრულების შემდეგ გამოკეტავდა შერმადინი საკლასო ოთახის კარს და თუ ბინდი მოგვისწრებდა, სახლამდე გვაცილებდა. ანო სკოლასთან ახლოს ცხოვრობდა, ჩემს ქუჩამდე კი რუსთაველის გამზირის პატარა მონაკვეთი უნდა გაგევლო. თითქოს არაფერი, მაგრამ მაშინ, პოლიგონად ქცეულ ქუჩაზე, ამ მხრეებში გაშლილი, უჩვეულოდ ლაღი და საინტერესო მოსაუბრის გვერდით სიარულზე საიმედო არაფერი მეგულებოდა.

შერმადინს კარგი იუმორის გრძნობა ჰქონდა და ფრანგული ფილმები უყვარდა. ხანდახან, დამღლელი დღის დასასრულს, კაბინეტის კარს რომ გამოხურავდა, თვალებს უცნაურად დააჭყეტდა, წინ და უკან თავის რიტმულად ქნევას დაიწყებდა და უეცრად... „პიტი-პიტი-პაა“, – წაიმღერებდა და თან სკოლის ვიწრო დერეფანში ისე ოსტატურად გახტებოდა, თითქოს რომელიღაც ცეკვის ილეთს ასრულებსო. შერმადინის „ცელქობა“ მუდამ სერიოზულ ანოსაც აღიმებდა. მაშინ ლუი დე ფიუნესის შესახებ არაფერი ვიცოდი და სანამ „ადამიანი-ორკესტრის“ რეალურ გამოსახულებას ვნახავდი, ჩემს წარმოსახვაში ის შუახნის აწოწილი, ხმელ-ხმელი კაცი იყო, არწივივით პირქუში მზერით და ბავშვური ღიმილით.

შერმადინმა კომპოზიტორიც ფრანგი შეგვირჩია. ვიცოდი, ანო ყველანაირ სირთულეს დაძლევდა, მაგრამ მან ჩემი არასაიმედო ტექნიკური მონაცემები და სკოლის სავალდებულო ნაწარმოებების სიაც არად ჩააგდო და საკმაოდ საჩოთირო არჩევანი გაკეთა – სანოტო რვეულში საკუთარი ხელით გადაწერილი ოლივიე მესიანის ერთ-ერთი ვარიაცია („თემა და ვარიაციები ვიოლინოსა და ფორტეპიანოსთვის“) მოგვიტანა გასარჩევად. ახლაც ცხადად მახსოვს, როგორ გატაცებით ჰყვებოდა სიყვარულით შთაგონებულ „ფრინველთა ხმების შემგროვებელზე“. ფრთხილად შემოდებდა იმ თავის დანჯღრეულ ფირსაკრავზე, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივ, ღამესავით შავ ფირფიტას და ჩვენი ოთახი შაშვის ჭიკჭიკით ივსებოდა... „ვარიაციებს“ „ფრინველთა კატალოგი“ მოჰყვა, მაგრამ მესიანის შემოქმედების გაცნობა ამით არ დამთავრებულა. შერმადინმა ბოლო ფირფიტას ფირსაკრავის ნემსი ფრთხილად დაადო და... ეს კომპოზიცია („კვარტეტი დროის დასასრულისთვის“) ტყვეობაში ჩავარდნილმა დაწერა მის ხელთ არსებული ინსტრუმენტების გამოყენებითო. ხომ ხედავთ, არც იმ დიდი ომის დროს დავიწყებიათ მუსიკა; მეტიც, ტყვედ ჩავარდნილ კომპოზიტორს ფურცლითა და ფანქრით თავად გერმანელები ამარაგებდნენო. არც თქვენ უნდა გაგინელდეთ მუსიკის სიყვარულიო!.. უცებ ანომ, დიალოგში რომ აქამდე არასდროს ჩართულა, თავი ასწია და თრთოლაშეპარული ხმით დაიჩურჩულა:

– რაც თავი მახსოვს, ისვრიან. ხანდახან მგონია, ეს ომი იმდენ ხანს გაგრძელდება, რომ ჩვენ, ბავშვებიც კი დავბერდებით...

– ამ ომში არავინ დაბერდება! – წამოიძახა ანოს მოულოდნელი გულახდილობით დაბნეულმა შერმადინმა, მაგრამ მგონი, მაშინვე მიხვდა, რომ მისი სიტყვები შეიძლება სულ სხვანაირად გაგვეგო. ამ ე.წ. დაუსრულებელ ომებში ხომ უმეტესად ახალგაზრდები იბრძოდნენ და მათ დიდ ნაწილს დაბერება მართლაც არ „ემუქრებოდა“. ამიტომ თავის ნათქვამს მალევე დაამატა: – აი, ნახავთ, რა სწრაფად დასრულდება ყველაფერი! მანამდე კი მოდით, „ჩვენს“ ვარიაციას კიდევ ერთხელ მოვუსმინოთ, კარგი?

სახურავზე გამხდარი ახალგაზრდა კაცი გაწოლილიყო, მხარზე თოფი მიებჯინა და უმიზნებდა. ღელვა დიდად არ ემჩნეოდა, მაგრამ ხანდახან დაცვარულ შუბლს დაჭმუჭნილი ბენდენით იწმენდდა და გაზაფხულისთვის უჩვეულოდ ჩახჩახა მზეს კაი გვარიანად შეუკურთხებდა ხოლმე: „რამ გადარია ეს შობელძაღლი, ვაახ!“ მალე ყველა თუნუქის ქილას გაარტყა და გაბადრული სახით წამოიმართა. მერე მიზანი უფრო დააშორა და ახლა ფეხზე მდგომმა განაგრძო ვარჯიში. ამ ერთი მსახიობის თეატრს მაყურებელიც ერთი ჰყავდა – თმაშევერცხლილი, ჩია მამაკაცი, რომელსაც იქვე ჩაემუხლა, ღერს ღერზე ეწეოდა და ხანდახან კმაყოფილი ღიმილი გადაჰკრავდა სახეზე. ერთხანს უყურა, უყურა და უცებ შეუღრინა: „ასე ცხვირწინ რომელი მტერი გაგიჩერდება, ბიჭო! ბარემ ლულა ზედ მიადე და ისე ესროლე!.. აი, იმ შაშვს ხომ ხედავ, შენ პირდაპირ, ჭადრის ხეზე რომ შემომჯდარა და გაუჩერებლად ჭიკჭიკებს? თავი ამხადა! ჰოდა, მაგას თუ გაარტყამ, დავიჯერებ, რომ კარგი მონადირე ხარ და სიტყვას შეგაწევ მეთაურთან, მეტი რა გინდა?!“

ახალგაზრდამ გვერდი იცვალა, ქუჩისკენ გაცოცდა, გაწვა, დაუმიზნა, გაისროლა და... „მგონი, გავარტყი, ვა, რა მაგარი ვარ, ბიჭოო!“ – ისე აღრიალდა, თითქოს აქამდე სანადიროდ არავინ წასულა, თითქოს ჩიტი არავის მოუკლავს ამ პატარა, უმიზეზოდ ბედნიერი შაშვივით აჭიკჭიკებულ გაზაფხულისპირზე. მაგრამ მალე სიტყვა გაუწყდა, წამოდგა და თვალი გაუშტერა ტოტს, რომელზეც ამ რამდენიმე წამის წინ ის ოხერი შაშვი იჯდა. ახლაღა შეამჩნია ამ ტოტის წინ გამოღებული ფანჯარა, ფანჯარაში კი – ჩაჩოქილი შუახნის მამაკაცი, რომელსაც ხუჭუჭთმიანი გოგონა გულში ჩაეკრა და ყელიდან ყმუილის მსგავსი, განწირული ხმა ამოსდიოდა.

რუსეთი რომ უკრაინას დაესხა თავს, ჩვენი ოჯახი ისევ შუაგულ ომში აღმოჩნდა. მრავალგზის ნაომარი, მავთულხლართებით შემოღობილი სამშობლოდან უკრაინაში გადასახლებული ბიძაჩემი, აი ის, თავის წილ ტყვიას ზურგით რომ ატარებდა, ახლა მეზობელ ქვეყანაში უნდა დამალვოდა მისთვის ასე კარგად ნაცნობ მტერს...

ანო ყველაზე დიდი შიშის ღამეს დამესიზმრა. მაშინ სადღაც, გულის პატარა კუნჭულში ჯერ კიდევ კიაფობდა იმედი, რომ მშვიდობიან მოსახლეობას არ დაბომბავდნენ, თეატრის წინ სახელდახელო წარწერა „ბავშვები“ მაინც შეაჩერებდათ... და მე ძილსა და ღვიძილს შორის გამოჭერილ წამში ანო დამესიზმრა. ჩვენ ისევ პატარა გოგოები ვიყავით და სკოლის სცენაზე ვიდექით. ანოს ის თავისი განუყრელი შინდისფერი კაბა ეცვა, მე კი ხელები ისევ ისე მიკანკალებდა, როგორც ბევრი წლის წინ, იმ უჩვეულო გამოცდის წარმატებით ჩაბარებისას, მაგრამ როიალს მაინც მივუჯექი და დაკვრა დავიწყე. ანო კი ხემს დირიჟორივით იქნევდა და მეტრონომის ქანქარასავით, ერთ რიტმში, გაუჩერებლად იმეორებდა:

– ამ ომში არავინ დაბერდება!

– ამ ომში არავინ დაბერდება!..

სოფიო კუბლაშვილი

მესამე მე

სოფიო კუბღაშვილი

„არაფერია მზეზე მეტი და მზეზე ცოტა,
შეისხით ფრთები და მიწაში ფრთები გაიდგით“.

გიორგი კეკელიძე

ჩემი საცხოვრებელი კორპუსის სახურავიდან წრიული შენობა ჩანს – სკოლაა. ზემოდან ჩაკეტილ წრედ აღიქმება, მაგრამ ასე არაა! თვალი იტყუება ხოლმე. ამჟამად პედაგოგიურ საქმიანობას სწორედ ამ სკოლაში, ხოლო დღის ბოლო ღერ სიგარეტს სახურავზე ვეწევი. სანამ მჯეროდა ანტიკური სიბრძნისა – მე ის ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი – ვსწავლობდი. როცა მივხვდი, რომ ყოვლისმცოდნეობის მსურველი არასმცოდნედ შევიქნებოდი, სწავლა შევწყვიტე და სწავლებას შევუდექი. მსოფლიოს ისტორიის მასწავლებელი ვარ, რაც საზოგადოების დიდი ჯგუფის სრულუფლებიან წევრობას ნიშნავს და, შესაბამისად, მიკუთვნებულობის მოთხოვნილებაც დაკმაყოფილებული მაქვს. რაღა მანაღვლებს, თამბაქოს კვამლით – ღამის ცას, საკუთარ თავს კი ფიქრებით ნებიერად ვაბოლებ.

მარტო ვცხოვრობ, მაგრამ მარტოობის შინაარსი მაინც გაუგებარია ჩემთვის. ასე იყო მუდამ, იმიტომ რომ ორად დავიბადე. ერთი კი არა, ორი თავი მაქვს, ორი პირი და ორი ცხვირი, ორი გული, ორი შარდის ბუშტი და კუჭი, სქესის განმასხვავებელიც – ორი. ოთხი-ოთხი ფეხი, ხელი, თვალი, ყური. ეს კიდევ არაფერია ორმოც თითთან და სამოცდაოთხ კბილთან შედარებით. ყველაფერთან შეხებაც შემიძლია და თითოეულის შეგრძნებაც. ზოგჯერ ერთად, ზოგჯერ ცალ-ცალკე. უშფოთველი ძილით მოსვენებულს უცაბედად ტანზე არარსებული მოუშუშებელი ჭრილობის გამო ცხელება რომ მემატება, ვიოფლები და ვბორგავ. რთულად შესაგულებელია და უფრო გაჭირვებით ასახსნელი მათთვის, ვინც ჩემს მდგომარეობაში არაა. ვერაფერს შევცვლი, მოცემულობაა ასეთი – ტყუპისცალი ვარ. ასე რომ, იდენტობა იმთავითვე გარკვეული მაქვს, ჩემი სუბიექტური მთლიანობა ტყუპისცალობამ განსაზღვრა.

მოგვიანებით, თვითიდენტიფიციკაციის პროცესში, უცხო ხმა რომ შემომეჭრა მდუმარე მსჯელობაში, ეს ვინღაა-მეთქი, გავიკვირვე და მასზე დაკვირვებას შევუდექი. სასწრაფოდ მინდოდა, მთელ სიცოცხლეს მის ამოცნობას ხომ არ შევალევდი. ამგვარი გასამება აუტანელი რომ გახდა, გასაბრალოებული მზერით გავენდე ლოგიკის ლექტორს და მუდარის ტონით ვკითხე: „გამოსავალი ხომ უნდა არსებობდეს?“ არსებობს კიდეცო, მიპასუხა. თამაშიაო. „ქცევითი სოციოკოგნიციური კავშირების“ სახელითაა ცნობილი ფსიქოლოგიის სამეცნიერო ლიტერატურაში. უფრო პოპულარული ენით, „თავის გამოცნობანა“ შეგხვდებაო. ეჰ, ეგ ერთთავიანებისთვის იქნება, მე რომ სამთავიანი ვარ, თამაშის წესებს როგორ დავიცავ-მეთქი? თანმიმდევრულად მიყევი; სიტუაციას, ქმედებასა და ფიქრს შორის კავშირს როცა დაინახავ, ქულად მიითვალეო. თანხვედრას თუ აცდენას-მეთქი? ორივესო. მე რა სარგებელი-მეთქი? – ვკითხე. უმცირეს ცვლილებასაც შეამჩნევ და მისი გაანალიზებით გადაწყვეტილების მიღებას შეძლებო. სწორი იქნება-მეთქი... იგრძნობო. ეჭვის მზერით შევხედე. მან თვალი ჩამიკრა, მხრები აიჩეჩა და ქვედა ტუჩი გამობურცა – გინდ დაიჯერე, გინდ არაო. იმ მესამე *მეს* რა მოვუხერხო-მეთქი? ლოგიკა შინაგან დიალოგებს ვერ აღიქვამს, უბრძანე და გააჩუმეო.

ძილისპირული ფიქრი ჩემს მობილურზე შემომავალი ონლაინ-ზარით დასრულდა და დაიწყო ნერვიულობა ოფლაინ-გამავალი ზარით. მესამე *მე* ბრძანებით გავაჩუმე, რადგან სანამ ტყუპისცალი, ანუ განსხეულებული მეორე *მე* მიპასუხებდა, სწრაფად უნდა მიმეღო გადაწყვეტილება.

– შენი დახმარება მჭირდება ხვალ. პირველი გაკვეთილი მაქვს მე-10 კლასში. გთხოვ, შენ ჩაატარე! გაქვს თავისუფალი დრო?

– რატომ? რა მოხდა?

– როგორც იქნა, მოფრინავს. აეროპორტში უნდა დავხვდე.

– დილით კი შემიძლია, მაგრამ ვფიქრობ, არ გჭირდება. აუხსენი სკო...

– ვერა! არასაკმარის მიზეზად მიიჩნევა.

– მაშინ მას აუხსენი, ვინც ჩამოდის.

– ვერ...

– ვერ ითმენ. ვიცი.

– ჩემთან შეიარე. ლურჯი პიჯაკი გარდერობშია. ის ჩაიცვი. ჩემი ნახევარჩექმაც მოგერგება. ხმაც შეიცვალე, ვითომ ყე...

– ყელი მტკივა. კარგი.

– ტესტირება ჩაატარე. ელფოსტით მიიღებ მასალას. ჩვიდმეტი მოსწავლეა. ჰო, სია ამოიკითხე მაშინვე. სახელები იოლად გამახსოვრდება...

ახლაც, აჩქარების გამო, მკლავის ქნევით უფრო ვლაპარაკობდი, ვიდრე სიტყვებით. ტელეფონის გათიშვის შემდეგ სადღაც კისერთან ან ყურთან, ან მკერდთან, ან წარბთან რომ გამოვიჭერ თითებს, მაშინ ვხვდები, რომ საუბრისას აქეთ-იქით ვაქანებდი ხელს, მტევანსაც მაჯაში ვატრიალებდი და საჩვენებლის გაწვდენითაც მივანიშნებდი. აუცილებლად შევაჩერებდი, რომ ვარკვევდე, პარაენით კომუნიკაცია ჩემი რომელი მესამედის თვისებაა.

უთენია მივედი აეროპორტში. გულისცემა როცა გამიხშირდა შეხვედრის მოლოდინით, მაშინ ამოვიკითხე ეკრანზე, რომ თვითმფრინავი აგვიანებს. გეგმით გაუთვალისწინებელი ფაქტის გაჩენა ჩემს სამივე ნაწილს განსხვავებულად აფორიაქებს. ასეთ შემთხვევაში უფრო მირთულდება გარემოების, ქმედებისა და აზრის გადაბმა. კარგი ისაა, რომ არ ვშეშდები, ან ცუდია, რომ არ ვშეშდები... მოკლედ, პირველმა *მემ*მობილურში ნომერი მოძებნა, მეორემ სათქმელი დაალაგა, მესამემ ალიონის სხივებს მოუხუჭა თვალი.

– ალო, გესმის?

– ჰო, მე ვარ. ჩამოფრინდა?

– ოქტომბრის მიწურულს აქ იმდენი მზეა, ლამის მინდორზე ალი ავარდეს, იქ კი სულ გამოილია და კოკისპირულად წვიმს.

– რა გემართება, შენს თავს არ ჰგავხარ. რატომ მეპოეტები?

– დააგვიანდებაო. არ იციან, რამდენი ხნით. ფრენა შეფერხდა უამინდობის გამო. უსაფრთხოებისთვის, ალბათ, სადღაც დასვეს თვითმფრინავი... არ შემიძლია ასე უმოქმედოდ ჯდომა.

– უკვე გასაგებია. რას აპირებ?

– შენ არ წახვიდე სკოლაში. მივუსწრებ პირველ გაკვეთილს. დავიძარი.

– ღამის გათევა მოგიწია, ამიტომ დაღლილიც იქნები. არა უშავს, მივალ მე, როგორც მოვილაპარაკეთ. გეგმას ნუღარ შევცვლით.

ვგრძნობდი, მეც ზუსტად ეს მინდოდა. რადგან ორი *მე* შევთანხმდით, ნუ ჩაერევი-მეთქი, ვუბრძანე მესამეს და გავაჩუმე. ფიქრი სხვა საგანზე უნდა გადამეტანა, მოსაცდელ სავარძელზე მოვეწყვე. ქურთუკი თავქვეშ ამოვიდე. კეფასთან მყარი ნივთის შეხება ვიგრძენი – სარკე. პატარაა, ოვალური. ჯიბეში ეტევა და ყველგან თან დამაქვს. იმ ზომისაა, რომ სახის ცალკეულ ნაკვთს შევითვალიერებ ხოლმე. ხელში თუ დავიჭერ, მკლავს გავშლი და პროფილის გასწვრივ მოვძებნი პოზიციას, მთელი სახე ჩაეტევა. ასეც ვიქცევი, თვალებში ჩავყურებ ცნობიერ *მეს* და, როგორც ყოველთვის, იმ დამფრთხალი მოსწავლის მიმიკა მაგონდება, მასწავლებლის მიახლოებისას თავს შორს რომ დაიჭერს ხოლმე. ვიცინი. კაცმა არ იცის, რატომ. ან ღიმილის ნაოჭებს ვითვლი, მერე ქმუნვისა თუ ბრაზის ნაოჭების რაოდენობას რომ შევადარო; ან ჩემსავე თვალებიდან ბუნდოვანი, დაუჯერებლად ბრწყინვალე მომავალი მეკეკლუცება და მეც მიხარია. მიხარია იდიოტივით. რას ნიშნავს „იდიოტივით“? არ ვიცი. იქნებ მართლა დიდ აფეთქებას უნდა დავესწრო? იქნებ მართლა უნდა გაიხსნას ცა და დედამიწას შემოვუფრინო, ან იქნებ ვმდიდრდები, იქნებ ვინმე ისეთს შევხვდები, რომელიც დამავიწყებს, რაც დარდის ლუკმებად მიყლაპია და ვერ მონელებულა ჯერაც, იქნებ... ფიქრი ფიქრია, მაგრამ სიცილი სულ სხვაა. სულაც არა აქვთ საერთო საწყისი. ლოდინთან გაშინაურებული გონება მინელდა და კუნთებიც მოდუნდა. დამძინებია. როგორც ჩანს, პირით შევისუნთქე და ნერწყვის სასულეში გადაცდენამ გამაღვიძა. სკამის ქვეშ შეგორებული ბოთლისთვის დავიხარე, მას კი დავწვდი, მაგრამ სარკე ხელიდან გამიცურდა და აეროპორტის იატაკზე მჭახედ დაეცა. არ გატყდა.

ძილის ბურანიდან ახალგამოღწეულმა სარკეში სახე შევითვალიერე და ცხადად დავინახე, როგორ მომეჭიმა ნაკვთები. დროსა და სიტუაციასთან შეთავსებული ქცევაა – კლასთან შეხვედრისთვის მზადება. აეროპორტის მოსაცდელ დარბაზს მოვავლე მზერა. ამასობაში ტაბლოზე ინფორმაცია გამოცვლილა – ფრენა აღდგა. გაკვეთილის დაწყებასა და მის ჩამოფრენასთან ზუსტად ორმოცდახუთი წუთი მაშორებდა. მექანიკურად ისევ სარკე მოვიმარჯვე. მღელვარების დასაფარად რას აღარ მოიმოქმედებს კაცი. შუშაზე დავაორთქლე და შუა წერტილიდან წრიულად მივყევი გამშრალებას. „აი, ახლა დაირეკება ზარი“, – გამეფიქრა და ორეულს დავაკვირდი, რომელიც მოულოდნელად გამასწავლებლებულ ჩემს ტყუპისცალად გადაიქცა, ხოლო მისი გამოსახულება სიუჟეტის პერსონაჟივით ამოძრავდა. აღარ შევუდექი ჩემს *მეებს* შორის იწილო-ბიწილოს. მაგათთვის არ მეცალა. სარკეს ისე ჩავაჩერდი, როგორც ეკრანს, რომელზეც კადრები სწრაფად იცვლებოდა.

უუუჰ! ამოისუნთქა, ჩაისუნთქა და საფეხურებზე აირბინა. საკლასო ოთახის კართან წამოეწია ზარი. უი, ჟურნალი... შეყოვნდა. ჩუმად გაითვალა: გავიდე – არ გავიდე, გავიდე – არ გავიდე, გავიდე... „აჰა, აიღე!“ – მიაჩეჩა დამრიგებელმა ჟურნალი და კარი ისე მიხურა, მისასალმებელი ღიმილის აღქმას ვერ მოასწრებდა. იმავე მიმიკას ალერსი დაამატა და ბავშვებისკენ მიბრუნდა.

– გამარჯობა! – ომახიანად მოინდომა, მაგრამ ხრინწით დაასრულა სიტყვა, როგორც გაციებისგან ხმადაკარგულს შეჰფერის. ყელის გასუფთავების მცდელობამ ხველა გამოიწვია, რამაც

უხერხულობისგან იხსნა. სიმშვიდე არ დაუკარგავს.

მოსწავლეთა მზერიდან თანაგრძნობა, დაცინვა, შეშფოთება, დახმარებისთვის მზადყოფნა, მისი ტანჯვით სიამოვნება თუ უქმად ყოფნის გახანგრძლივების ნდომა ისე წამოესია, სკამისკენ გაექანა, თუმცა ჩამოჯდომა გადაიფიქრა და ჩანთა სწაფად გახსნა. მოქექა.

– ტესტის ფურცლები დამრჩა! – ჩაილაპარაკა და ხელისგულით დაეყრდნო საზურგეს.

– წყალს მოვიტან, მას! – კარისკენ გაიწია ვახომ.

– არაფერია! – მოითქვა სული მასწავლებელმა. – არაა აუცილებელი. თუმცა, რატომაც არა, გადი და წყალიც მოიტანე. მართალი ხარ! ჯობია, ახლოს მქონდეს. – თავის მოძრაობით ანიშნა კარისკენ. მანაც ხელისგულების ძგერებით გააღო კარი, ხმაურით გაიჭრა.

– ზარი დაირეკა, გაკვეთილიც დაიწყო. შეგიძლიათ, თქვენს ადგილებზე დასხდეთ.

– და დაემგვანოთ მოსწავლეებს! – გამოაჯავრა ნატამ.

– აუუუ! დამამთავრებინეთ რა, მას! ორი წუთიც და... – ამოყო თავი მერხთან შექუჩებული ბიჭების ჯგუფიდან ნიკამ.

– კი, ბატონო! იყოს ორი წუთი. დაგელოდებით. ოღონდ მხოლოდ ორი წუთი! – ამართული თითებიც დაანახა.

– მართლა, მას?

– ჰო. თან მეც მოვისმენ, შეიძლება?

– როგორ არა, მას, ამ „ნერდს“ რაღაც ახსნა სჭირდება და... – კეფაში წამოარტყა ბექას, რომელმაც თმა ისე გაისწორა, თვალი არ მოუშორებია გადაშლილი რვეულისთვის.

– იცით, რა მოხდა, მას? მათემატიკის ამოცანის პირობა ვერ გავიგე და სხვანაირად მივუდექი, ჩემებურად ამოვხსენი რა! ჰოდა, პასუხი დაჯდა, მას! რიცხვი დაჯდა რაა! ის კი არა, წილადი და ათწილადი... რიცხვი. ნამდვილი რიცხვი, დადებითი.

მასწავლებელმა ახედ-დახედა ბიჭს, გონებაში შეაფასა და მიმართა:

– შენ ნიჭთან ერთად ჟინიც გაქვს და ჯიბრიც. ოღონდ საგნის, მასწავლებლის თუ იმ „ნერდის“? ჰა, რომლის? – ალერსიანი ჩანდა.

– ხო მითხარით იმ დღეს, მას, ჩემ ჯიბრზე იქცევი უზრდელივითო. დაგავიწყდათ? თუ...

– მოიცა, მოიცა, რა დროს ეგაა. ესე იგი, პირობა შეცვალე. რას ნიშნავს „ჩემებურად“? პირობას რაღაც დააკელი? თუ მიამატე? შინაარსი შეუცვალე? რა გააკეთე? – ბრაზი დაეტყო ბექას.

– რა მნიშვნელობა აქვს? ჩვენც არ ვთქვათ, – ნიკამ ყურადღება კვლავ ბექასკენ მიმართა, – საერთოდ არ გავამხილოთ, როგორი იყო პირობა. მთავარი ხო პასუხია, ძმაო! შედეგი...

– ნუ ბოდიალობ, თუ კაცი ხარ! მათემატიკა ზუსტი მეცნიერებაა, „გარტყმით“ პასუხი რანაირი ცოდნაა?

– რა „გარტყმით“, ბიჭო. არ ვამხელთ, რომ შევცვალეთ. სულ ესაა!

– მერე?

– მერე სხვა პასუხი დავსვათ.

– ეგ როგორ? – ჩაეძია მასწავლებელი.

– მას, აგიხსნით. მაგალითად, კასრში 26 ლიტრი საღებავი ესხა. 10 დაიხარჯა, 6 გაიყიდა, 5 დაიღვარა. რამდენი დარჩა?

– ხუთი!

– ყოჩაღ, მას! უყურეთ, მას! ჩვენ თუ ვიტყვით, რომ 5 არ დაღვრილა, ანუ საერთოდ არ ვახსენებთ, რამდენი დარჩება?

– ათი!

– კი, მას, მაგრამ სწორ პასუხს ხომ არ ემთხვევა? ანუ მოცემული პირობა სხვა ახალ პირობად გადაკეთდა და ამოხსნაც იმ ახალი პირობისაა. მარტივია, არა, მას? არ დაემთხვევა... – ვერ მოითმინა ბექამ.

– მოიცა ერთი, არ ემთხვევა და ნუ ემთხვევა! შენ გგონია, ყველაფერი სიმართლეს ემთხვევა? – არ დათმო პოზიცია ნიკამ.

– რა შუაშია? შენი ვერაფერი გავიგე. დასკვნა საიდან გამოგაქვს?

– ნიჭიერება დიდი ფათერაკია! – შესცინა სიზუსტის მომხრეს მასწავლებელმა.

– რა ფათერაკი, მას! ისე გამომაქვს დასკვნა, როგორც მომინდება. ა, ეგრე! – შეწყვიტა კამათი ნიკამ. – ეეეჰ, გაგიჭირდება ცხოვრება, ძმაო! – საფინალოდ ერთიც უთავაზა კეფაში ბექას და წამოდგა. – სად დავჯდე, მას?

– სადაც გინდა, – ცოტა არ იყოს, დაიბნა.

– ვااا! მართლა, მას? კაი. აი, მივდივარ! – დაჯდომამდე ნატასთან შეჩერდა და გადაულაპარაკა: – ან კაი ხასიათზეა, ან მართლა მაგრა ავადაა. გაკვეთილი უნდა ჩავაბარო. დაგენაძლევები, ეს დღეს წამახალისებელ ცხრიანს დაწერს, მამოტივირებელი ექვსიანის ნაცვლად.

მასწავლებელმა არ შეიმჩნია, რაც გაიგონა. პასუხი ზოგად შეჯამებად გადააკეთა და ყველას გასაგონად თქვა:

– იმ საინტერესო მოცემულობაში აღმოვჩნდით, რომლის პირობას ხელოვნური ჩარევით ვერ შევცვლით – ვერაფერს დავაკლებთ და ვერაფერს მივუმატებთ. რაცაა, ესაა! როგორმე თავს გავართმევთ!

მოსწავლის კომენტარი აღარ განმეორებულა, არც რეპლიკა ყოფილა.

– გთხოვთ, სიის ამოკითხვის დროს დააწყოთ მერხზე წიგნი და სუფთა წერის რვეუ..! – ვერ დაასრულა, რადგან დაინახა, როგორ მიაპყრო გაოცებული დიდი თვალი ჯგუფმა და მოესმა ერთდროული ამოძახილი: „რااა?“ ამას მოჰყვა ისეთი ჟრიამული, რაღაც დიდი სისულელე რომ გამოიწვევს ხოლმე.

– სუფთა წერის რვეული რას ნიშნავს? სუფთა ფურცლებიანი? უხაზო ფურცლებიანი? ბინძური რომ არაა? ეგეთი რვეული არ მაქვს, მას! არაფერი ვიცი მის შესახებ, – აღელდა ბექა.

– გავალ, მას, მოვიტან სუფთა რვეულს! – გაიქაჩა კარისკენ ვახო.

– ოჯექი, ვახო! სუფთა... დაკვირვებითა და ყურადღებით შესრულებული დავალებების რვეული. ჰო, უნებურად ჩემი წარსულიდან გადმოვიტანე ეს ეპითეტი. ალბათ, ჩემი ისტორიის მასწავლებლის ***როლი*** ავითვისე. ამ სკოლაში მომეცა შესაძლებლობა, მოვირგო ის ***როლი***, რომელშიც ვარ აქ და ახლა, ანუ არ გამოვძებნო სხვა ***როლი*** იმავე ***როლში*** ყოფნის დროს. როგორც ჩემი ფსიქოლოგი ამბობს, ადამიანი თუ უკვე იმყოფება ერთ ***როლში***, ესე იგი, აქვს შესაბამისი თვისებები. ხოლო როცა ***როლს*** შეიცვლის, შეიძენს ადეკვატურ თვისებებს, რათა იყოს ავთენტური

საკუთარ თავთან კონკრეტულ მყარ სიტუაციაში. დიახ, უშეცდომო დავალებების!

– ااااااا! იმ რვეულებს ჩვენ „თხელი“ დავარქვით. წინ და უკან აკლდება ფურცლები იმ საბრალოს, ვხევთ, რათა შეცდომები გავანადგუროთ, – გაუბედავად აღიარა ბექამ.

– ვის უმალავთ შეცდომებს?

– თქვენ, მას! – დაასწრო ვახომ, – როგორ ხართ, მას? თავი ხომ არ გტკივათ? წამალს მოგიტანთ... – ისევ კარისკენ აიღო გეზი.

– კარგად ვარ! სიას ბოლოს წავიკითხავ, – ჟურნალი დახურა, წამოდგა, გაიღიმა და გადაინაცვლა შუა რიგის პირველ მერხთან, სადაც მარიკა იჯდა. გოგონამ დახრა სთხოვა ჟესტით და არცთუ ისე საიდუმლოდ ჩასჩურჩულა: – მას, პერანგის ღილები გახსნილი გაქვთ. – ამას მოჰყვა ხელისგულების ერთმანეთზე გატკაცუნების ხმები და მოგუდული ქირქილი.

თითებმა თვალს დაასწრეს და თვითონ შეამოწმეს მიღებული ინფორმაცია. ნურას უკაცრავად, ყველა ღილი შეკრული იყო, ოღონდ მოძრაობისგან ქსოვილი მობრეცილიყო და მკერდზე ისე გადაჭიმულიყო, მართლა დაწყვეტაზე იყო ღილები.

– ზუსტად ასე იქცევა განაწყენებული ადამიანი, – წელში გადახრილმა თქვა მხოლოდ მარიკას გასაგონად, თან პერანგი შეისწორა და ქამრის ბალთასთან ერთად ელვა-შესაკრავიც მოსინჯა. გოგონამ თვალი გაუსწორა და მასწავლებელმაც მზერაში დასტური ამოკითხა. – რადგან ასეა, როცა მოგინდება, ვისაუბროთ. მე მზად ვარ მოსასმენად.

– ჰა! ჰა! ჰა! – გამოკვეთა მარიკამ მარცვლები უღიმილო მიმიკით. – როგორ გამაცინეთ, მას! რა აზრი აქვს, ნეტავ?! მასწავლებელი ყოველთვის მართალია! – მიკვირს, ეს ფრაზა კედელზე რომ არაა გაკრული დევიზად. ჰა! ჰა! ჰა! ისევ გამეცინა. დღეს რითი ხართ განსხვავებული ვითომ? თავი ისე გიჭირავთ, თითქოს არასდროს ყოფილხართ დამნაშავე მოსწავლის წინაშე. მომისმენთ და რა მერე? რა შედეგი? გაიმეორებთ იმავეს: შეგეძლო ისე მოქცეულიყავი, რომ საყვედური არ მიგეღო!

ეს ვრცელი პასუხი ყველას ყურს მისწვდებოდა.

– ასე არაა! მე ბოდიშის მოხდაც შემიძლია!

– რა ბოდიში, მას! თქვენ, მგონი, სერიოზულად ხართ ავად. ტემპერატურაც გაქვთ? თუ ხუმრობთ? ااا, გვცდით, გვაკვირდებით, ყველაფრის თქმის ნებას გვაძლევთ, თავდასხმისთვის მასალას აგროვებთ. ასეა? – ჩაერთო ნატაც.

– მე შემიძლია მოსმენაც და პატიების თხოვნაც. როგორ დარწმუნდებით, თუ არ მეცოდინება, რაში მადანაშაულებთ, რა ჩავიდინე... – მხრები აიჩეჩა. – ახლავე, აი, აქ დავჯდები და მოგისმენ! – მიმართა გოგონას და სკამი მოსწია. ჩამოჯდა. – ასე თანაბარ მდგომარეობაში ვიქნებით, – აუხსნა თანაგრძნობის ტონით.

– ასე იყოს! – მკლავი ამართა მარიკამ მეგობრების გასაჩუმებლად.

– გახსოვთ პროექტი „აღმოაჩინე, შეისწავლე და გამიზიარე“? მთელი სექტემბერი დავუთმეთ.

– მახსოვს. წარმატებული იდეა გამოდგა, არა? დირექციაც მოვხიბლეთ მაშინ და შექებაც დავიმსახურეთ, – მზერა გააპარა მოპირდაპირე კედელზე დაკიდებული ჩარჩოსკენ: – სამახსოვრო ჯილდო! – სიამოვნების მიმიკით გადახედა მოსწავლეებს.

– კიი, როგორ არა! თქვენ ის მიიღეთ, რაც გინდოდათ და მე?

– დაა... თქვენც ხომ მიიღეთ მაღალი შეფასება?

– მე არა! – ცრემლი გაიწელა გოგონას წამწამებზე და ხმა აუკანკალდა.

– კარგი რა, მარიკა! რა აზრი აქვს ახლა ამასთან საუბარს? – ნიკას ხმა იყო, რომელიც იმპულსურად წამოდგა. მასწავლებელი სხვა სიტუაციაში თავდაცვისთვის მოემზადებოდა, მაგრამ აქ, სკოლაში, საპატიო ადგილას წელგამართულად მჯდომი, ფიზიკური ანგარიშსწორების საფრთხეს ვერ დაიჯერებდა და არ განძრეულა. ბიჭმა ჩაიმუხლა, თვითონ ამოუმშრალა თვალები მარიკას და შეემუდარა: – ჩემს თავს გაფიცებ, გაჩუმდი! ვის შევარჩენ მე შენს ცრემლებს, ვის? ხო იცი, მოვა მაგის დრო... გესმის?

– მე თვითონ შევძლებ! – სახიდან მოიშორა ვაჟის ხელები მარიკამ და ანიშნა, ადგილს დაბრუნებოდა. ნიკამ გამარჯვებულის მანერით იბრუნა პირი. ოღონდ მანამდე სახე სახესთან მოუახლოვა მასწავლებელს და ორი თითით თვალებს შორის კავშირი მონიშნა.

– გავაგრძელო, მას? – მიმართა მარიკამ. მანაც თავის დაკვრით დართო ნება. – ჩემი პროექტი თქვენ გაანადგურეთ. მაკრატლით დაჭერით, დამცინეთ, ჩემი ხელწერა მასხრად აიგდეთ, კალიგრაფია არ გივარგა, არაფერი იკითხებაო. თანაკლასელები ჯერ გაართეთ ჩემი დამცირებით, მერე საქმე მიეცით, წაიკითხეთ, აზრი გამოიტანეთ, თეზისებად დაალაგეთ და ლამაზად წერის ნიმუში აჩვენეთო. ვერც მიხვდით, რომ თქვენდამი სიძულვილით დაგემორჩილათ კლასი. რატომ მომექეცით ასე? ხომ აკმაყოფილებდა შეფასების კრიტერიუმების თუნდაც ერთ პუნქტს? დაგეწერათ შესაბამისი ქულა 4, 3, 2 – ზუსტად ის, რაც მეკუთვნოდა. მეც ისევე, როგორც სხვას. რატომ?

– შენ როგორ ფიქრობ, რატომ? – დაუბრუნა კითხვა მასწავლებელმა.

– ახლაც მეტყვით, მარიკა, შენ მეტი შეგიძლია, შენგან მეტს ველოდები, მე მინდა, 10 ქულა დაგიწეროო.

– ეგ ფრაზები ყოველთვის მძულდა, ამას არ გავიმეორებ. თუმცა, რატომაც არა, თუ შეგიძლია მეტი. თვითონ უნდა იცო... – გააოცა შემოტევის შინაარსმა.

– მე რამდენი ქულა მაკმაყოფილებს, იცით? მკითხეთ? ჩემ ნაცვლად გადაწყვიტეთ, რომ უმაღლესი შეფასება მინდა. ჯერ გეკითხათ, რა ხდებოდა მაშინ ჩემს თავს? წარმოდგენა თუ შეგიძლიათ, როგორ ვეცადე, დამოუკიდებლად შემესრულებინა ის დავალება? ჩემი მცდელობა არაფრად მიიჩნიეთ... – იერიშს ჰგავდა მარიკას ქცევა. – საერთოდ დაინტერესდით, მე რა მინდა? რას ვგრძნობ? რა შემიძლია? იქნებ ტექსტის არსს ვერ ჩავწვდი, აზრი ვერ გამოვიტანე, იქნებ ვერ გავიგე საერთოდ?.. არ მიპასუხოთ, როგორც იცით ხოლმე, სხვამ თუ ვერ გაიგო, შენ რატომ ვერ გაიგებდი, ალბათ, არ მისმენდიო. ასე არაა! შეგიმჩნევიათ, მას, რომ გამორჩეულად ნიჭიერები უცებ იგებენ. სხვებს კი დრო სჭირდებათ. კლასში ერთი რომ წამოიძახებს, გავიგეო, ეგ გაგების პროცესის დაწყებაა, დასრულება კი არა. მაინც ვის მადარებთ? მე მაქვს უფლება, რომ ისე ვერ გავიგო, როგორც იმ სხვამ. მაქვს უფლება, ისე ვწერო, როგორც მეხერხება. მით უმეტეს, თუ უფრო ღირებულს ვქმნი. მაქვს უფლება, რომ არ მოგისმინოთ მაშინ, როცა უფრო დიდ საქმეს ვაკეთებ, ჩემთვის

ისტორიაზე უფრო საინტერესოს, – ერთიანად მოეშვა მარიკა და გაჩუმდა.

– დიდი საქმე ისაა, რომლის შესახებაც არ საუბრობენ. იმიტომ, რომ სიდიდის მახასიათებელი სწორედ ესაა – ვერ სახელდება. დაე, საქმემ თქვას! – ტუჩი კბილებით დაიჭირა. ალბათ, მიხვდა, ეს „დაე“ მსმენელთა ასაკთან შეუსაბამოდ პათეტიკურად რომ გამოუვიდა.

– გითხარი, არ ღირს-მეთქი! – შეეხმიანა ნიკა.

– მარიკა ლექსებს წერს, მას! – ვახომ მისი რვეულის ბოლო გვერდი დაანახა, – აი, თუ არ გჯერათ!

– რათა იყოს ავთენტური საკუთარ თავთან კონკრეტულ მყარ სიტუაციაში, – ჩაილაპარაკა ბექამ.

მასწავლებელი წამოდგა.

– ახლა რა ვქნა? – ამოიგმინა.

– არაფერი, მას! აზრი არა აქვს. რამე შეიცვლება?! – ხმის ტონით რიტორიკულს ჰგავდა მარიკას შეკითხვა.

– როგორ არა, თუ მოვინდომებთ, შეიცვლება. ამისთვის, პირველ რიგში, ჩვენ თვითონ უნდა შევიცვალოთ. საკუთარ ქცევას, ფიქრსა და სიტუაციას შორის კავშირი მოვძებნოთ...

– კარგი რა, მას! გაგეცდინათ გაკვეთილი, შეუძლოდ თუ იყავით დღეს... – თანაუგრძნო ნატამ მასწავლებელს.

– მე მოვიყვან ექიმს, – ისევ კარისკენ გაიხედა ვახომ.

– არაა საჭირო. გმადლობ! – გულში ჩაიკრა ბიჭი მასწავლებელმა. ალბათ, ჩახუტებით სიმშვიდე მოიზიდა. რატომ მაინცდამაინც დღეს? რა აზრი აქვს უცხოსთან წარსულის განხილვას? დღეს რატომ?

სარკე ჯიბეში ჩავჩურთე და თავი ხელებში მოვიმწყვდიე. შიგნით სამივე ნაწილი აფორიაქებულიყო. გულისცემა გავიგონე. შევშინდი. მართლა რომ მომხდარიყო ის, რაც წარმოვიდგინე?! გაკვეთილზე არ უნდა შემეშვა ჩემ ნაცვლად. არ იცის სიტუაცია, მისთვის არასდროს გამინდია ჩემი საფიქრალი, ჩემი ეჭვები, ვარაუდები, შიშები. არასდროს მითქვამს, რას ვნანობ, რა შეცდომები მაქვს დაშვებული, ვის მოვექეცი უსამართლოდ, თითოეულისგან რას ველოდები. არ იცნობს ბავშვებს... როგორ დააკავშირებდა ერთმანეთთან ფაქტებს, ფიქრსა და მოქმედებას?! სახელებიც კი არ იცის მათი. სია, სია მაინც ამოეკითხა. ახლა რა ვქნა? საათს დავხედე. თორმეტ წუთში დაირეკებოდა ზარი. თორმეტ წუთში ჩემი ცხოვრებაც შეიცვლებოდა.

ჩამოფრინდა.

დარბაზში მგზავრების გამოსვლამდე დავურეკე ტყუპისცალს. გვიან მიპასუხა.

– ტესტის მასალა ჰოლში ტუმბოზე დატოვე, ჰო?

– უკვე შინ ხარ? ნახე?

– არა, ველოდები. კარგად გიცნობ. აბა, როგორ ჩაიარა?

– მშვენიერი გამოვიდა. მომეწონა მასწავლებლობა.

– სიაც არ ამოიკითხე, ჰო? მაინც რა აკეთეთ?

– ვისაუბრეთ. ჯერ გავეცანი, როგორც შენი ტყუპისცალი. გაოცდნენ და კითხვები დამისვეს. რომ არ გეთქვათ, ვერ მივხვდებოდითო. ჩემი იქ ყოფნის მიზეზით დაინტერესდნენ და მეც დაუფარავად ავუხსენი სიტუაცია. შენი სიყვარულის ამბავმა ყველა აღაფრთოვანა. მათ ხომ კეკლუცობის ასაკი აქვთ, თან საიდუმლოს განდობა ხიბლავთ. შეინახავენ, თქვენი მეგობრობა უფრო განმტკიცდება, ნდობა გამყარდება. უფროსებს გამოვერიდე და ახლახან გამოვედი ქუჩაში. პიჯაკს ვიხდიდი, როცა დარეკე. ვიწროა ჩემთვის. ფეხსაცმელი კი დიდი მაქვს. ერთად ორივემ მეტისმეტად შემაწუხა. ნეტავ როგორ უძლებენ ადამიანები სხვისი იერით ცხოვრებას? მოიცა, რა იცი, რომ სია არ ამოვიკითხე?

– მართლა? სულ ესაა? მეტი არაფერი მომხდარა? – ვერ დავფარე სიხარული.

– მეტი არაფერი. დრო სჭირდება გულწრფელ საუბარში სინამდვილის ფრთხილად გადმოტანას. ხომ იცი, ფაქტი მაშინვე რომ კარგავს ნამდვილობას, როგორც კი ადამიანის ტვინს ინფორმაციად მიეწოდება.

– ეგ ჟურნალისტური აზრია.

– კი. ჩვენი მეცნიერული მიგნებაა.

– გმადლობ! ჭეშმარიტად ჩემი მეორე *მე*ხარ. დანარჩენს თვითონ ვეტყვი მათ.

– რას ეტყვი?

– იმას, რომ დამღალა სხვისი ფრთებით ფრენამ.

– ეს პასუხი შენსას არ ჰგავს. ისევ მეპოეტები. ვერ ვიგებ, მაგრამ ფრენა მომწონს.

– ეს სხვამ თქვა. მესამემ...

იღლის ქვეშ ამოჩრილი ჩანთა იდაყვით შევაკავე და გასაღებების აცმა ავაჩხარუნე. მეოთხე მცდელობით მოვარგე ერთ-ერთი კლიტეს. იმისთანა ხმების კორიანტელს დავაყენებ ხოლმე კართან, კაცი იფიქრებს, ხუთკლიტული და ზედ ბოქლომიც გამოხსნაო. განა საკეტი იჭედება, მე ვერ ვაღებ პირველსავე ჯერზე. ავჩქარდი.

– გზას უყურე! – შევულრინე თავს, როცა ქუსლის ქვეშ ქვა ამობრუნდა და წავბორძიკდი. ნაბიჯს ავუჩქარე. ტროტუარს მივუყვები. გამიტკბება ხოლმე ქუჩაში ხალხის თვალიერება. ვითომ ვეძებდე ვინმეს. ვინ უნდა ვიპოვო განსხვავებული ძველი ქალაქის ჩვეულებრივ ქუჩაში?! ყველანი ერთმანეთს ვგავართ. ჩემსას მაინც არ ვიშლი. მითხარი, როგორ ქვეყანაში ცხოვრობ და გეტყვი, როგორი მოქალაქე ხარო, ნათქვამია. თუ ეს მეგობარზეა? თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, ერთი და იგივე არაა?! ხალხის ნაკადმა ვიწრო გასავლელი დამიტოვა, ამიტომ გავეხახუნე გულმკერდზე ქალბატონს. უფრო სწორად, ძუძუ მომხვდა. უტიფრად წარმოვიდგინე ქალი საცერით ხელში. როგორ მიმოაქანებს აქეთ-იქით უზარმაზარ ფუმფულა ბიუსტს. უცებ შუბლით ვეძგერე გულგადაღეღილი ტურისტის მკერდზე ჩამოსვენებულ ვერცხლის ჯვარცმას. ის თავაღერილი მოდიოდა, მე – თავდახრილი, თავმდაბლობითა და დაბლობით რომ მემართება ხოლმე. აი, რით გამოირჩევა ტურისტი ადგილობრივისგან – ფასადების თვალიერებით. სამშობლოში შენობების მოპირკეთების ხელოვნებას არაფრად ვაგდებთ, ორგანულ ნაწილად მიგვაჩნია – თითქოს არაფერია საოცარი. ის იყო, გეზის

მიმართულებით გავიხედე, რომ დედა-შვილს ავებლანდე ფეხებში. ბავშვის ხელი ჩაებღუჯა დედას, მიაჩქარებდა. გვერდის ავლამდე ორჯერ ამოუტენა პირი ქალმა ფუნთუშის ნაფლეთით და ყმაწვილურ ღიპზე შერჩენილი ნამცეცები ჩამოუფერთხა.

ისიც მეყოფოდა, რომ სამივე *მეს* ემოციებს ვუძღვებოდი და მტრედი ჩამოვარდა სახურავიდან. აი, ქარი კი ქროდა, მაგრამ მტრედი, კაცო? მტრედი როგორ უნდა ჩამოვარდნილიყო. გადარჩა, წამოდგა, ფრთები შემოიტკაცუნა, ბუმბული ჯერ აშალა, მერე დაიწყო და დაიფინა, გაიარ-გამოიარა, თავი გააკანკალა, ამოისუნთქა და აფრინდა. აი, ადამიანივით იმოქმედა და ფრინველივით გაფრინდა.

გაოგნებული სახით ვაგრძელებ გზას და ვااااჰ! კაკალი დამეცა თავში. მამაჩემს ჩვევად ჰქონდა თავში წაწკლიპურტება, ხელისგულით დავფარავდი ნაწკლიპურტალს და მამას ავხედავდი ჯავრიანი მზერით, ის კი მაღლა, ცისკენ თავახრილი იკითხავდა: „საიდან ჩამოვარდა ეს კაკალი?“ „შენ იყავი, შენ!“ – დავცხებდი პატარა მუჭებს მამას მუცელს. ის თმას ამიბურდავდა და ხელახლა ავჯუჯლუნდებოდი.

ჰოდა, მტრედი აფრინდა და მამაჩემი ჩამოფრინდა, თუ რა მოხდა, ნეტავ-მეთქი, გავიფიქრე და ყვავმა გაიყრანტალა ჩემს ფეხებთან. დასტაცა ნისკარტი კაკალს და აიტაცა. აიჭრა ცაში. ეეჰ, დაედევნა მტრედს...

– მოდი, შევქმნათ უწესრიგობა!

– როგორ, მას?

– დავიჯეროთ თავისუფლება. რაც იმას ნიშნავს, რომ რეალური მოცემულობის, საკუთარი ქცევისა და ფიქრის გაერთიანებას ვემორჩილებით! გამოგვივა?

– დიახ, მას.

– დასხედით! როგორც გინდათ და სადაც გინდათ. აი, მე, მაგალითად, ახლა მინდა, იატაკზე ფეხი მოვირთხა და კედელს მივეყრდნო. აი, ზუსტად ასე.

– ისტორიული წამი! გავალ რა, მას, საპირფარეშოში!

– გადი!

– მართლა გავიდე, მას?

– გადი, ჰო, გადი! – ღიმილი მივადევნე. – ერის ისტორიის წერას დარგის მეცნიერებს ანდობს ხელისუფლება. ისინიც შრომობენ, ძალისხმევას არ იშურებენ. სინამდვილეში ისტორიკოსები მხოლოდ თავს მოუყრიან ხოლმე ფაქტებს. უტყუარ ისტორიას კი ქმნის თანამედროვე, თავისუფალი და დამოუკიდებელი ხელოვნება. ასეა არაა, მარიკა?

– მე?.. მე მეკითხებით? დიახ, მას, ასეა.

– შეგიძლია, შენი ლექსი წაგვიკითხო?

– ლექსი? როგორ გაიგეთ, მას?

– რვეულის ბოლო გვერდზე წერ ხოლმე. ვიფიქრე, რომ ლექსია.

– თქვენ წაიკითხეთ, მას!

– აქ ვერაფერი ამოვიკითხე. შენი ნაწერია?

– დიახ, მას. უკეთესად არ გამომდის. სამაგიეროდ, კლავიატურაზე აკრეფა შემიძლია უსწრაფესად და ფორტეპიანოზეც ვუკრავ. ვიზუალური აღქმისა და დამახსოვრების უნარი აქვს ძლიერიო, დედას უთხრა სპეციალისტმა.

– დავალებას ვინ გიწერს?

– ჩემი ძმა, მას! იცით, რა ლამაზად გამოსდის? ნამდვილი მხატვარივით. სამაგიეროდ, მე ხმამაღლა ვკითხულობ მის გაკვეთილს, ის კი მოსმენით იმახსოვრებს. ბარი-ბარში ვართ, მას!

– რა კარგია! შენი რომელიმე ლექსის ელექტრონული ვერსია გამომიგზავნე, აქვე, მობილურში, გავხსნი და ყველასთვის წავიკითხავ. დამრთავ ნებას?

– დიახ, მას! ახლავე.

ვკითხულობ:

მე ცოცხალი ვარ, მე ისევ აქ ვარ,
ჩემს ლექსში ვზივარ და
თავს სრულიად უსაფრთხოდ ვგრძნობ.
შესაძლოა, მართლაც დავიკარგო,
მაგრამ ამისთვის უკვე დიდი ხანია, მზად ვარ.
მე ხომ უკვე წლებია, ასე ვარ:
ხმელეთიდან სტრიქონზე,
სტრიქონიდან ცაში.
ხმელეთიდან სტრიქონზე...

მდუმარე პაუზა. მერე ტაშისცემა.

– გაზრდილხარ, მარიკა! შენ შეგიძლია, სრულად მოიცვა სივრცე, რომელშიც ცხოვრობ – შეითვისო მისი წესრიგი.

– რა ხდება, მას, რა ტაშია? – შემოქანდა ვახო ოთახში, პერანგს გზადაგზა იტანდა. – ეეეე, მაგარია! ახლა მივხვდი, მას, თქვენ რომ ამბობთ ხოლმე – „წესრიგი თავისუფლებაშია“! – მსახიობივით გაშალა მკლავები.

– მეც ახლა მივხვდი! – თავი ჩავხარე. ჩავისუნთქე და დავიწყე: – ვაღიარებ, რომ დამნაშავე ვარ! შევცდი... – სიჩუმემ მაგრძნობინა, რომ მესამე *მეს* გაჩუმების გარეშე მივიღე სწორი გადაწყვეტილება. თავი ავმართე, გამბედაობა მოვიკრიბე და იატაკზე ნახავარწრედ მსხდარ ახალგაზრდებს სათითაოდ გავუსწორე თვალი. – გახსოვთ პროექტი „აღმოაჩინე, შეისწავლე და გამიზიარე“...

ტექსტში გამოყენებულია ამონარიდი
გიორგი ჩუთლაშვილის ლექსიდან „პილოტი“.

თამარ ესიტაშვილი

მზის სხივები ღრუბლებს უკან

– სირცხვილია, ძმაო, ტეხავს, მაგრად ტეხავს, – წითურმა, დაბალმა ბიჭმა მკაცრად შეათვალიერა თავჩაღუნული ბიჭები და მხრების ცახცახით მიმავალ მეგობარს დაედევნა.

სამშაბათი, 17 ოქტომბერი

15 წუთში მაღვიძარა დარეკავს. ახლავე რომ გამოვრთო? იქნებ ჩაეძინოს ბებოს და დღესაც გავაცდინო სკოლა? არაა, მერე გუშინდელივით გაბრაზდება, არაფერს მეტყვის, მაგრამ იმდენ დარდს გაიჩენს თვალებში, ისე გაუმუქდება... ასეთ დროს ბებო ძალიან ჰგავს დედას. ისიც ჩუმად, ხმის ამოუღებლად დაიგროვებდა ხოლმე დარდსა და საყვედურს თვალებში და ცისფერ, კამკამა თვალებს მუქ საავდრო ღრუბლებად აქცევდა. როცა ბებო დედას მაგონებს, მაშინ ყველაზე მეტად მეშინია მისი დაკარგვის. სხვებს უამრავი ადამიანი ჰყავთ ირგვლივ, უამრავი, ვინც ზრუნავს, ფიქრობს, იცავს... მე მხოლოდ ბებო მყავს, ერთადერთი ჩემი ადამიანი სამყაროში.

მამა რომ წავიდა სახლიდან, ძალიან პატარა ვიყავი. არ მახსოვს, რანაირი იყო, ვუყვარდი თუ არა, გაუხარდა თუ არა ჩემი დაბადება სხვა მამებივით. ბებომ მითხრა, რომ მისი წასვლით გაბრაზებულმა დედამ ყველა ნივთი დაწვა, რაც მამას ეკუთვნოდა, მათ შორის ფოტოებიც. აგვიკრძალა მისი სახელის ხსენება და გამუდმებით ამტკიცებდა, ბავშვის გასაზრდელად მამა საერთოდ არაა საჭიროო. მერე კი დედაც წავიდა... ხო, აი ასე, უბრალოდ, ბოდიში მოგვიხადა მე და ბებოს და წავიდა. თვალები ბებოს თვალებივით მუქი და სევდიანი ჰქონდა. მხოლოდ ერთხელ გამოიხედა უკან, ვერ გავიგონე, უფრო ვიგრძენი, რომ ჩაიჩურჩულა, მაპატიეთო, და არეული ნაბიჯებით გააგრძელა გზა. დიდხანს იდგა ბებო მხრებში მოხრილი, ხელებჩამოშვებული და იმ გზას გაჰყურებდა ცარიელი თვალებით, რომელსაც დედა გაუყვა. მერე მობრუნდა, ტუჩები მაგრად მოკუმა, ხელი ჩამავლო და სახლისკენ წამომიყვანა. მას მერე აღარ გაუშვია ხელი ჩემთვის.

მოდი, მაინც გამოვრთავ მაღვიძარას, ამ ერთხელღა.

ოთხშაბათი, 18 ოქტომბერი

ახლა ნამდვილად უნდა წავიდე სკოლაში. ყოველთვის ყველაფერი ისე არაა, როგორც გვინდა. უცებ გავა ხუთი გაკვეთილი. ეს უკვე მეოთხე სკოლაა ჩემთვის. სექტემბერში, როცა აქ გადმოვედი, ბებომ მკაცრად მითხრა, იმედია, ეს ბოლო ცვლილებაა. პირველივე დღეს მივხვდი, რომ არც აქ იცვლებოდა არაფერი, თუმცა...

ბებოს არასოდეს მოუყოლია იმ დღეზე, როცა ჰემიჰიპერპლაზიის დიაგნოზი დამისვეს. არ ვიცი, რა თქვა მამამ, ანდა დედამ. ვიცი, რა უპასუხა ბებომ და რა გააკეთა შემდეგ. მანამდე კი თავისი სახლი გაყიდა, ჩემთვის სამედიცინო კვლევების ფული რომ ეშოვა და სადღაც სარდაფში იყიდა ერთი ოთახი დროებით საცხოვრებლად (ახლაც აქ ვცხოვრობთ). ჩემი დიაგნოზი კი განაჩენი აღმოჩნდა ჩვენთვის. ჩემი ძვლები არათანაბრად იზრდება, ამიტომ ძალიან მიჭირს მოძრაობა. ეს იმდენად იშვიათი დაავადებაა, ექიმებიც კი გაოცებულები მიყურებენ. მარჯვნიდან ისეთი დიდი და ფართო ვარ, მარცხნიდან – მოკლე და სიფრიფანა... ამ დაავადების განკურნება შეუძლებელია, მხოლოდ მისგან გამოწვეული დაავადებების პრევენციაა შესაძლებელი და ბებო ყველაფერს აკეთებს, სტაბილური ჯანმრთელობა რომ მქონდეს. ხუთი წლის ვიყავი, ერთ-ერთი კვლევისას ექიმს რომ ვკითხე, დიდხანს ცოცხლობენ ჩემნაირი ბავშვები-მეთქი? მაშინ ბებო და ექიმი ერთად ატირდნენ და უამრავი ისტორია მიამბეს, როგორ გაიზარდნენ და რა წარმატებებს მიაღწიეს ადამიანებმა ჩემნაირი სინდრომით. მაშინ დავიჯერე, ახლა კი მგონია, რომ ყველა ამბავი ბებომ და ექიმმა მოიგონეს და

ჩემნაირები მხოლოდ ცირკის არენისთვის იბადებიან, ისიც, თუ გაუმართლათ...

აი, ესეც მაღვიძარა... უნდა წავიდე.

ხუთშაბათი, 19 ოქტომბერი

– ოხ, ადამიანი-ობობა მოვიდა, – ფანჯრიდან უკვე ისმის სიცილის ხმა და გაქცევა მინდა, თუმცა ვიცი, არ შემიძლია... თავაუწევლად ვაგრძელებ გზას კიბისკენ.

–კიბეზე რა გინდა, ობობიკო, კედლიდან ვერ აძვრები? – ქსელი გამოუშვი რაა...

ესეც ჩემი მერხი, ისევ ცალკე გადაუდგამთ. მერე რა, მეც ასე მირჩევნია, ნაკლებად მომაქცევენ ყურადღებას. კლასში სულ რამდენიმე გოგო და ბევრი ბიჭია. ზოგს საერთოდ არ ვაინტერესებ, ზოგს ვეზიზღები და არც მალავს, ზოგი ჩემით ერთობა. არავის უკითხავს, რა მჭირს, არავის აინტერესებს, რას ვგრძნობ, რას განვიცდი. რადგან მათნაირი არ ვარ, თვლიან, რომ არსებობის უფლება არც მაქვს.

ზარის ხმაა. მათემატიკის მასწავლებელი შემოდის, მაღალი, სათვალიანი ქალი. მას ერთადერთხელ, სიის ამოკითხვისას ვახსენდები. ამოიკითხავს ჩემს გვარს, თავს გადააქნევს, ცნობისმოყვარედ და თანაგრძნობით შემათვალიერებს და გაკვეთილს გააგრძელებს, საერთოდ ავიწყდება ჩემი არსებობა. მე ძალიან მიყვარს მათემატიკა, ყველაფერს ვიწერ, მერე სახლში ვვარჯიშობ. ბებო მეუბნება, შენც მათემატიკის მასწავლებელი გამოდიო. მართლაც რომ ასე მოხდეს, ნეტავ როგორი მასწავლებელი ვიქნები? ფორმულებსა და თეორემებს იქით დავინახავ რამეს თუ მეც ვერა? ან მოუნდება ვინმეს ასეთი მასწავლებელი? ერთი გრძელი და ერთი მოკლე ფეხით?

მეორე გაკვეთილი სპორტი გვაქვს. უნდა გავიპარო, შესვლის ზარს დაველოდები და სანამ ბავშვები გასახდელისკენ წავლენ, მე გარეთ გავალ. სპორტის მასწავლებელი კარგი კაცია, თუმცა აქტივობების წინ ყოველთვის გაზეპირებულ ფრაზას მეუბნება: აბა, შენ ეს არ შეგიძლია და უყურე მაინცო. მართალია, თითქმის დაბადებიდან ვიცი, რომ არც სირბილი შემიძლია, არც ხტუნვა და ვერც თოკზე ვცოცავ, მაინც რაღაც ჩამწყდება ხოლმე გულში. ჰოდა, გაპარვა კარგი იდეაა. კართან ნინო დეიდა დგას, იცის, რომ უსაყვედურებენ, თუმცა მაინც მიშვებს გარეთ. თვალებში ცრემლები აქვს ხოლმე. ალბათ უმადური ვარ, რადგან ის ცრემლებიც ზოგჯერ ისევე მანადგურებს, როგორც ჩემი კლასელების დაცინვა.

სახლამდე პარკში მივდივარ. იქ სხვების თვალისგან მოფარებულ ადგილს ვპოულობ და ოცნებას ვიწყებ. ჩემს ოცნებაში ყოველთვის ლამაზი და ჯანმრთელი ექიმი ვარ, რომელმაც ჰემიჰიპერპლაზიის განკურნების გზა იპოვა. ოცნებას ბომბორა მაწყვეტინებს. ბომბორა ქუჩის ცუგაა, სამი თათი აქვს მხოლოდ და მისი დანახვაც ისევე არ სიამოვნებს ბევრს, როგორც ჩემი. ბომბორასთვის ყოველთვის მაქვს ერთი ნაჭერი პური, რომელსაც სიამოვნებით მიირთმევს, შემდეგ კი ფეხებთან მიწვება და თვლემს. მგონი, ბებოს მერე ბომბორა ერთადერთია, ვისაც არ აინტერესებს, მარჯვენა ხელი უფრო მსხვილი მაქვს თუ მარცხენა და ზუსტად ისეთი ვუყვარვარ, როგორიც ვარ.

პარასკევი, 20 ოქტომბერი

გუშინ ბებოს დავპირდი, რომ აღარ გავაცდენ გაკვეთილებს. საღამოს კარზე აკაკუნებდა ვიღაც, დიდხანს და დაჟინებით. კარი გავაღე და ჩემი დამრიგებელი დავინახე. დამრიგებელი ქართულს გვასწავლის, არც კარგია და არც ცუდი, უფრო თავისთვისაა. ბავშვებს არ უყვართ – რანაირი დამრიგებელიაო, ყურადღებას არ გვაქცევსო. ჰოდა, დამრიგებელი მოვიდა ჩვენთან, თურმე დირექტორის დავალებით. სრულ ბედნიერებამდე ესღა მაკლდა, ახლა მხოლოდ საკუთარი თავის გამო არა, ჩემი ბინის გამოც მრცხვენია. კიდევ იმის მრცხვენია, რომ მოხუცი, მოუვლელი ბებოს გამოც მრცხვენია ცოტათი. დამრიგებელმა ბებოსთან ცალკე ლაპარაკი მოისურვა და რადგან მხოლოდ ერთი ოთახი გვაქვს, მე ქუჩაში გამოვედი. მოგვიანებით, შინ დაბრუნებულს, ბებო ატირებული დამხვდა. სკოლას რატომ აცდენო, გაგრიცხავენო, მე რატომ მექცევი ასე, რა დაგიშავეო. ჰოდა, დავპირდი, აღარ გავაცდენ-მეთქი.

ამ დღესაც გადავიტან და მერე შაბათ-კვირაა. ვიჯდები მთელი დღე საწოლზე და ფანჯრიდანაც არ გავყოფ ცხვირს. იმ ფანჯრიდან, რომელიც სხვების აბაზანის ფანჯარაზე უფრო პატარაა და იქიდან მხოლოდ ასფალტი და გამვლელების ფეხები ჩანს. როცა დიდ სახლში ვცხოვრობდით, დედა ფანჯრის რაფაზე მსვამდა ხოლმე, პურის ნამცეცებს ვუყრიდით მტრედებს და ერთად ვითვლიდით, რამდენი მოფრინდებოდა. როცა ამ პატარა ფანჯრიდან ვიხედები, ინსტინქტურად გამვლელების ფეხების დათვლას ვიწყებ და მაშინვე მახსენდება ხოლმე დედა და დიდი, ნათელი სახლი ფართო ფანჯრებით.

ორშაბათი, 23 ოქტომბერი

– ობობააა, ობობა მოვიდა...

ვცდილობ, ისეთი სახე მივიღო, თითქოს არ მესმის. ნელა ავდივარ კიბეზე. ვიღაცამ ფეხი წამომიდო, დავეცი. ქვემოდან მხიარულ სახეებს ვხედავ, იცინიან ხმამაღლა, გადამდებად. ცრემლები თვითონ პოულობენ გზას. ნელა ვდგები (თითქოს სწრაფად ადგომა შემეძლოს) და გზას ვაგრძელებ. ვცდილობ, არაფერი დავინახო, არაფერი გავიგო და როგორც შემიძლია, ისე სწრაფად შევიდე კლასში.

პირველი ისტორია გვაქვს.

– დღეს ჯგუფებში ვიმუშავებთ, უცებ გადააწყვეთ მერხები, – ამბობს ნატო მასწავლებელი, მერხზე ჩამოჯდომა და მხიარულად ყურება რომ უყვარს. ყველა დგება, ჩემ გარდა. – საბა? შენ ამ კლასში არ ხარ? აიღე შენი სკამი და გადმოდი.

– აუუ, ჩვენს ჯგუფში არა რაა, მას, – ეს აჩია, ყველაზე კარგი მოსწავლე.

– კეთილი, თუ არ გსურს, გადადი შენი სკამით საბას მერხთან.

აჩი დგება, ვერ გადაწყვიტა, დარჩეს თუ წავიდეს. ბოლოს მაინც მოდის და ჩემს მერხთან ახლოს ჯდება. მასწავლებელი მშვიდად და დიდხანს უყურებს, კვლავ მერხზეა ჩამომჯდარი, თუმცა თვალებში აღარ უციმციმებს ის მხიარული მზის სხივები. აჩი ჯიუტად იყურება ქვემოთ. გაკვეთილი გრძელდება. ძალიან მეშინია დასვენების – ვიცი, როგორი გაბრაზებულები არიან აჩი და სხვებიც ჩემზე. თუმცა ზარის შემდეგ ნატო მასწავლებელი ჩვეულ მზერას ავლებს კლასს და...

– საბა, რუკის წაღებაში დამეხმარე რა, – მე მომმართავს.

განა მჯერა, დაბნეულად ვიყურები აქეთ-იქით, მაგრამ კლასში მხოლოდ ერთი საბა ვარ. ვდგები, რუკას ვიღებ და ერთად მივდივართ მე და ნატო მასწავლებელი. გზას გვითმობენ და არსაიდან ისმის ის საძულველი სიტყვა „ობობა“. სამასწავლებლოდან იმავე გზით ვბრუნდები, მერხთან ვჯდები და ქიმიის მასწავლებელს ვუცდი. გუშინ დიდხანს ვწერდი დავალებას.

ქიმიის მასწავლებელიც მათემატიკის მასწავლებელს ჰგავს, შემომხედავს სევდიანი სახით და ვავიწყდები. როგორ მინდა, ერთხელ დავალება შემიმოწმოს, შემაქოს ან გამიბრაზდეს, კუთხეში დამაყენოს – ხოოო, კუთხეში... და ხმაურს ვიწყებ. ჯერ წიგნს ვახეთქებ მერხზე, მერე – რვეულს, მერე – ისევ წიგნს. თუმცა მასწავლებლის ყურადღებას მხოლოდ ერთი წამით ვიქცევ. ამიტომ დაუკითხავად ვდგები და გარეთ გავდივარ. ბავშვები ფხუკუნებენ: „სად მიბრძანდება ობობა, ტუალეტში? უი, ობობებიც ფსამენ?“ და მასწავლებლის ხმაც უკვე კარს უკან: „კარგი რაა, ბავშვებო, ცოდოა. იცოდეთ, ჩემთან ერთად აღარ გაბედოთ დაცინვა“. „ცოდოა“ – ეს სიტყვა „ობობაზე“ მეტად მტანჯავს. ჩემთან ერთად არ დასცინოთო – სადაც ის არაა, მოსულა დაცინვა?

დერეფანში ვდგავარ დიდხანს და ბოლოს კლასში ვბრუნდები – ბავშვები ჩუმად არიან, თუმცა ვიცი, ერთი სული აქვთ, დამიყვირონ: „მოფსი, ობობ?“ დასვენებაზე ქიმიის მასწავლებელს კართან დამრიგებელი ხვდება. რაღაცაზე ჩუმად ლაპარაკობენ, მეჩვენება, რომ ზოგჯერ ჩემკენ იყურებიან. მერე ქიმიის მასწავლებელი თედოს და ლაშას ეძახის და დირექტორის კაბინეტისკენ მიჰყავს. „ამათ მერე შენ შემოხვალ“, –მეუბნება დამრიგებელი. მე, როგორც შემიძლია, სწრაფად მივდივარ დირექტორის ოთახისკენ და ზუსტად მაშინ ვაღებ კარს, როცა დირექტორი კატეგორიულად უკრძალავს ბიჭებს ჩემთვის ობობას დაძახებას:

– დაუძახებთ და... პირველებს თქვენ გაგრიცხავთ, მერე თქვენნაირებს მოგაყოლებთ უკან. ჯერჯერობით მხოლოდ საყვედურს ჩაგიწერთ პირად საქმეებში.

– არა, მას, არაფერი დაუძახიათ ჩემთვის, – ძლივს ვცნობ საკუთარ ხმას, – ხანდახან, თუ ვხუმრობთ, მეც ვეძახი ხოლმე რაღაცებს. არც მათ სწყინთ და არც მე.

დირექტორი ეჭვიან მზერას არ მაცილებს, მერე თავჩაღუნულ ბიჭებს უყურებს.

– მართალია?

ბიჭები უხერხულად უქნევენ თავს.

– კარგი, მოშორდით აქედან და სხვა დროს ამ თემაზე ლაპარაკი აღარ დამჭირდეს.

თედო და ლაშა სწრაფად გადიან კაბინეტიდან, მე – ისე, როგორც შემიძლია. ჩანთის გამო კლასში არ ვბრუნდები და ნინო დეიდას ვთხოვ, სახლში გამიშვას. სახლამდე პარკში ჩემს სკამთან და ბომბორასთან მივდივარ, სახლში მისულს კი კართან ჩემი ჩანთა მხვდება.

ოთხშაბათი, 25 ოქტომბერი

ჯერ მაღვიძარას არ დაურეკავს, შემოდგომის უძალო მზე კი უკვე ცდილობს, როგორმე შემოიჭყიტოს ფანჯრიდან. თითქოს ხვდება, როგორ აკლია ამ ოთახს მისი სხივები. ოთხშაბათი მიყვარს. ამ დღეებში არც მაღვიძარას ველოდები, არც ბებოს დაძახილს, სწრაფად ვიწესრიგებ თავს და ერთი სული მაქვს, სკოლაში გავიქცე. პირველი ისტორია გვაქვს და იმიტომ. არ ვიცი, როგორ, რანაირად და ნატო მასწავლებლის გაკვეთილზე მავიწყდება, მახინჯი და სასაცილო რომ ვარ. მგონი, ბავშვებსაც ავიწყდებათ. წინა გაკვეთილის ბოლოს გავიაზრე, ერთხელაც არ დაუძახია არავის „ობობა“ ჩემთვის. სულ პირველი მივდივარ სკოლაში, ისტორიის წიგნს მერხზე ვდებ, რვეულს მუხლებზე ვიდებ და კითხვას ვიწყებ. პროექტი გავაკეთე გიორგი ბრწყინვალეზე. ძალიან, ძალიან ბევრი ვეძებე წიგნებში, რომლებიც ბებომ საიდან აღარ ითხოვა და მომიტანა. ეს ჩემი პირველი პრეზენტაციაა და ისე ვღელავ, მუხლები მიკანკალებს. კლასი თანდათან ივსება ბავშვებით. არ მესალმებიან, არ მელაპარაკებიან, მაგრამ არც დამცინიან. ნატო მასწავლებელი და სიმშვიდე ერთად შემოდიან ოთახში. თითქოს მზის სხივები ჩაუწნეს თმაში... ციმციმა თვალებს ავლებს კლასს, ჩემთან მოდის, ხელს მსუბუქად მადებს მხარზე და...

– აბა, სადაა დაპირებული პროექტი?

– მოვამზადე, მას, – აკანკალებული ხმით ვპასუხობ.

– ჰოდა, დაფასთან!

ვდგები, დაფისკენ მივდივარ და კიდევ ერთხელ ვიხედები ჩემი მერხისკენ. ნატო მასწავლებელი ჩემს სკამზე ზის და თვალების ციმციმით მიყურებს. უამრავი მზის უამრავი სხივი ცხოვრობს მის თვალებში, იმდენი, ყველას და ყველაფრის გათბობა რომ უნდათ. რამდენი შეუძლიათ თვალებს, თუკი ისინი სუფთა და გულწრფელები არიან... ახლა ისე მშვიდად ვარ, ისე თავდაჯერებულად ვკითხულობ, ვხსნი, ვაზუსტებ... ტაშის ხმა მესმის, ჯერ ერთის, მასწავლებლის, მერე თანდათან სხვებისაც. „შენ ვინ ყოფილხარ“, „საღოლ, ძმაო“... ზარია და რუკა ისევ მე მიმაქვს სამასწავლებლოში.

ორშაბათი, 30 ოქტომბერი

ორი დღეა, საკუთარ თავზე ვმუშაობ. უნდა ვაიძულო მათემატიკის მასწავლებელი, შემნიშნოს.

ზარი. გამარჯობა და ჩემი სიტყვები: „მას, შეიძლება, დავალება წავიკითხო?“ თანაგრძნობით სავსე მზერა ისევ მანადგურებს, მაგრამ სულ ერთი წამით. მე ხომ ნატო მასწავლებელს დავპირდი, რომ არ დაველოდებოდი, როდის შეიცვლებოდნენ ადამიანები ჩემ მიმართ, მე შევცვლიდი საკუთარ თავს. ამიტომ მხრებში ვიშლები, დაფასთან გამოვდივარ და ამოცანის ამოხსნას ვიწყებ.

– გადაიწერე და დაიზეპირე? – როგორ მიხარია მასწავლებლის ეს სიტყვები – აღარ ვეცოდები, არ მიფრთხილდება, სხვებივით მტუქსავს.

– არა, მე სულ ასე ვწერ, თქვენ არ შეგინიშნავთ, უბრალოდ, არასოდეს...

გაკვეთილების შემდეგ სახლის გზაზე ვგრძნობ, როგორ მომყვება ვიღაც უკან. ვჩერდები, ვიხედები და თედოა, ჩემი კლასელი.

– დამელოდე, ეე.

მეც ველოდები (თითქოს სწრაფად სიარული შემეძლოს). ერთად, ლაპარაკ-ლაპარაკით მივდივართ სახლისკენ. გზის მეორე მხრიდან კენჭს ისვრის ვიღაც და „ადამიანი-ობობას“ „საუნდტრეკს“ მღერის.

– სირცხვილია, ძმაო, ტეხავს, მაგრად ტეხავს, – წითურმა, დაბალმა ბიჭმა მკაცრად შეათვალიერა თავჩაღუნული ბიჭები და მხრების ცახცახით მიმავალ მეგობარს დაედევნა.

საბას ცხოვრებაში რაღაც ახალი და ძალიან კარგი დაიწყო.

მიშა ბახსოღიანი

ხეზე ასვლა

– ჩიგოგიძე!
– ვარ, მასწავლებელო!
– კალანდაძე!
– აგერ ვარ, მასწავლებელო!
– სიხარულიძე!

ნოდარ დუმბაძე,
„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“

– სიხარულიძე-თქო!

გივის თავი ფანჯრის რაფაზე ჩამოედო და ამწვანებულ ეზოს მოწყენილი თვალებით ათვალიერებდა. კლასისკენ რომ მოიხედა, კიდევ უფრო მოიწყინა. ახალი გადმოსული იყო, წლის დასაწყისში მამა სამსახურიდან გამოაგდეს და სოფელში დაბრუნება მოუწიათ.

– ვარ, მასწავლებელო.

– რაღაც შენი ხმა არ მომწონს, მოხდა რამე?

– არა, ზაირა მასწ, ჩინებულად ვარ.

– ისევ მშიერია, მასწ, – დაიძახა ბერდიამ უკანა მერხიდან და კლასს სიცილმა გადაურბინა. ჯერ ვერ მიეჩვია.

– ან მართლა ვერ უძლებს, – გამოესარჩლა ნინიკო, გაწითლდა და ჩუმად ჩაილაპარაკა: – ყველა ერთნაირი ხომ არ არის.

მასწავლებელმა ბავშვებს დაწყნარება აცადა, მერე კი ბერდიას გახედა და ჰკითხა:

– შენ რა ჭამე დილით?

– არაფერი, მასწ, ჩაი დავლიე, ოღონდ ორი ჭიქა.

– თავს კარგად გრძნობ?

– არა მიშავს, ამასავით კვნესას ხო არ დავიწყებ. გავძლებ ცოტას კიდევ. აი, ამ გაკვეთილის მერე ხომ დიდი შესვენებაა და თუთაზე გავიქცევი. ისეთი თუთა ვიპოვე, ჩემ გარდა არავინ ეკარება, ჩამეწყრილ ხევშია და ჩასვლა ეზარებათ.

– ხო, მაგის თქმა სიის ამოიკითხვის შემდეგ მინდოდა, მაგრამ ერთი ცუდი ამბავი მაქვს და ერთიც – კარგი.

– კარგით დაიწყეთ, მასწ, – გაუცინა სულ წინ მჯდომმა ნიკამ.

– კარგი ისაა, რომ სკოლას ახალი მანდატური ჰყავს, ქუთაისიდან გამოგზავნეს.

– ეგაა კარგი? – გაიოცა რამდენიმემ ერთად.

– ცუდი ისაა, რომ დიდ შესვენებაზე გარეთ ვეღარ გახვალთ, სკოლის ახლოს მცხოვრები გლეხები ჩივიან, ბავშვები ხილსა და ბოსტნეულს იპარავენო, თან ვიღაც მერვეკლასელი მკვახე ჭერამმა მოწამლა, ძლივს გადაარჩინეს.

– ეგ ხომ ისედაც ვიცოდით, სულ მასე ამბობენ.

– არა, ახლა ნამდვილად ასე მოხდება. დირექტორმა ყველა დამრიგებელი დაგვიბარა და მკაცრად გაგვაფრთხილა.

– მაგას ვერ იზამთ, მასწ, – ანერვიულდა გოგი. – შვიდი გაკვეთილი მშიერი რა გაძლებს. გული რომ წამივიდეს, მაინც არ გამიშვებენ?

– თქვენს მშობლებს დაველაპარაკები, იქნებ სახლიდან რამე გამოგატანონ ხოლმე, – დაამშვიდა ზაირა მასწავლებელმა.

– თქვენი დალაპარაკება რად უნდა, მასწ, სახლში რამე რომ იყოს, ისედაც გამომატანდნენ.

ზაირამ ვითომ ვერ გაიგო. შეტრიალდა და დაფისკენ მოწყენილი წავიდა. ცოტათი თვითონაც შიოდა. შვრიის ფაფა და ჯანდაბა მაგის მომგონსო, ფიქრობდა გაბრაზებული. ცარცი აიღო და დაფაზე ხატვა დაიწყო. საცარი ნიჭი ჰქონდა, ცოტა ხანში დაფა იდუმალმა რუკამ დაფარა.

– ეს ერატოსთენეს რუკაა, დიდი ალბათობით, პირველი რუკა, რომელიც დედამიწის სფეროსებური ფორმის გათვალისწინებით შეიქმნა. უკნიდან ბავშვების ხმაური მოესმა და უკან გაუხედავად იკითხა:

– კალანდაძე, არ მოგწონს ჩემი შედევრი?

– არა, მასწ, უფრო სწორად, დიახ, მასწ.

– მაშინ რატომ არ მისმენ?

– გისმენთ, მასწ.

– მისმენ და თან ნინიკოს ელაპარაკები. რაც არ უნდა უცნაური იყოს, მეც გისმენთ, მაგრამ არა უშავს, შენ ეს მითხარი, რითაა ეს რუკა გამორჩეული?

– როგორც თქვენ თქვით, ის სფეროსებური ფორმის გათვალისწინებით შეიქმნა.

– ანუ?

– ანუ რა, მასწ?

– რას ნიშნავს ეგ სიტყვები შენთვის? სფეროსებური, ანუ როგორი?

– მრგვალი, მასწ.

– ყოჩაღ.

– ადვილია, მასწ, ჩვენ მშივრები ვართ, სულელები კი არა.

– ეგ არც მიგულისხმია. აბა, ვის გახსოვთ, როგორი წარმოედგინათ ადამიანებს დედამიწა ძველად? ნინიკო.

– ბრტყელი, მასწ.

– შოთა, შენ რას დაამატებდი?

– ზოგ ქვეყანაში ისიც კი სჯეროდათ, რომ დედამიწა ოთხი სპილოს ზურგზე იდგა.

– ეგ სპილო კი – უზარმაზრ კუზე, – დაამატა სიცილით ბერდიამ, – კუ გიჭამიათ, მასწ?

– არა.

– გველი?

– არა.

– ყველაზე უცნაური რა გიჭამიათ? – აჭყლოპინდნენ ბავშვები. – ოღონდ სიმართლე გვითხარით, ტოლმა და ეგეთები არ ითვლება.

– კალია, ოღონდ მაშინ ძალიან პატარა ვიყავი და თქვენსავით გამოუცდელი. მაშინაც ასეთი გაჭირვება იყო. მე და ჩემმა ძმამ შევწვით აბრიალებულ ბალახებზე და თითო ბარკალი ავაცალეთ.

– ჩვენც რომ ვჭამოთ შეიძლება? – იკითხა ბერდიამ.

– არა და არც ჩემს პარალელურად ხატვაა დაშვებული. რას ჩხაპნი, ვარლამ?

– არაფერია, მასწ, – ვარლამმა ნახატს ხელები დააფარა.

მასწავლებელმა დაფა მიატოვა და თავზე დაადგა. ვარლამმა ნახატს ხელები მოაშორა.

– ხაჭაპურია. სიხარულიძისთვის ვხატავდი, იქნებ თვალი მაინც გაიძღოს-თქო, თორემ მაგის მუცლის ყურყური გაკვეთილის მოსმენაში ხელს მიშლის.

– რა სიბოროტეა, – გაბრაზდასავით მასწავლებელი, მაგრამ იქვე გაიცინა და თმა მოუჩეჩა: – რაა, ბიჭო, ეს? იმერულს ხატავ, გურული მაინც დაგეხატა!

– გურულს კვერცხი უნდა, – გაეხუმრა ბიჭი, – თან ეგ ხომ ქუთაისიდან ჩამოვიდა.

– კარგად ხატავ, მეც კი ნერწყვი მომადგა, დაასრულე და ბავშვებს ვანახოთ.

– დასრულებულია, მასწ.

– აქ რომ აკლია?

– მანდ მოკბეჩილია, მასწ. რომ ვხატავდი, სულმა წამძლია და ვერ მოვითმინე.

– შენ რა გითხარი. მართლა კარგად ხატავ, აჩვენე ბავშვებს, აბა, რას იტყვიან.

ვარალმმა ნახატი ასწია.

ბავშვებმა თვალი შეავლეს და თავები ჩაქინდრეს.

– მადლობა, – ამოიკნავლა სიხარულიძემ, – ისეთი კარგი ნახატია, თითქოს სუნიც კი მომივიდა.

– ეგ სუნი გარედან შემოდის, – აუხსნა შოთამ, – ეტყობა, მერი ბებია აცხობს.

– საწყალი მერი.

– აბა, ბიჭო, – დასევდიანდა ბერდია, – როგორია, მთელი დღე ხაჭაპურებს აცხობდე და მერე სხვებისთვის მიგქონდეს.

– სხვებისთვის? სკოლაში ხომ არ მოაქვს? – თვალში სიხარულის ნაპერწკალი გაუკრთა სიხარულიძეს.

– არა, ბიჭო, რა სკოლაში, სადგურთან ჩააქვს. შვილიშვილი ჰყავს თბილისში გაშვებული სასწავლებლად და მშიერი რომ არ მოუკვდეს, ყოველდღე ორ ხაჭაპურს უგზავნის, – აუხსნა ნინიკომ. – ერთ ხაჭაპურსაც მძღოლს აძლევს, რომ წაღებაზე უარი არ უთხრას.

– მერე დახვდება ის ოხამბია დიდუბეში, გადაკეცავს ამ ორ ხაჭაპურს და ჩახეთქავს უცბად. აქ ჩამოსვლას და ძროხისთვის ბალახის მოთიბვასაც არ კადრულობს, – ბოლომდე ჩაწიხლა ბერდიამ.

– რაცაა, კარგი სუნი კია, ფანჯრები ბოლომდე ხომ არ გავაღოთ, ზაირა მასწ?

– ზაირა მასწ, ხომ კარგად ხართ? – შეშფოთდა ნიკაც, წამოხტა, მასწავლებელთან მივიდა და ხელი ფრთხილად შეახო.

– ზაირა მასწ, რა გჭირთ? – აყვირდა შოთაც. როგორც ყველაზე მოფიქრებული, სამასწავლებლოსკენ გაიქცა და მალევე მანდატურსა და დირექტორთან ერთად დაბრუნდა. მანდატურმა ზაირას ნიშადური შეასუნთქა, ყურები დაუზილა, შუბლზე ცივი ტილო დაადო და მალევე აზრზე მოიყვანა. სასწავლო პროცესი შეწყდა. დირექტორმა დაზაფრული ბავშვებიცა და ზაირაც გარეთ გაუშვა. სკოლის კარს გასცდნენ თუ არა, ზაირას ფერი დაუბრუნდა, ბერდიას თვალი ჩაუკრა და უთხრა:

– აბა, მეგზურო, გაგვიძეხი მარტოხელა თუთისკენ, რამეთუ გზა იგი, რთულად სავალი, მხოლოდ შენ იცი.

– ჩვენი გულისთვის მოიტყუეთ, მასწ? – ჰკითხა ნინიკომ, რომელიც მასწავლებელს ხელჩაკიდებული მიჰყვებოდა.

– არა, მართლა ცუდად ვიყავი, არც ახლა ვარ კარგად, მაგრამ ახლა კარგად ვარ.

– აღიარეთ, მასწ, შეგეცოდეთ, რომ მეშვიდე გაკვეთილამდე მშივრები უნდა ვმსხდარიყავით, – გაუცინა შოთამ. – ჩვენ არავის ვეტყვით, ხომ იცით, რომ ძალიან გვიყვარხართ, ზაირა მასწ.

– ბევრს ნუ ლაპარაკობ. დიდი ცელოფნის პარკი დაგვჭირდება, თუთის ქვეშ გაშლით და მე ზემოდან დავბერტყავ. ისეთი პიკნიკი უნდა მოვაწყოთ, როგორც ძველ მოგზაურებს შეეფერებოდათ.

– მადლობა, მასწ. სკოლაში ჯდომა უკვე შეუძლებელი იყო. თან ის ხაჭაპურის სუნი პირდაპირ ცხვირში მიღიტინებდა და უარესად მაგიჟებდა. ყოველდღე მოვა ეგ სუნი?

– არა, სიხარულიძე, მარტო ქარიან ამინდებში და ისიც მაშინ, როდესაც სამხრეთ-დასავლეთის ქარი დაუბერავს, რატომ?

– იმიტომ, რომ მერი ბებო სკოლიდან სამხრეთ-დასავლეთით ცხოვრობს?

– ეგრეა და, ბავშვებო, თქვენი აზრით, ერატოსთენე მოგზაური იყო?

– რა თქმა უნდა, მასწ, – უპასუხა შოთამ.

– და რატომ?

– სხვანაირად რუკებს ვერ შეადგენდა, მასწ, – უპასუხა ნინიკომ.

– და რატომ?

– მაშინ თანამგზავრები არ იყო, მასწ. ახლა ადვილია, ზემოდან ფოტოებს გადაიღებ და უზუსტეს რუკებს შეადგენ, – უპასუხა სიხარულიძემ.

– ნახე, ჰაერზე უკეთ გიმუშავებს ტვინი, – გაეხუმრა მასწავლებელი.

– არა, მასწ, ჰაერი არაფერ შუაშია, უბრალოდ, რომ ვიცი, რომ ცოტა ხანში შევჭამ, საჭმელზე ფიქრს შევეშვი. არადა, პირიქით უნდა იყოს, ხო?

– ხან ისე, ხან ასე. აი, აქ უნდა ჩავუხვიოთ.

– თქვენ რა, გზა იცით, მასწ? – გაიოცა ბერდიამ.

– ერთი ვადაგასული ხუმრობით გიპასუხებ. თქვენ რომ მიდიოდით, მე უკან მოვდიოდიო. თუმცა საწყენია, რომ ამდენი დრო გავიდა, ამდენი ვიჯახირეთ და იმასაც ვერ მივაღწიეთ, რომ ბავშვები არ შიმშილობდნენ. მით უმეტეს სკოლაში, როდესაც ტვინს უამრავი საკვები სჭირდება ფიქრისა და სხვადასხვა აქტივობებისთვის. მაგრამ მე რა შემიძლია, მაქსიმუმ, რუკაზე გაჩვენოთ ის ქვეყნები, რომელთა ბრალიცაა ეს ყველაფერი და ის ქვეყნებიც, სადაც თავის გადასარჩენად გავრბივართ ხოლმე, თუმცა გაქცევა გამოსავალი ვერ იქნება.

– მაშინ გაკვეთილიდან რატომ გამოვიქეცით, მასწ? – იკითხა ნინიკომ.

– არ გამოვქცეულვართ. გაკვეთილი იქ იქნება, სადაც ჩვენ ვიქნებით, მთავარი კედლები არაა, ერატოსთენეს არ ეწყინებოდა.

– ეგრე ხომ შეიძლება სამშობლოზეც ვთქვათ? – იკითხა ნიკამ.

– როგორ ეგრე?

– მთავარი საზღვრები არაა, სამშობლო იქ იქნება, სადაც ჩვენ ვიქნებით.

– სამწუხაროდ, ვერ დაგეთანხმები. სამშობლო აქაა, ვერსად წაიღებ, თუმცა ისტორიაში საპირისპირო მაგალითებიც გვხვდება. მაგალითად, გადასახლებულმა ებრაელებმა სამშობლო თან წაიღეს, მთელი მსოფლიო მოატარეს და მერე უკან ჩაიტანეს, თუ როგორცაა. მოდი, შევეშვათ ამ თემას და გეოგრაფიას დავუბრუნდეთ.

– მოვედით, მასწ, თუთას უკვე ვხედავ და მგონი, არავინაა.

– დიდებულია, თავს ისე ვგრძნობ, თითქოს ნამდვილი მონადირე-შემგროვებელი ვიყო. ხეზე ავალ და კარგად დავბერტყავ, თქვენ კი ცელოფანი გაშალეთ.

ზაირა ყოჩაღად აუყვა თუთის ტოტებს და მალევე კენწეროზე მოექცა. აქედან მთელი ქვეყანა მოჩანდა. ულამაზესი, თვალწარმტაცი, სამოთხისებრი ადგილი, სადაც ყველაფერი მწვანედ შრიალებდა, სადაც ნაკადულების ჩხრიალი გულს ახარებდა და სადაც ბავშვები არხეინად შიმშილობდნენ. რა კარგი სიტყვაა არხეინი. არხეინმა არხეინს უთხრა, შენი შვილი სადააო და იმან – რავი, სკოლაში შიმშილობსო.

– არ ჩამოვარდეთ, მასწ, – ხმაურობდნენ ბავშვები.

ნუ გეშინიათ, აქვე დაეცემა, მიწას არ ასცდებაო, – ხუმრობდა გათამამებული სიხარულიძე.

მეტი რაღა უნდა დავეცეო, – გაიფიქრა ზაირამ და თუთის ტოტებს ჯოხი დასცხო, დასცხო და დასცხო და თუთის წვიმამაც დასცხო, დასცხო და დასცხო...

ᲓᲘᲐᲜᲐ ᲐᲜᲤᲘᲛᲘᲐᲓᲘ

ᲛᲤᲐᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲜᲒᲔᲚᲝᲖᲘ

ᲖᲚᲐᲪᲐᲠᲘ

ანგელოზები გინახავს? არ მითხრა, რომ არა. ნუთუ ვერასდროს მოჰკარი თვალი ჰაერში მოფარფატეებს? როგორები არიან? იცი რა, ყველა სხვადასხვანაირად ხედავს. დედაშენს რომ ჰკითხო, იტყვის, რომ ანგელოზები გრუზათმიანები, ბრიალათვალებიანები არიან. ჩემი მეგობარი ამბობს, რომ ანგელოზებს ჭაღარა თმა აქვთ და დიდი სათვალეები უკეთიათ. იქნებ ვინმეს ქერა და ლურჯთვალაც ეგონოს, ან პირიქით, შავთმიანი და გრძელწამწამა, რა გითხრა.

მგონია, რომ ანგელოზები ბაბუაწვერას ბუსუსებს ჰგვანან, დაეშვებიან ბაბუაწვერას ქოლგებით, ზოგს მხარზე ასხდებიან, ზოგს – პალტოზე, ზოგსაც – თმაში. ვიღაცამ მითხრა, რომ ერთხელ დაინახა ანგელოზი და საერთოდ ვერაფერს და ვერავის მიამსგავსა.

ჰოდა, მოკლედ, უნდა გიამბო ზღაპარი ერთ ანგელოზზე, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, ძაღლზე ოცნებობდა. ძაღლზე ხო, რა მოგივიდა, პირველად გაიგე? უი, მართლა პირველად გაიგე? ჰოდა, მაშინ უნდა მომისმინო, სხვა რა გზა გაქვს.

ცხოვრობდა ანგელოზების ქვეყანაში, სწავლობდა ანგელოზების სკოლაში. იცი, როგორი სკოლაა? ცის პრიალა დაფასთან დგას მასწავლებელი და მზის სხივებით რაღაცებს წერს. ჯერ ძველი ბერძნულის გაკვეთილია, მერე – ჩიტების ენის, მერე – ცეკვის, მერე – გალობის, მერე კი – შარავანდედების სწორად მორგების. ფრთების მოვლის გაკვეთილიც აქვთ დილაობით. აბა, რა გგონია, თუ კარგად არ მიხედე, ფრთები ხომ გახუნდება და ოქროსფერ მტვრად დაიშლება. სპორტის გაკვეთილიც აქვთ. იცი, რა კარგად თამაშობენ ანგელოზები ფრენბურთს?

მთავარი საგანი „ადამიანია“ . ამ გაკვეთილის გაცდენის უფლება არავის აქვს, ვერცერთი ანგელოზი, თუნდაც ცუდ ხასიათზე მყოფი, თუნდაც სიცხიანი ან, უბრალოდ, გამოუძინებელი, ვერ გამოტოვებს გაკვეთილს. სამაგიეროდ, სკოლის დამთავრებისას ყველა ანგელოზი მიიღებს ფარატინა ფურცელს, სადაც ოქროს ასოებით ეწერება: პროფესია – ადამიანის მფარველი ანგელოზი, დიპლომირებული სპეციალისტი.

როგორ გითხრა, კარგად სწავლობდა პატარა ანგელოზი, ზარმაციც არ იყო, არც უგულისყურო. გონებაგაფანტული? ცოტათი. ზოგჯერ იმ თავის მერხზე მჯდარი, უფრო სწორად, ჰაერში გამოკიდებული, თვალებს ღრუბლებს მიაშტერებდა, მიაშტერებდა, იმის ქვემოთ, დედამიწისკენაც გაეპარებოდა მზერა და წარმოიდგენდა, როგორ თამაშობს ტალახიან გუბესთან ფუმფულა, შავი, შავი, ნახშირივით ლეკვი, როგორ აკვასკვასებს შავ თვალებს და თუ თავზე ხელს გადაუსვამ, როგორ აგილოკავს თავისი წითელი, წითელი ენით ხელს. ღმერთო, რა საყვარელი იყო ეს ლეკვი.

– ეი, მეშვიდე ანგელოზო, – ეტყოდა მასწავლებელი – ანგელოზებს ხომ სახელები არ ჰქონდათ, სახელებს მხოლოდ ადამიანები არქმევდნენ, – ეი, მეშვიდევ, სად დაფრინავ? აბა, მითხარი, ადამიანებს რა ადგილას აქვთ გული?

– ბბბბ... მმმმ, – აბლუყუნდებოდა ანგელოზი, ადამიანებზე სულაც არ ფიქრობდა, პატარა ლეკვზე ოცნებობდა, უნდოდა, რომ პატარა ლეკვის მფარველი ანგელოზი გამოსულიყო და არა რომელიმე გოგონასი ან ბიჭის.

ეს კი სასტიკად აკრძალული იყო! ზეცაში არავის ჰყავდა ძაღლი. რას ამბობ, ამ ქათქათა ღრუბლებზე რომ ლეკვს მოეშარდა, ამას რომელი ანგელოზი აიტანდა? ან რწყილები და ტკიპები? წარმოგიდგენია, ანგელოზი, რომელიც თავს იქექავს? არავითარ შემთხვევაში! ჰოდა, იცოდა პატარა ანგელოზმა, რომ ვერასდროს აისრულებდა ნატვრას.

მაგრამ წესიერი ანგელოზი იყო, კარგად სწავლობდა და, ბოლოს და ბოლოს, დადგა ის საზეიმო დღეც, როცა დიპლომი უნდა გადაეცათ.

– ახლა რა ხდება? – იკითხა პატარა ანგელოზმა, როცა ოქროსფერწარწერიანი ფარატინა ფურცელი გადასცეს.

– ახლა პრაქტიკის დრო დგება. დედამიწაზე უნდა ჩახვიდეთ და ის ბავშვი აარჩიოთ, რომლის მფარველი ანგელოზიც გახდებით. თუ თავად ვერ შეარჩევთ, მაშინ კომისია ოფიციალურად დაგნიშნავთ ვინმეს მცველად.

– როგორ უნდა ავარჩიო?

– გულს მოუსმინე, გული გიგრძნობს, ვის სჭირდება ყველაზე მეტად შენი დახმარება, – უთხრა მასწავლებელმა და ფრთები შეუსწორა, – ახლა მიწისკენ რომ დაეშვები, მაინცდამაინც მაშინ ნუ გაგიშტერდება თვალები, რამეს არ დაეჯახო.

წამოვიდა ანგელოზი თავის სახლში, შინ. იმ ღამეს ვერაფრით დაიძინა, გული გამალებით უცემდა. როგორც იქნა, დედამიწაზეც და ცაშიც გათენდა. ჯერ კიდევ რიჟრაჟი იყო, როცა ანგელოზმა თავისი სანდლები მოირგო, ფრთები შეამოწმა, ოქროსფერი დიადემა კარგად დაიმაგრა და დედამიწისკენ გაფრინდა.

ბავშვის პოვნა არც ისე მარტივი აღმოჩნდა. დედამიწაზე ბევრს სჭირდებოდა დახმარება, მშიერიც ბევრი იყო, დაჩაგრულიც, საწყალიც და ავადმყოფიც, ოღონდ ანგელოზს გული არავის უგრძნობდა, ყველა ეცოდებოდა, ედარდებოდა, ზოგს წყალს მიაწვდიდა, ზოგს ტვირთს უმსუბუქებდა, ზოგსაც ნიავს მიაგებებდა დასიცხულ შუბლთან, მაგრამ გულში, გულში ვერავინ შეუშვა. რა ექნა, ასე მარტივია გულის კარის გაღება? მით უმეტეს, ანგელოზებს ძალიან ნაზი გული აქვთ, უნაზეს, სიფრიფანა გალიებში გულის ნაცვლად იადონები უსხედან. თუ ცოტა დიდხანს გააღე, თუ რამე დაგავიწყდა, გაფრინდებიან და ფფფფრررრ – რჩება ანგელოზი გულის გარეშე.

იარა, იარა და უცებ... ღმერთო, რამდენჯერ წარმოიდგენდა ამ კადრს, რამდენჯერ დასიზმრებია და აი, ბოლოს და ბოლოს, დაინახა: შავი ლეკვი, ტალახიანი გუბიდან ნახშირივით შავი ლეკვი სვამდა წყალს. ანგელოზი ფრთხილად მიუახლოვდა. იმან ჯერ ყოჩაღად დაჰყეფა, ისე ყოჩაღად, რომ გუბესთან ჩამომსხდარი მტრედები დააფრთხო და დააფეთიანა. ანგელოზმა კიდევ სცადა მიახლოება და თავისი გამჭვირვალე ხელი გაუწოდა. ლეკვმა დაყნოსა, გაკვირვებული თვალებით მიაჩერდა, ჯერ არ უნახავს, ვინმეს ხელს თოვლის სუნი ჰქონოდა და თან როდის – გაგანია ზაფხულში. ანგელოზმა კიდევ ერთხელ მიუახლოვა დრუნჩთან ხელი, მერე თავზე მოეფერა. რა გრძნობა იყო! ფუმფულა შავ გუნდას ეფერებოდა, თბილს, წკავწავას, ლოკიას, გრუზათვალებას. რამდენ ხანს ოცნებობდა ამაზე პატარა ანგელოზი. მერე საგზლიდან დატკბილული ღრუბლის ფთილა ამოიღო და აჭამა. ისე გემრიელად მიირთვა იმანაც, თითქოს სულ ღრუბლებზე იყო გაზრდილი და არა იმ პურის ნატეხებზე, რასაც ქუჩაში იპოვიდა.

მოკლედ, დამეგობრდნენ.

დიდხანს ითამაშეს ერთად, გამვლელებს კი უკვირდათ, ბუთქუჩა, შავი ლეკვი საკუთარ თავს რომ ეთამაშებოდა, მაგრამ არავინ შეჩერებულა – ვის აინტერესებდა ერთი ციდა ძაღლი?!

როცა ზემოთ დაბრუნდა და ჰკითხეს, ვინ აირჩია, მან იცრუა, რომ პატარა, გრუზათმიანი და შავთვალება ბიჭის მფარველი ანგელოზი იქნებოდა.

ასე დაიწყო მათი მეგობრობა. სხვა ანგელოზები ადამიანებს მფარველობდნენ, ომებს აჩერებდნენ, მოჩხუბრებს არიგებდნენ, ის კი ფუმფულა ლეკვს დაჰყვებოდა კუდში. სხვა ძაღლებისგან იცავდა, დაავადებებს არიდებდა, ადამიანებისა და მანქანებისგან იფარავდა, საკვების პოვნაში ეხმარებოდა და, რაც მთავარია, ეთამაშებოდა. ასე გახდა მისი ლეკვი. ზემოთ ვერავინ ხვდებოდა ვერაფერს. ანგელოზებს წესად აქვთ – ერთმანეთს ენდობიან, არ ამოწმებენ, არ უსაფრდებიან. ერთი ისაა, რომ ყველა სხვა ანგელოზს სახელი ჰქონდა, რომელიც თავისმა ადამიანმა დაარქვა, პატარა ანგელოზს კი არ ჰქონდა სახელი – აბა, ლეკვი სახელს როგორ დაარქმევდა, ლეკვს მხოლოდ ცხვირის ალოკვა და თამაში შეეძლო. ვაფვაფი-მქვიაო, ასე განაცხადა ანგელოზმა, როცა სხვა ანგელოზებმა სახელი ჰკითხეს.

გადიოდა დრო, ანგელოზი მფარველობდა ძაღლს, ძაღლი გაიზარდა, გაიზარდა, მობერდა კიდეც. სხვა ანგელოზებს რა ანაღვლებდათ, ადამიანები ხომ დიდხანს ცხოვრობენ, აი ძაღლები კი გაცილებით მალე კვდებიან. დარდობდა ანგელოზი. ძაღლიც მფარველობდა თავის ანგელოზს, საფრთხეს ყნოსვით გრძნობდა, ხან წვიმას არიდებდა, ხან – ხანძარს. ცხოვრობდნენ ასე, უყვარდათ ერთმანეთი, დრო კი გადიოდა და რაც უფრო ბერდებოდა შავი ძაღლი, მით უფრო შფოთავდა პატარა ანგელოზი – ის ისევ პატარა იყო, ანგელოზები ხომ არ იზრდებიან.

სულ აპირებდა, სხვა ანგელოზებისთვის ეთქვა სიმართლე, თავისი ძაღლის ცაში წაყვანა ეთხოვა, მაგრამ ვერ ბედავდა, ვერაფრით ბედავდა. როგორი საქმეა? ძაღლს რა უნდა ცაში?

ერთ დღესაც შავი ძაღლი მოკვდა. ანგელოზმა დიდხანს იტირა, იტირა, ბოლოს სულის ერთი შებერვით მტვრად აქცია და სხვა რა გზა იყო? ცაში დაბრუნდა სამუდამოდ.

წესის მიხედვით, ახალი ვინმე უნდა აეყვანა მფარველობის ქვეშ, მაგრამ მიზეზი არავის აუხსნა, ყველა შემოთავაზებაზე უარი თქვა და თავის ღრუბლების სახლში ჩაიკეტა. ძალიან ენატრებოდა ძაღლი და ყველაზე მეტად საკუთარ თავზე ბრაზდებოდა – რომ გაებედა და მოეყოლა, იქნებ ცაში წამოყვანის უფლება მიეცათ.

ტიროდა, ტიროდა, ენატრებოდა ძალიან. როცა ერთი ანგელოზი ტირის, ყველა ტირილს იწყებს, ამიტომ დარდიანი დღეები დადგა ცის სამეფოში.

იკვლიეს მიზეზი, იკვლიეს და ბოლოს აღიარა პატარა ანგელოზმა ჯერ თავისი ტყუილი, მერე თავისი შიში და ბოლოს თქვა:

– თუ გინდათ, ციდან გამაგდეთ, ჩემი გული მაინც აღარაა აქ, დიდი ხანია, მიწაზე გაფრინდა.

ანგელოზებმა იფიქრეს, იფიქრეს, იმსჯელეს, იკამათეს და ბოლოს გადაწყვიტეს.

როგორ გგონია, რას გადაწყვეტდნენ?

შენც დაინახე, გრუზა, ნახშირივით ლეკვს რომ მიაქროლებდნენ პატარა ანგელოზთან?

ის კი არა, მფარველი ანგელოზების სკოლაში დამატებითი სპეციალობაც დაუმატეს. სკოლის დამთავრებისას ფარატინა ფურცელს გადმოგცემენ, რომელსაც ოქროსფერი ასოებით ეწერება:

„პროფესია – ძაღლის მფარველი ანგელოზი, დიპლომირებული სპეციალისტი“.

რას მიყურებ, შენ გადმოგცემენ, შენ, აბა, სცადე და შენი საუზმე იმ ქუჩის ლეკვს გაუყავი!

შორენა ძამუკაშვილი

ნეტავ ისევ გვყავდეს დამსწრე!

– ბახ!

– ბახ!

– ბახ!

კალამი ჰარმონიულად ავაკაკუნე პისტოლეტის წინ, რომელიც საშინაო დავალების უჯრებიანი რვეულის ბოლო გვერდზე დავხატე.

– ბახ!

– ბახ!

– ბახ!

ტყვიებს ვისვრი და ფურცელიც კალმის წვერით იჩვრიტება ისე, როგორც ჩვენი ოთახის ფანჯარაზე გაკრული ცელოფანი დაიხვრიტა გუშინ სეტყვისაგან. როგორ შეგვეშინდა! დედა გვამშვიდებდა, თუმცა ვატყობდი, არანაკლებ ეშინოდა, ეს მიწური სახლიც არ დაგვქცეოდა თავზე. ისევ ვიგრძენი სეტყვისაგან დაჩეჩქვილი ბალახისა და მკვახე ყურძნის სუნი... ფანჯარიდან ცას გავხედე. ღრუბლის ნაგლეჯიც არაა. რა კამკამაა ცა იმ წყაროსავით, დაბალ ტყეში, ჯაგრცხილის ძირში დაუკითხავად რომ ამოსულა. ეს წყარო უბნის ბავშვების თავშეყრის ადგილია (ყველაზე კარგად ვთამაშობთ ომობანას, ხან კი ჩიტებს დავდევთ და ისე გვიღამდება, დროის გასვლასაც ვერ ვიგებთ), ხოლო დაბალი ტყე – ათასი ხიბა-ხუბის მომცემი: რას არ ნახავთ იქ, ველურ ვაშლს თუ პანტას, შინდს თუ მაყვალს, ქლიავს თუ კაკალს. ჯიბეებს ისე გავიტენი ხოლმე, წკეპლას ვიჭერ, რომ არ ჩამძვრეს ძველი, გახეხილი ჯინსის შარვალი. ეჰ, ნეტა ახლა იქ ვიყო.

კალამი ისევ მოვიმარჯვე და თამაში გავაგრძელე. ვისვრი. როლში შევიჭერი. მომწონს კიდეც ჩემი მოგონილი პერსონაჟი. რასაც უნდა, იმას აკეთებს. ხან ომობანას თამაშობს, ხან მანქანას ატარებს, ხან მდელოზე კოტრიალობს და ღრუბლებს ითვლის. მასთან ყველა ბავშვი თამაშობს. ის უყვართ. თავადაც უყვარს ბავშვები. ყველაფერი აქვს: ტელეფონი, მგონი, მოკბეჩილი ვაშლი რომ აქვს მიხატული და ისეთი შოკოლადებიც, ნიკას რომ მოაქვს ხოლმე სკოლაში, მამამისის გამოგზავნილი ამერიკიდან. ხშირად მიფიქრია, როგორი გემო აქვს და ნერწყვიც მომდგომია, მაგრამ არასოდეს მითხოვია, ეჭმია ჩემთვის. დედა ყოველთვის მაფრთხილებს – შეიძლება გვიჭირს, მაგრამ არავის სთხოვო არაფერიო. შიმშილის გრძნობა ამეკვიატა.

მშია!

მშია!

მშია!

კალამი დავდე. კუჭი მეწვის. სკოლიდან რომ დავბრუნდები, დედა რა საჭმელს მოიტანს ნეტა? მაკარონი აღარ მინდა. ყელში ამომდის უკვე. დილას პატარა ნატეხი პური ძლივს შემხვდა. ხუთივემ გავიყავით. დედამ არ ჭამა, არ მშიაო, და მეზობელთან წავიდა – სახლის დალაგებაში უნდა მიეხმაროს. ის ცოტა ფულს მისცემს და საჭმელს ვიყიდით. კარგია, რომ დაუძახეს. ხშირად არ ეძახიან, რადგან ავადობის გამო უჭირს მუშაობა. თან ისეთი გამხდარია, მეცოდება კიდეც, ამდენს რომ შრომობს. მდიდარი მეზობლები გვყავს. გვეხმარებიან ხოლმე ტანსაცმლით და საჭმლით. მამა ფერმაშია. ვიღაცის საქონელს უვლის. იშვიათად მოდის და მაშინაც სულ ჩხუბობენ დედა და ის, რადგან სულ

მთვრალია და ხელფასი არასდროს მოაქვს სახლში. ათასში ერთხელ რძეს თუ მოგვიტანს ორ ბოთლს, ეგ არის და ეგ. ამით მთავრდება მისი მოვალეობა და პასუხისმგებლობა, როგორც დედა ამბობს. ხან აღარც კი მინდა მოვიდეს, განა არ მიყვარს და იმიტომ? არა, მე რომ მამა ვიყო, ასე არ მოვიქცეოდი. დედა სულ ტირის. სახლი ძველია, ნახევრად დანგრეული. არც მიწა გვაქვს და არც საქონელი გვყავს. დედამ ბევრჯერ ინატრა, საქათმე მაინც გვქონოდა, ქათამს გავიჩენდით და კვერცხიც გვექნებოდაო. რომ გავიზრდები, უნდა ავაშენო, აუცილებლად, დედას გავახარებ. მინდა, მალე გავიზარდო. ძმებში უფროსი ვარ. დედას სჯერა ჩემი და იმედიც აქვს... ცრემლები მომებჯინა, ერთი კურცხალი ჩამოგორდა კიდეც ტუჩებთან. მლაშე გემო ვიგრძენი. მომინდა, დედისთვის ხმამაღლა მეთქვა, რომ მიყვარდა ძალიან....

ვიღაცამ მუჯლუგუნი წამკრა გვერდში და ჩამომივარდა ხელებზე დაყრდნობილი თავი. ფიქრები გაიფანტნენ მტრედების გუნდივით. ნიკა დამდგომია თავზე. პირი მუხლამდე აქვს დაფჩენილი.

– რას ხატავ, ერთობი? ელზა მასწავლებელს არ უსმენ? – მომაყარა კითხვები.

– არაფერს არ ვხატავ! – ვუპასუხე და რვეული საჩქაროდ დავხურე.

ზარია. გაკვეთილი იწყება. შესვენებაზე მასწავლებელმა არ გაგვიშვა კლასიდან. მე კი დავიღალე და ხატვა დავიწყე. არც გამიგია, რაზე გვესაუბრა. ცალკე უკვე შიმშილიც მაწუხებს. ხაჭაპურის სუნი ვიგრძენი. გვერდითა რიგში, მოპირდაპირე მხარეს მჯდომ შავთმიან დათოს მერხის ქვეშ ხელი აქვს შეყოფილი, ხაჭაპურს აგლეჯს პატარა ნაჭრებს და ჩუმად იდებს პირში. რამდენი ხანია, არ მიჭამია ხაჭაპური. ძვირი ღირს. შეიძლება არც ისე, მაგრამ დედა ვერ მაძლევს ფულს. არც აქვს. ამ ფულით სამ პურს ვყიდულობთ და ყველას გვყოფნის. ვერც ვითხოვ ალბათ ვერასოდეს. მინდა, აღარ ვიფიქრო ჭამაზე, რადგან უფრო მშივდება, მაგრამ ფიქრები დაუკითხავად დაქრიან ტვინში, არც კი მეკითხებიან, რისთვის მსტუმრობენ ან რისთვის მიდიან. ამ დროს არც მესმის ხოლმე, რას ამბობს ელზა მასწავლებელი.

წინა გაკვეთილიც, დასვენებაც და ახლა მუსიკის გაკვეთილიც მათემატიკის გაკვეთილებმა დაიკავა. ამოცანებს და შეკითხვებს ჩემი პისტოლეტის ტყვიებივით გვაყრის ელზა მასწავლებელი. დავალებებს შორის კი სულ გვარიგებს, როგორ მოვიქცეთ დამსწრესთან. თან გვაშინებს, თუ ცუდად მოვიქცევით, ვიხმაურებთ და არ ვიყოჩაღებთ, გაგვიბრაზდება და დამსწრესაც არ მოვეწონებით. მერე შეიძლება დირექტორიც გაგინაწყენდეთ და ექსკურსიაზე აღარ გაგიშვათო. ამ სიტყვებს რომ ამბობდა, ლურჯი თვალები ფართოდ გაახილა, აქეთ-იქით შემოატარა და მზერა ჩემთან შეაჩერა. სულ მგონია, არ ვუყვარვარ. გაკვეთილი არ გავა, რომ შენიშვნები არ მომცეს, ან საერთოდ დავავიწყდები ხოლმე. თავი დავხარე. მერხში ჩაძრომა მინდოდა და გაქრობა.

სკოლას ხომ არ დაგვატოვებინებენ, თუ დამსწრეს არ მოვეწონებით? ნეტა, ვინაა ეს დამსწრე და რის ნახვა აინტერესებს? არასოდეს არავინ დაგვსწრებია. ღელავს მასწავლებელი. ადრე თუ შეეძლო გაკვეთილზე ტელეფონისთვის ეპასუხა ან საუბარი გაება, დღეს თუ ვინმე დაურეკავს, უთიშავს. ნეტა დამსწრე კაცია თუ ქალი? ალბათ მკაცრი სახე აქვს და საშიში გამოხედვა... არ მინდა, რამე შემეშალოს ჩემდა უნებურად. რა მეშველება, თუ დამსწრეს არ მოვეწონები, არ მინდა, სკოლა დამატოვებინონ ან კლასში ჩამტოვონ. დედას შევპირდი, რომ ვისწავლი და აუცილებლად დავამთავრებ სკოლას.

დამსწრე – ესეც ბედია. არადა, ჭამის გარდა არაფერზე მეფიქრება ისევ. დავიღალე ჯდომითაც. ჩანთის თასმას ვაწვალებ. მთელი დასვენება ელზა მასწავლებლის ლაპარაკი გაბმულად მესმოდა, არ ჩერდებოდა. ამოცანის პირობას კითხულობდა, ტექსტი დიდი იყო და ბოლომდე ვეღარ მოვუსმინე, სიტყვები გაფრინდნენ. არადა, მაინტერესებდა. სწრაფად კითხულობდა. ნეტა ნახატითაც ეჩვენებინა იმის შინაარსი, რასაც კითხულობდა, ან დაფაზე დაეწერა დიდი ასოებით, ან სულაც ნელა წაეკითხა და გაემეორებინა პირობა. იქნებ მაშინ გამეგო. სულ ასეა, მიჭირს მათემატიკა, თანაც, როგორც თვითონ ამბობს, ჩემნაირი ქცევების, უყურადღებო და ზარმაცი არავინ ჰყავს კლასში. ერთხელ კლასის ხელმძღვანელს ვითომ დაბალი ხმით უთხრა: პატრონი არ ჰყავს და ეტყობა, ინკლუზიურიცააო. ნინო მასწავლებელმა კი უპასუხა: დავაკვირდეთ და მშობელს დაველაპარაკოთ, იქნებ შეფასებაც სჭირდებაო.

– ესეც რომ დამემატოს გეგმების წერაში, გავთავდები, – ჩაილაპარაკა ელზა მასწავლებელმა. თან თვალების ქვეშიდან დანაშაულით სავსე მზერა მესროლა... მთელმა კლასმა გაიგო მაშინ. მგონი, თათამაც, აუტისტი რომაა და ხანდახან თავის სამყაროში ბედნიერად ცხოვრობს. არც გამკვირვებია. ელზა მასწავლებელი ემოციების ხმამაღლა გამოხატვას არ ერიდება ხოლმე, მაგალითად, იმის თქმას, რომ არ გაუმართლა და ამ კლასში რამდენიმე ინკლუზიური მოსწავლე ჰყავს. ნეტა რას ნიშნავს ინკლუზიური? დედასაც ვკითხე და არ იცოდა. ყველაზე მეტად პატრონი არ ჰყავსო, ეგ მომხვდა გულზე. ისე მაინც ეთქვა, არ გამეგო. მახსოვს, ცრემლები ჩამიდგა თვალებში, ხელებით დურბინდი გავაკეთე და თვალებთან მივიტანე. ელზა მასწავლებელს კი ეგონა, რომ მას ვაბრაზებდი. როგორ განსხვავდება ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი თინა მისგან. ვუყვარვარ და სჯერა ჩემი, სულ მეფერება და მამხნევებს, რომ ყველაფერს შევძლებ. ყველანაირად ცდილობს, დამეხმაროს სწავლაში: ტექსტებს მინაწილებს, ნახატებითაც მაჩვენებს ხოლმე შინაარსს, რამდენჯერმე მიმეორებს დავალების პირობებს, ინსტრუქციებს თუ შეკითხვებს. ცდილობს, ხშირად ამაყენოს, ხან დაფასთან გავყავარ, ხან რვეულებს მარიგებინებს, ხან ჯგუფებისთვის მერხების მოწყობაში ვეხმარები, ხანაც დაფაზე სურათებს ან დიდი ზომის

ფურცლებს ვაკრავ. ჩემი ასისტენტი ხარო, ხშირად მეუბნება და მადლობას მიხდის. ამ გაკვეთილზე კი ველარ დახტიან ჩემს ტვინში დაუკითხავად ფიქრები, აღარც ძველი, დალაქული ჩანთის თასმას ვაწვალებ ხშირად, აღარც სკამიდან ვდგები და არც ფეხებით ვაწვები ჩემ წინ მჯდარი ლოყებწითელა, ფუნთუშასავით ფუშფუშა რეზოს მერხს. ყურადღებით ვარ და ყველაფერიც კარგად მესმის. გინდაც რაღაც შემეშალოს, ვიცი, თინა მასწავლებელი ხელმეორედ ამიხსნის და არ დამანებებს თავს, სანამ არ გაიგებს, რომ გავიგე. მიყვარს თინა მასწავლებელი.

– დამსწრეს მიესალმეთ! – ჩამესმა ელზა მასწავლებლის ხმა. წამოვდექით და ყველამ ერთხმად გამარჯობა ვთქვით. დავინახე, პირველ მერხთან მჯდარმა გუგამ პირჯვარი როგორ გადაიწერა. ეტყობა, მასაც ეშინია და ღმერთს სთხოვა შველა. რა უცნაურია. გამეღიმა.

დამსწრე საკლასო ოთახში შემოვიდა. ყვავილების სურნელება და სინათლე შემოიტანა, ისეთი ლამაზი კაბა აცვია. დირექტორის შემდეგ თბილად მოგვესალმა, გაგვიღიმა და დაგველაპარაკა, სანამ კლასის ბოლოში დაჯდებოდა.

– ბავშვებო, მინდა გთხოვოთ, მომცეთ ნება, რომ თქვენს გაკვეთილს დავესწრო. ერთმა ჩიტმა ამბავი მომიტანა, თუ როგორი ყოჩაღები (ნუთუ მეც ვითვლები?) ხართ მათემატიკის სწავლაში. მსურს, ვისწავლო თქვენგან ის ჯადოსნური ხერხები, რითაც სხვადასხვა თემას ამუშავებთ და სხვა ბავშვებს გავუზიარო, ვასწავლო. თუ დამთანხმდებით, თქვენთან ერთად ვიქნები ეს ერთი გაკვეთილი.

ვაა, რა ხდება? დამსწრე პირქუში რომ მეგონა და მკაცრი, დახმარებას გვთხოვს, გვიღიმის, გვეფერება და თან გვაქებს. დაუკითხავად არც კი უნდა დარჩეს ჩვენთან. მასწავლებელი და დირექტორიც გვიღიმიან. რა თქმა უნდა, ვაჩვენებთ ჩვენს გაკვეთილს და მივცემთ უფლებას, იყოს ჩვენ გვერდით. უცხოს დასწრების შიში გაქრა. ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილა. რა თბილად გვიყურებს! დირექტორმა ჩუმად ბოდიში მოუხადა და გაკვეთილიდან გავიდა. ყვავილებიანი კაბა ჩემ უკან დაჯდა, ისეთივე სკამზე, როგორზეც ჩვენ ვსხედვართ. არ ისურვა მასწავლებლის სკამზე დაჯდომა, რომელიც იმან წინასწარ გაუმზადა. ისევ მაგიდასთან დაუდგა. დაჯდა და თითქოს აშრიალდნენ მდელოზე ყვავილები, პეპლებიც აფარფატდნენ. ისე ცხადად მომეჩვენა, ორჯერ მივაბრუნე თავი, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ ვცდებოდი.

გაკვეთილი დაიწყო. დამსწრე რაღაცებს ინიშნავს. გვითხრა, რასაც თქვენგან ვისწავლი, ჩავინიშნავ, რომ არ დამავიწყდეს, განსაკუთრებით იმას, რაც მომეწონებაო. ეტყობა, ყველაფერი მოსწონს. კალამი არ დაუდია, წერს. უკან მივიხედე. ელზა მასწავლებლის ხელი ვიგრძენი მხარზე და ჩურჩული – რვეული გადაშალე და საშინაო დავალებას თვალი მიადევნეო. დავალება არ მაქვს. გუშინ ვერ მოვასწარი ჩანიშვნა. არც ტელეფონი მაქვს, სურათი გადამეღო დაფის კუთხეში დაწერილი დავალებისთვის. ვიღაცას წაეშალა. თავი დავხარე. პირველად შემრცხვა. შიმშილი დამავიწყდა. არ მინდოდა, დამსწრეს გაეგო. შემოწმება მორჩა. მე არ ავუყენებივარ, კიდევ კარგი, ელზა მასწავლებელს.

– დაფასთან ვინ გამოვა? – იკითხა მასწავლებელმა. ბავშვებმა ხელი აიწიეს.

– მე გამოვალ მას! მე გამოვალ მას! – წამოვხტი და ვიხვეწები გამოსვლას.

– დაჯექი! ვინც წყნარად იჯდება და ისე აიწევს ხელს, მას გამოვიყვან!

ნიაკო გაიყვანა. ამოცანა წააკითხა და სთხოვა, პირობა ჩაეწერა. მერე შაკო გაიყვანა, მერე – ნინო, მერე – ლუკა... მათ იციან მათემატიკა, ჩემსავით არ უჭირთ. წერენ და შლიან დაფაზე. მე ვერ ვასწრებ ჩაწერას. მაგალითების ამოხსნა დაიწყეს. დავიღალე. სკამს ვაწვალებ. ხან წინ ვიწევი, ხან უკან. ველარ მივდევ გაკვეთილს. ველარ ვჩერდები. დაფიდან ცარცის საწმენდი ნაჭერი ჩამოვარდა. წამოვხტი და დავდე. მასწავლებელმა შენიშვნა მომცა, დაუკითხავად ნუ დგებიო. ხმის კანკალი შევამჩნიე. მხარზე ვიღაცამ ხელი დამადო და ჩუმად ფურცელი მომაწოდა. დამსწრე იყო. ეს მაგალითები დაფიდან გადავწერე, შეგიძლია ჩაწერო და ამოხსნა, რადგან ვერ მოასწარიო. ფურცელი გამოვართვი.

– ამისთვის გამზადებული მაქვს მარტივი მაგალითები, ველარ მოვახერხე, რომ მიმეცა!

ელზა მასწავლებელმა დიდ ფურცელზე დაწერილი და სურათებით გაფორმებული მაგალითები დამიდო.

– გიორგის უძნელდება მათემატიკის სწავლა, უყურადღებოა, უჭირს გაკვეთილზე გაჩერებაც. შეიძლება ინკლუზიური ბავშვიცაა. ვცდილობ, შესაბამისი დავალებები მოვუტანო ხოლმე, – ჩუმად აუხსნა დამსწრეს.

არადა, ამ დღის გარდა, არ მახსოვს, რამე მოეტანოს ჩემთვის. ისევ ეს ინკლუზიური ბავშვი. რატომ ვარ ინკლუზიური? ვინ მეტყვის? ან რას ნიშნავს? ალბათ რაღაც ისეთია, რომ დამსწრესაც უნდა სცოდნოდა. ეჰ, არ მინდა, დედამ ინერვიულოს, ან სკოლის დამთავრებაში ხელი შემიშალოს.

კალათებისა და ხილის სიფერადემ თვალები ამიჭრელა. კლასი დამოუკიდებლად მუშაობს. ელზა მასწავლებელმა ჩუმად ამიხსნა, რა უნდა გავაკეთო, წამაკითხა ოთხივე მაგალითი. მთხოვა, თითოეული მაგალითის ამოხსნისას შესაბამის ნახატს დავხედო. ამოხსნა დავიწყე. უცებ თათა წამოხტა, დამსწრესთან გამოიქცა და ჩაეხუტა. წერა შევწყვიტე. შეშფოთებული სახით გამოჰყვა ნატა მასწავლებელი (ელზა მასწავლებელმა თათას დამხმარეაო, ასე გაგვაცნო). ის ყოველთვის თათას გვერდითაა, ეხმარება, გაკვეთილზე რომ გაჩერდეს და დავალებები შეასრულოს. თათა ხშირად ხატავს და აფერადებს რიცხვებს ან კალათში ჩალაგებულ ხილს, თუმცა ათასში ერთხელ რიცხვებსაც წერს და ითვლის კიდეც. თუ დაიღლება, სიარულს იწყებს ან ხმაურს ტეხს. ჩვენ მივეჩვიეთ,

აღარ ვაქცევთ ყურადღებას, მაგრამ ელზა მასწავლებლის თხოვნით, მაშინვე გაჰყავს ხოლმე ნატა მასწავლებელს კლასიდან.

ამჯერად ეტყობა, ვერ მოასწრო თათას შეჩერება. დამსწრეც ჩაეხუტა. თათა დაინტერესდა, რას იწერდა, ფურცლები და ფანქრებიც სთხოვა. დამსწრემ ფურცლები მისცა და დაპირდა, რომ ფანქრებს აუცილებლად გამოუგზავნიდა. ნატა მასწავლებელმა, როგორც იქნა, დააბრუნა მერხთან, მაგრამ თათამ ხმამაღლა დაიწყო თხოვნა, ისიც გამოეყვანათ ფლიპჩარტის დაფასთან შეკითხვებზე საპასუხოდ, რომლებიც მასწავლებელს წინასწარ მოემზადებინა და გაეფორმებინა ფერადი მარკერებით. ელზა მასწავლებელი ყურადღებას არ აქცევდა და სხვებს იძახებდა. თათა უფრო და უფრო გაჟინიანდა და ხმამაღლა ითხოვდა გამოსვლას. ელზა მასწავლებელი იძულებული გახდა, გამოეყვანა. ყველას გასაოცრად, თათამ შეკითხვებიდან რამდენიმეს სწორედ უპასუხა. ბედნიერი იყო.

ფურცელზე დაწერილი მაგალითები, უნდა ვაღიარო, რომ სიამოვნებით ამოვხსენი. ინტერესით ვანგარიშობდი, კალათში რამდენი ფუნთუშა ედო წითელქუდას, ან რამდენი ძროხა ჰყავდა კომბლეს. უკან მივტრიალდი და ფურცელი დამსწრეს გავუცურე მერხზე თითით. მან გამიღიმა, შემაქო და ჩუმად მითხრა, ელზა მასწავლებელს დავლოდებოდი, რადგან ის შემიმოწმებდა. გაკვეთილი დასასრულს უახლოვდებოდა. შევატყვე, ელზა მასწავლებელი ჩქარობდა. დამოუკიდებელი სამუშაოს გულდასმით შემოწმება ვერც კი მოასწრო, მერხებთან ჩქარ-ჩქარა მივიდა და დახედა ნამუშევრებს. ჩემთანაც მოვიდა, ერთი გადაავლო თვალი და ყოჩაღო, მითხრა. ყველას გვიყოჩაღია, ასე გამოდის. თათამაც კი გაართვა თავი მისთვის განკუთვნილ დავალებას. ნეტა რას ნიშნავს ეს „ყოჩაღ“? რომ ეთქვა, რისი სწავლა მეხერხება და რა გამომდის კარგად მათემატიკაში, დედას ვეტყოდი. ნეტა ინკლუზიური ვარ თუ ყოჩაღი? დავიბენი...

ვეღარ ვისვენებ. მერხის ქვეშ შევყავი მზისა და კაკლის წენგოსგან გაშავებული ხელები და ჩანთის ელვა-შესაკრავს დავუწყე წვალება. მინდა, ავდგე. მასწავლებელმა დაფიდან დიდი ფერადი ფურცლები ჩამოხსნა და კომპიუტერი ჩართო. ეკრანზე რიცხვებმა დაიწყეს ხტუნაობა, ათეულები და ერთეულები კუბიკების სახლებს აშენებენ, ისეთს, ლეგოთი რომ შენდება ხოლმე. გამახსენდა, რომ ლეგო არასოდეს მქონია. მასწავლებელი შეკითხვებს სვამს. რა კარგია, რომ ვხედავ ამ შეკითხვებს. ხელი უნდა ავიწიო.

– მას, მას, მას!

– მას, მას, მას!

ჩემი ხმა და ხელი მოსწავლეების ხელების ტყეს და ხმას უერთდება.

ხან ვინ პასუხობს, ხან – ვინ. მეც მინდა, ვუპასუხო. არ მეკითხება. მხოლოდ შენიშვნა მომცა, რომ დავჯდე მერხთან და ხელი ჩუმად ავიწიო. ვეღარ ვითმენ. სადაც არის, დასრულდება გაკვეთილი. კისერი მოვგრიხე და უკან გავიხედე. დამსწრემ გამიღიმა. შევბრუნდი. ხელი ისევ აწეული მაქვს. შეკითხვები გრძელდება. ნეტა რა კითხვა დასვა, ვეღარ გავიგე, არადა, ხელი მაქვს ისევ აწეული.

– გიორგი შეძლებ პასუხის გაცემას? სამ ათეულს და სამ ერთეულს გამოვაკლოთ ცხრა ერთეული, რამდენია?

წამოვდექი და ეკრანს მივაშტერდი. შეკითხვა ვერ გავიგე.

– თუ შეიძლება, გამიმეორეთ მას? – ძლივს წარმოვთქვი.

– ყურადღებით უნდა მომისმინო, დრო აღარ გვრჩება გამეორებებისთვის! – მწყრალად შემომხედა ელზა მასწავლებელმა, შემდეგ გამიღიმა და შეკითხვა გამიმეორა. ეკრანს დავაშტერდი ისევ. ფარფატებენ რიცხვები ტვინში. ვფიქრობ. ოღონდ შევძლო... ოღონდ შევძლო... მინდა, დავამტკიცო, რომ შემიძლია. შრომით დაღლილი დედა და ჩემი პატარა და-ძმა გამახსენდა. კუბიკებს დავაკვირდი და თვლა დავიწყე. გავწითლდი. ვღელავ, თითქოს დრო გახრჩობსო, ისე ვარ. მინდა, მოვასწრო პასუხის თქმა.

– გიორგი, შეძლებ? გელოდებით!

– ორი ათეული და ოთხი ერთეული!

– ყოჩაღ, გიორგი, ყოჩაღ. მეგონა, ვერ შეძლებდი.

ზარი დაირეკა. აღარ მესმოდა, რას ამბობდა ელზა მასწავლებელი. დამსწრემ მხარზე ხელი დამადო, გამიღიმა და ყურში მიჩურჩულა:

– გიორგი, ყოველთვის გვჯეროდეს შენი შესაძლებლობების! ჩვენ ყველა განსხვავებულები ვართ, ყველას გვჭირდება განსხვავებული დრო და მხარდაჭერა, რომ ვისწავლოთ. საინტერესო და მრავალფეროვანი გაკვეთილები კი გვაძლევს ამის საშუალებას. მთავარია, მოინდომო და აუცილებლად მიაღწევ მიზანს!

გაკვეთილები დამთავრდა. მივდივარ სახლში და შიმშილი აღარც მახსოვს. დღეს განსაკუთრებული გაკვეთილი გვქონდა მათემატიკაში და ელზა მასწავლებელიც სხვანაირი იყო. სახლისკენ მიმავალმა გზისპირას ოთხფურცლიანი სამყურა შევნიშნე. დედაჩემისგან გამიგია, სურვილი უნდა ჩაიფიქრო და აუცილებლად აგისრულდებაო. გამახსენდა, როგორ ვეძებდი ერთხელ, დედას დაბადების დღე მოდიოდა და მინდოდა, სურვილები ჩამეთქვა. გული ამიჩქარდა. რა მინდა ახლა, ყველაზე მეტად ვინატრო?

– ნეტა ისევ გვყავდეს დამსწრე!

– ნეტა ისევ გვყავდეს დამსწრე!

გავიმეორე ორჯერ და სამყურას დავხედე.

ნათია გოგიჩაიშვილი

ხი თუ არა?

დღე ნაკლებად უღიმღამოდ დაიწყო. ოღონდ არა იმიტომ, რომ რამე კარგი უნდა მომხდარიყო. არა, უბრალოდ, დღეს პირველი დღე მქონდა ახალ სკოლაში და სანამ ყველაფერი ისევ გაუღიმღამოვდებოდა, ცოტათი უფრო დაძაბული უნდა ვყოფილიყავი.

დედა და მამა უკვე სამსახურში იყვნენ. ჩანთა ჩავალაგე. განა რა მქონდა ჩასალაგებელი – ნოუთბუქი და დამტენი, პლუს ჩემი წვრილმანები – მაგრამ მაინც. აუ, ადრე როგორ დადიოდნენ სკოლებში... მილიონი წიგნი, რვეული... კიდევ კარგი, ახლა საჭირო ტექსტებიც ელექტრონულია და დაწერითაც ვორდში ვწერთ, თორემ რა ათრევდა იმსიმძიმე რაღაცებს.

მოკლედ, ჩავლაგდი და წავედი. ცოტა ხანს სკოლასთან ვიბორიალე. როგორც დაგვიანება არ ვარგა, ისევე არ ვარგა ადრე მისვლაც. მერე ვიღაცებს უნდა გაეცნო, ისა, ესა... თან არ იცი, რომელი ადგილია თავისუფალი და ან ვინმეს ადგილზე უნდა დაჯდე და მერე რაღაც ლაპარაკები იყოს, ან კედელთან უნდა იდგე, სანამ ყველა არ დაჯდება და მერე აირჩიო სკამი. მაგას ჯობია, ზუსტად გაკვეთილის დაწყების წინ შეხვიდე და ცარიელ ადგილას დაჯდე. რაც შეიძლება უკან.

ამჯერად ზუსტად მაგ დროს ვერ შევიდოდი, ჯერ კლასი მქონდა მოსაძებნი, მერე, ალბათ, მასწავლებელი გამიბამდა მოსალმებებს და ეგეთებს. ცოტა დრო უნდა გამეთვალა მაგაზე, თორემ მერე მომიწევდა უკვე დალაგებული ბავშვების წინ დგომა და ჩემს თავზე ლაპარაკი (კიდევ კარგი, უკვე გამოსულები ვართ მაგ ასაკიდან, მასწავლებლები ამას სპეციალურად რომ გვაკეთებინებდნენ, ახლა შემთხვევით თუ აღმოჩნდები ფეხზე, როცა ყველა ზის).

დროის გათვლა კარგად გამომდის. საერთოდ, ყველაფერი კარგად გამომდის, რაც უჩინრად დარჩენაში მეხმარება. ამ ხელოვნებას ბავშვობიდან ვეუფლები და შემიძლია ვთქვა, უმაღლესი დონის სპეციალისტად ჩამოვყალიბდი. თუმცა, ალბათ, თანდაყოლილი ნიჭიც მქონდა. თავიდანვე უჩინარი ვიყავი ხოლმე თითქმის ყველგან. სახლშიც, ეზოშიც (თუ ჩავდიოდი), ნათესავებთანაც. თითქოს ყველამ იცოდა ჩემი სახელი, ყველა ნაბიჯი, რომელსაც ვდგამდი, სად ვსწავლობდი, რას და როგორ, რა ფერის თვალი და თმა მქონდა, რა ზომა ტანსაცმელს ვიცვამდი, რა წიგნი წამეკითხა. და მაინც, შეგრძნება მქონდა, რომ ვიღაც სხვაზე ლაპარაკობდნენ. თითქოს მე ვიყავი თორნიკე, არადა, ის თორნიკე, რომელსაც ისინი ახსენებდნენ, მეუცხოებოდა. თითქოს ტანსაცმელი იყო, რომელიც მეცვა და ყველა (დედაჩემიც და მამაჩემიც) მხოლოდ ჩემს ტანსაცმელს ხედავდა და მასზე ლაპარაკობდა. ტანსაცმლის შიგნით კი მე ვიჯექი და არაფერს ვუხსნიდი, რადგან მეგონა, ხმას თუ ამოვიღებდი, ან ძალიან დაიბნეოდნენ, ან საერთოდ ვერ გაიგებდნენ. ისინი კი არა, ვერც მე ვიგებდი, რის თქმა მინდოდა, მაინც რა მაწუხებდა. ამიტომ ისევ ვჩუმდებოდი.

რაც თავი მახსოვს, უჩინარი ვარ. ძალიან პატარა ვიყავი, როდესაც ტელევიზორში კონცერტს ვუყურებდი, მაგიდიდან ორი ჩანგალი ავიღე და დრამერივით დავაკაკუნე ძირს. ამან ისეთი აღტაცება გამოიწვია, რომ თავი ძალიან მნიშვნელოვნად ვიგრძენი და გახარებულმა გავაგრძელე ბრახაბრუხი. მერე ნამდვილი დრამები მიყიდეს. პატარა, ჩემი ზომისა. ძალიან გამიხარდა და ვარახუნე და ვარახუნე. მერე მომბეზრდა. მაგრამ ჩემები იმდენ ვიდეოს მიღებდნენ და ისე ხშირად აჩვენებდნენ სხვებს, რომ მეც ვურტყამდი და ვურტყამდი, თუმცა პირვანდელი ხალისი დაკარგული მქონდა. ასე შემოვრჩი დრამებს კარგა ხანს.

იგივე მოხდა წიგნებზე. ბავშვობაში ბევრს ვკითხულობდი. მამას განსაკუთრებით უხაროდა ლიტერატურით ჩემი გატაცება. და რო-

დესაც წერაც ვცადე, უკვე დედაც დაინტერესდა და ყველა შესაძლო მიმართულებით მირჩია კურსები. რამდენიმე გავიარე კიდეც: მხატვრული წერის, ანალიტიკური წერის, ლიტერატურის კრიტიკის, ლიტერატურის თეორიისა და უახლესი ლიტერატურის მოკლე კურსები. წერა მართლა მიყვარდა. კითხვაც. მაგრამ ისე გამოვიდა, რომ მხოლოდ ამას ვაქცევდი(თ) ყურადღებას და სხვა საგნები გვერდზე მომრჩა. არადა, მაგალითად, მათემატიკა ძალიან მიყვარდა. მაგრამ რაც მეტს ვკითხულობდი, მით ნაკლები დრო მრჩებოდა სხვა საგნებისთვის; რაც უფრო ნაკლებ დროს ვუთმობდი, მით უფრო მიჭირდა მათზე მუშაობა; და რაც უფრო მიჭირდა სწავლა, მით მეტად ვარიდებდი თავს. ჩემები ამბობდნენ, რომ ძალიან ნიჭიერი ვიყავი, ისეთი, ყველაფერს რომ მაშინვე იგებდა და სწავლობდა. მე მომწონდა, ჩემზე რომ ასე ფიქრობდნენ. და ისე, რომ ვერც გავიაზრე ბოლომდე, შეძლებისდაგვარად ჩამოვიცილე ყველაფერი, რაც შეცდომების დაშვების რისკს ზრდიდა. რა თქმა უნდა, მათემატიკას ისევ მასწავლიდნენ, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ ჩემი პრიორიტეტი სხვა რამ იყო, ამიტომ შეცდომები საკითხის მეორეხარისხოვნებას მიეწერებოდა, არა – ჩემს უნიჭობას.

ლაპარაკიც ამიტომ არ მიყვარს. ლაპარაკისას დიდია შანსი, რამე სისულელე თქვა და მას უკან ვერ წაიღებ. წერა სულ სხვაა, იმდენჯერ გადააკეთებ, რამდენჯერაც დაგჭირდება.

კარგია, რომ ახლა სწავლება ხელოვნური ინტელექტის (ანუ ხი-ს) დახმარებითაა შესაძლებელი. რასაც გინდა, იმას ჰკითხავ ისე, რომ სხვები ვერ გაიგებენ, რა არ იცოდი ან რა ვერ გაიგე და რაზე დაგჭირდა განმეორებითი ახსნა. არც ისე დიდი ხნის წინ უშუალოდ მასწავლებლები გიხსნიდნენ მასალას და თუ რამე არ გესმოდა, იმათთვის უნდა გეკითხა. ახლა მასწავლებლები ხი-სთან ურთიერთობას უძღვებიან. გასწავლიან, რა ფორმით უნდა დაუსვა შეკითხვა, რომ ზუსტი პასუხი მიიღო. რის გადამოწმება აჯობებს და რაზე შეიძლება ნდობა. ტექნიკურ საგნებზე ცალკე პედაგოგი გვყავს, ჰუმანიტარულზე – ცალკე, ხელოვნებაზე – ცალკე, სპორტზე – ცალკე. მე ბევრზე არაფერზე მჭირდება ხოლმე საუბრები მასწავლებელთან და დროის უმეტესობას ჩემთვის ვატარებ, ნოუთბუქსა და ხი-სთან ურთიერთობაში. დავალებებს ვწერ, რაც რამე მაინტერესებს, ხი-ს ვეკითხები და ვიგებ. მასწავლებლებთან, ძირითადად, სკოლის აპლიკაციით მაქვს ურთიერთობა, პროექტებს, დავალებებს ვტვირთავ, ისინი მიმოწმებენ (პირველ რიგში, იმას, ხი-ს ხომ არ დავაწერინე), აფასებენ და სულ ეგაა. კი, ჯერჯერობით სკოლაში სიარული ისევ საჭიროა. როგორც ამბობენ, ურთიერთობებისთვის. თუმცა, თუ სურვილია, ამ ურთიერთობებს წარმატებით ააარიდებ თავს. აი, როგორც მე ვაკეთებ. განა არ ველაპარაკები ხალხს ან ასოციალური ვარ. არა. უბრალოდ, გამოყოფილი მაქვს მათთან საურთიერთო ფენები და იმის იქით არ ვუშვებ. ამას სპეციალურად არ ვაკეთებ. ასე გამოვიდა. თავისით. აი, როგორც სახლში. ოდესღაც რომ რაღაც მაინტერესებდა, ის შემრჩა მაიდენტიფიცირებლად. მე თუ „კითხვის მოყვარული“ და „მწერალი“ ვიყავი, სხვა „ხუმარა“ ან „სერიოზული“ იყო, ვიღაც – „ფიზიკოსა“, ვიღაც – „მხატვარი“, „მომღერალი“ ან „ფეხბურთელი“. სხვებს რომ ვაკვირდებოდი, იმათშიც ვხედავდი მათი მიღებული სახელისგან დამოუკიდებელ თვისებებს, მაგრამ ისინიც ისევე იქცეოდნენ, როგორც მე. მაგალითად, ვიცი, რომ ჩვენს „ფეხბურთელს“ ძალიან უყვარდა სიმღერა, მაგრამ ისე არ გამოსდიოდა, როგორც ფეხბურთის თამაში. როდესაც ვიკრიბებოდით, ყველგან „მომღერალს“ სთხოვდნენ სიმღერას, სხვები კი ნელ-ნელა მივჩუმდით, მაგალითად, „ფეხბურთელი“ და „ხუმარა“, თორემ მე ისედაც არ ვმღეროდი. თუ რამე იყო გასაფორმებელი ან გამოფენაზე გასატანი, რა თქმა უნდა, „მხატვარი“ იყო დასაქმებული, არადა, ერთხელ, ფრაქტალებზე საუბრისას „ფიზიკოსამ“ ისეთი სილამაზეები დახატა, ვთხოვე, გამოვართვი და დღემდე შენახული მაქვს. მერეღა გამახსენდა, რომ დაწყებით კლასებში ყოველთვის დაჰქონდა რვეული სახატავად და მე ყოველთვის სიამოვნებით ვათვალიერებდი ამ რვეულს. მერე და მერე უკლო, დღეს კი, მეთერთმეტე კლასში, დიდი ხანია, აღარავის გვახსოვს, რომ „მხატვრის“ გარდა, ვინმეს უყვარს ან შეუძლია ხატვა.

არ ვიცი, სხვები რამდენად ამჩნევდნენ ამ ყველაფერს. არავის არაფერი უთქვამს, ერთგვარი უხმო თანხმობით მოვირგეთ როლები, რომლებიც იმჟამად და ნაწილობრივ ჩვენი სურვილითაც იყო შერჩეული. ამიტომ არც გაგვიწევია წინააღმდეგობა, მივიღეთ და პატიოსნად ვასრულებდით. მეც ჩემი როლი მქონდა, რომელიც, ვერ ვიტყვი, რომ არ მომწონდა. თუმცა, რაც დრო გადიოდა, მით მეტად ვხვდებოდი, რომ რაღაც მეხამუშებოდა, რაღაც მეზედმეტებოდა. თუ მაკლდა. თუ ორივე.

ასეთი იყო სტატუს-კვო მეთერთმეტე კლასამდე. მერე სხვა ქალაქში მოგვიწია საცხოვრებლად გადმოსვლა და, რა თქმა უნდა, სკოლაც გამოვიცვალე, რომელშიც ახლა პირველად მივდიოდი. როგორც ვთქვი, ამის გამო დღე ნაკლებად უღიმღამო უნდა ყოფილიყო.

ზედმეტი დრო სკოლის წინ სიარულში გავიყვანე, მერე შევედი, კლასიც მოვძებნე და ზუსტად გაკვეთილის დაწყების წინ შევაბიჯე. შევაბიჯე და რაღაც ძალიან მეუცნაურა.

ბავშვები ჯერ არ ისხდნენ. მასწავლებელს ელაპარაკებოდნენ მის მაგიდასთან შემოკრებილები. ჩვენთან ეს არასოდეს ხდებოდა. რა აქვთ სალაპარაკო? დაბადების დღე ხომ არ აქვს მასწავლებელს? ჩვენს სკოლაში გაზრდასთან ერთად მასწავლებლებთან საკონტაქტო მიზეზი მცირდებოდა და მცირდებოდა. ნელ-ნელა ყველამ აითვისა და დახვეწა ხი-სთან ურთიერთობა, შესაბამისად, დასასმელი კითხვაც ნაკლები იყო და გასაცემი პასუხიც. გაკვეთილის დასაწყისსაც და დასასრულსაც ყველა თავის ადგილზე ხვდებოდა – მასწავლებელიც, მოსწავლეებიც. ისტორიაზეც ასე იყო, ალგებრაზეც, სპორტზეც. ყველას ხი-სგან გენერირებული ინდივიდუალური პროგრამა ჰქონდა და მას მიჰყვებოდა. საერთოდ ვერ ვხვდებოდი, მასწავლებელი რაღა საჭირო იყო. კონფლიქტი იშვიათად ხდებოდა. ასეთ შემთხვევაში შეიძლებოდა მანდატურთან ავტომატური შეტყობინების გაგზავნა და შემოყვანა. გაკვეთილების ახსნაც, როგორც ვთქვი, წინასწარ იყო გაწერილი და ინდივიდუალურად გენერირებული, ახალი მასალაც, დავალებაც. მართალია, დავალება უნდა შემოწმებულიყო (არატესტური ნაწილი), მაგრამ ეს ისედაც უჩვენოდ ხდებოდა და კლასში რატომ უნდა მჯდარიყო ვინმე მუდმივად? არა, განა რამეს ვერჩოდი მასწავლებლებს, ჩვეულებრივი ხალხი იყო, უბრალოდ, დანიშნულებას ვერ ვიგებდი. ჩემს წინა სკოლაში ბოლო წელს, ალბათ, სულ ერთხელ დაგვჭირდა მასწავ-

ლებელი – ირაკლიმ რომ წვენი გადაასხა თავის ნოუთბუქს. და მაშინაც მოვახერხებდით ტექნიკურ უზრუნველყოფასთან ჩვენით დაკავშირებას.

აქ კი დამდგარიყო მთელი კლასი და მასწავლებელს ელაპარაკებოდა. დაინტერესებული მივუახლოვდი. არც მილოცვის ტექსტისთვის მომიკრავს ყური, არც ნამცხვარი დამინახავს. ერთი გოგო უყვებოდა, როგორ დაათვალიერა სატურნი (?) თავისივე ხელით აწყობილი ტელესკოპით. მასწავლებელი, ხანში შესული, ტანდაბალი და პუტკუნა ქალი, თავს უქნევდა, მერე კი იქვე კედელზე მიყუდებულ ბიჭს მიუბრუნდა:

– ლაშა, შენც აპირებდი ტელესკოპის აწყობას, როგორც მახსოვს.

– კი, მას, მაგრამ ჯერ ვერ მივიყვანე ბოლომდე.

– როდის აპირებ?

– ზუსტად ვერ გეტყვით, მას.

მასწავლებელს გაეღიმა:

– „ზუსტად ვერ გეტყვი“-ზე რა ვთქვით, ხომ გახსოვს?

ლაშას შერცხვა:

– რომ ამას მაშინ ვამბობთ, როცა რაღაცის გაკეთება არ გვინდა.

– მართალია. შენ კიდევ, როგორც მახსოვს, თავად გამოთქვი ტელესკოპის აწყობის სურვილი. მერე რა მოხდა?

– დრო ვერ მოვნახე, მას.

– ბოლო კვირაა, გუდრიდსზე მუდმივად მიხტება შენი პროგრესი, – საინტერესო ის იყო, რომ მასწავლებლის ხმაში საყვედური არ ისმოდა, საუბრობდა და თვალები ეშმაკურად უციმციმებდა; მისი ღიმილი ვიღაცისას მაგონებდა, ვერ ვიხსენებდი, ვისას, – რამდენიმე დღეში რომ სამი წიგნი წაიკითხე, ვითომ იმ დროში ტელესკოპს ვერ ააწყობდი?

ლაშას კიდევ უფრო შერცხვა. რაღაცის თქმას აპირებდა და ვერაფერი თქვა.

– ხომ იცი, ამას იმიტომ არ გეუბნები, რომ მაინცდამაინც ტელესკოპი უნდა ააწყო. თუ გახსოვს, რა დასკვნამდე მივედით, როდესაც სასურველ ქმედებებზე ვლაპარაკობდით?

– რომ გადაწყვეტილების გარეშე მუდმივად ვიქნებით დამოკიდებული ხასიათზე.

– შენ კიდევ გადაწყვეტილი გქონდა ტელესკოპის აწყობა. კარგი ახლა, თავი ნუ დახარე, განა სამაგისოდ გეუბნები, – გამახსენდა. ასე ჩემი ბებო იღიმებოდა ხოლმე, დაკაწრული ხელ-ფეხითა და ტალახიანი ტანსაცმლით რომ ვბრუნდებოდი დაღამებულზე, – უბრალოდ, გვავიწყდება ხოლმე, თუ ვინმემ არ შეგვახსენა. აი, მე, მაგალითად, წინა წელს ვთქვი, რომ თიხით ძერწვის დაწყება მინდა, მაგრამ აქამდე არაფერი მიქნია. კი, სხვა ბევრი რამე გავაკეთე, მაგრამ ეს მივივიწყე. არადა, მინდა.

– მას, ალბათ, ბევრი რამე გქონდათ დაგეგმილი ერთდროულად, – უკანა რიგიდან გადმოიძახა მაღალმა გოგომ.

– ეგეც მართალია, – უფრო ფართოდ გაიღიმა მასწავლებელმა, – აჰა, კიდევ ერთი შეცდომა ვიპოვე. და ეს უკვე მერამდენედ.

სხვებთან ერთად ლაშაც იღიმებოდა. თან თითქოს ცოტა აძალებდა საკუთარ თავს ამის თქმას, თან არც:

– მართალია, მას. ვთქვი, რომ ავაწყობდი და უნდა ავაწყო. და ცოტა ხანს მაინც ვნახო, მომწონს თუ არა ვარსკვლავებზე დაკვირვება. არაწყობა არ გადამიწყვეტია, უბრალოდ, დამეზარა. ამ კვირის ბოლომდე დავასრულებ. ყოველდღე მოვიწერები პროგრესზე ჩვენს აპლიკაციაში.

– მშვენიერი, მე კიდევ ამ კვირის ბოლომდე მოვიძიებ თიხის რაიმე კურსს და ჩავეწერები, – განაცხადა მასწავლებელმა, – მანამდე პირად დავალებად შევიტან ჩემს გვერდზე. ახლა დავსხდეთ, გაკვეთილი დაწყებულა უკვე. აა, ეს ჩვენი ახალი მოსწავლე უნდა იყოს, თორნიკე კვიციანი, ხომ სწორია? – ბავშვები გამოარღვია და ჩემკენ წამოვიდა.

მე ისევ ვიდექი სხვებივით, არც ჩანთა მომეხსნა. თავაზიანად გავიღიმე და თავი დავუქნიე.

– თორნიკე, ეს ჩვენი მეთერთმეტე ბ კლასია, მე დამრიგებელი და ტექნიკური საგნების მასწავლებელი ვარ, ქეთი. აი, ეს ორი მერხია თავისუფალი, რომელიც გინდა, ამოირჩიე და დაჯექი. თუ რამე კითხვა გექნება, რა თქმა უნდა, მომმართავ. დღესვე დაგამატებ ჩვენს აპლიკაციაში. რისთვის გვაქვს და როგორ ვიყენებთ, იქვე მიხვდები, წესით, ნელ-ნელა ჩვენც გეტყვით ხოლმე რაღაცებს. მაგრამ ახლა გაკვეთილი უნდა დავიწყოთ, თორემ დაგვაგვიანდა.

არაფერი მქონდა დაჯდომისა და გაკვეთილის დაწყების საწინააღმდეგო. მერხი ავირჩიე და ნოუთბუქი ამოვიღე.

– დღეს მარიკას ჯერია, როგორც მახსოვს, ხომ? – რატომღაც ისევ აგრძელებდა ლაპარაკს მასწავლებელი.

– დიახ, მას, უკვე მზად ვარ, – უპასუხა ქერა გოგომ, რომელიც ერთ-ერთ მერხზე მდგარ პროექტორთან საქმიანობდა.

– ჩვენ ასე ვშვრებით, – ჩემს დაუსმელ შეკითხვას უპასუხა მასწავლებელმა, – ყოველ საკითხზე ვინმე ამზადებს პრეზენტაციას. ისე, უბრალოდ, რაიმე გრანდიოზული არაა ხოლმე საჭირო ჩვეულებრივი გაკვეთილისთვის. და სხვებს უხსნის მასალას. რადგან, როგორც, ალბათ, იცი, ყველაზე უკეთ მაშინ სწავლობს ადამიანი, როდესაც სხვებს უხსნის. თანაც პრეზენტაციებს ისე ვეჩვევით, როდესაც უფრო სერიოზულად გვაქვს წარსადგენი რაიმე, საერთოდ აღარ ვღელავთ და უმარტივესად ვაკეთებთ.

მოიცა, აბა, ჩუმი გაკვეთილები და მინიმუმამდე დაყვანილი ინტერაქცია?

ამასობაში პროექტორიც ჩაირთო და ქერა გოგომ, მარიკამ, პრეზენტაცია დაიწყო. ზოგან ავიწყდებოდა, ზოგან სიტყვა ეშლებოდა, თუმცა არ იბნეოდა, ენთუზიაზმით აგრძელებდა და მალევე გავიდა ბოლოში. ჩემდა გასაკვირად, აღმოვაჩინე, რომ მშვენივრად გავიგე ყველაფერი. რაც შეეშალა და შეასწორა, ის ყველაზე უკეთ დამამახსოვრდა.

პრეზენტაციის მერე კითხვები დაისვა. მეც მქონდა კითხვა, მაგრამ ხელი მეოთხე კლასის მერე არ ამიწევია და არც ახლა მინდოდა. თუმცა პასუხი მაინც მივიღე, რადგან ჩემი კითხვა სხვამ დასვა. მასწავლებელი ერთადერთხელ ჩაერთო საუბარში, როდესაც წინა მერხზე მჯდარი ბიჭის კითხვას მარიკამ ვერც ხი-სთან კონსულტაციის მერე გასცა პასუხი. დანარჩენი დროის განმავლობაში პროცესი მხოლოდ მოსწავლეებს მიჰყავდათ.

პრეზენტაციები ჩვენც გვქონდა ხოლმე, მაგრამ იშვიათად და საგანგებოდ შერჩეულ თემებზე. გაკვეთილები მდუმარედ მიმდინარეობდა. მასალის ახსნაც გვქონდა მოცემული და ხი-სთვის შეკითხ-

ვების დასმის შესაძლებლობაც. ყველა თავის ტემპში მიდიოდა წინ, ზოგი გაკვეთილზევე ახერხებდა მასალის გაგებასა და დავალების შესრულებას, ზოგს სახლში უწევდა გაგრძელება.

ამჯერად, დავალებისთვის 15 წუთი დაგვრჩა. ბოლომდე ვერ მოვასწარი გაკეთება. ცოტა დაძაბული ვიყავი. თუმცა არა მგონია, მხოლოდ დავალების ვერმოსწრების ბრალი ყოფილიყო. ახალ გარემოზე დღესვე მორგებას არც ველოდი, მაგრამ ამჯერად ჩემი კომფორტის ზონიდან მოსალოდნელზე მეტად ვიყავი გასული. კარგა ხანია, ამდენ ლაპარაკს გადავეჩვიე. იმას, რომ სულ მზად უნდა იყო, ვინმემ კითხვა არ დაგისვას. მეტიც, შენ უნდა დაუსვა ვიღაცებს კითხვები. ხმამაღლა.

დასვენებაზე მასწავლებელი ჩემს მერხთან მოვიდა. დაინტერესდა, რამე ხომ არ იყო გაუგებარი, რა მომეწონა ან არ მომეწონა, რამეში ხომ არ მჭირდებოდა დახმარება. მე ზრდილობიანად ვიღიმებოდი და სიტყვების მინიმალური რაოდენობით ვცდილობდი პასუხის გაცემას.

– კარგი, მაშინ აღარ შეგიშლი ხელს დასვენებაში. მხოლოდ ჩვენს აპლიკაციას გამოგიგზავნი, ჯგუფში დაგამატებ. ამით უფრო გაგიადვილდება სიტუაციაში გარკვევა, – მითხრა და ტელეფონი ამოიღო, – აი, გამოგიგზავნე. ესეც ჯგუფის ბმული. რომ დარეგისტრირდები, მოთხოვნა გამოგზავნე და დაგამატებ. ახლა უნდა გავიქცე, სხვა კლასში მაქვს გაკვეთილი. თუ რამე დაგჭირდეს, ნებისმიერს ჰკითხე. ჩემთანაც შეგიძლია დაკავშირება, რა თქმა უნდა, – და გავიდა.

შეტყობინება გავხსენი.

– ეს რა აპლიკაციაა? – როგორც ჩანს, ხმამაღლა დავინტერესდი, რადგან ლაშა გამომეხმაურა. აი, ის, ტელესკოპის აწყობას რომ აპირებდა:

– ჩვენი სკოლელის შექმნილია. სამი წლის წინ დაამთავრა. თავისი კლასისთვის გააკეთა, მაგრამ მერე სხვებმაც დავიწყეთ გამოყენება.

– საერთო სისტემაში არ ხართ? – ვკითხე. ასეთი სისტემა ყველა სკოლას ჰქონდა. იქ იტვირთებოდა პროგრამაც, სასწავლო მასალაც, შესასრულებელი და შესრულებული დავალებებიც, შეფასებებიც, რეკომენდაციებიც... ყველაფერი.

– რა თქმა უნდა, ვართ. ის სხვა რამეა. ამ აპლიკაციას სხვანაირად ვიყენებთ. როგორ გითხრა, – შემატყო, რომ ვერ მივხვდი, – ის სუფთად სასკოლო მოხმარებისაა, ეს კიდევ ყველაფერს მოიცავს. შეგიძლია, გასაკეთებელი საქმეების სია ჩამოწერო, მერე პროგრესი მონიშნო ყველაფერზე ან რამე კონკრეტულზე. შეგიძლია, სხვა საიტებზე გადამისამართებაც. მაგალითად, ჩვენს კლასში ვისაც წიგნების კითხვა გვიყვარს, გუდრიდსი გვაქვს ჩაშენებული და აქვე ვიყენებთ. ვარსკვლავები ვისაც აინტერესებს, იმათ თავიანთი აპლიკაციები და გეგმები აქვთ. მეც მინდა იმათთან შეერთება.

– ანუ სოციალური ქსელი გამოდის, ხო? რაღაც კონკრეტული დამატებებით.

– ეგ მხარეც აქვს, კი, სოცქსელადაც შეგიძლია გამოიყენო. მაგრამ არც ეგრეა. ალბათ, გააჩნია, ვინ იყენებს. მიმებისთვის და ეგეთებისთვის ცალკე განყოფილებაა, კიდევ შეთანხმებებისთვის, აი, ექსკურსია ან მსგავსი თუ გვინდა, მაგრამ მთლიანობაში სოცქსელს ვერ დავარქმევდი. ეს აპლიკაცია მასწავლებლის იდეა იყო. შექმნაც და სხვა კლასებში გამოტანაც. ასე თქვა, ეს დაგვეხმარება, სხვა მხრივაც გავიცნოთ ერთმანეთი, ვის რა აინტერესებს გაკვეთილებს იქითო.

– ანუ სკოლის გარეთაც ვერ იქნებით თქვენთვის? – ვერ მოვითმინე, რომ არ მეკითხა. იქნებ ჩემი პირადი ინტერესების ჩემთვის დატოვება მინდა?

– არა, რატომ? ვინმე რამეს კი არ გაძალებს. თუ არ გინდა, არ დაწერ. ჩვენი ორი კლასელი, მგონი, მხოლოდ მიმების განყოფილებას იყენებს. თან ისეთი განყოფილებაც გვაქვს, რომელშიც მასწავლებელი არაა, მხოლოდ ბავშვები შეგვიშვა. იქნებ ის უფრო კომფორტული იყოსო. თუმცა არც ისე ხშირად ვიყენებთ იქაურობას.

– მაგალითად, რა მნიშვნელობა აქვს სკოლისთვის, შენ ტელესკოპს ააწყობ თუ არა? დავალებად ხომ არ გქონდათ?

– არა, როგორც ვთქვი, გვინდოდა რამდენიმეს. მეც მინდოდა, ვამბობდი ჩვენს ჯგუფში და მერე არ გავაკეთე. ეგ შემახსენა, თორემ თუ არ მინდა, არ გავაკეთებ. ხომ გითხარი, ზოგი სულ არ იყენებს გეგმების განყოფილებას. ან იყენებენ, მაგრამ ძალიან ცოტა რამეს წერენ. მე ხშირად ვწერ და ძალიან მეხმარება ისეთ რაღაცებზე, რაც სკოლაში არ გვაქვს გასავლელი და სხვა შემთხვევაში ვერ ვისწავლიდი.

– მაგალითად? მუშაობის ჩვევები? როგორ ვიმუშაოთ, იმას გასწავლიან?

– თუნდაც. მაგრამ სანამ ისწავლი რამეს, ის უნდა იცოდე, სასწავლი რა გაქვს. საბაზისო უნარ-ჩვევებზე სკოლაშიც გვქონდა ლაპარაკი სხვადასხვა დროს. ალბათ, თქვენც. მაგრამ ეს ზოგადი საუბრები ჩემ შემთხვევაში ჰაერში გამოკიდებული დარჩა. რაღაცები გავიგე, მაგრამ ყველაფერს ვერ იგებ ან არ გამახსოვრდება. თან ყველას რაღაც ინდივიდუალური აქვს დასამუშავებელი. არადა, ხშირად ვერც ვხედავთ ხოლმე, ვინმე უნდა დააკვირდეს შენს ჩვევებს გვერდიდან, გითხრას მათზე. მე... – ცოტა ხანს გაჩერდა, მაგრამ მერე მაინც გადაწყვიტა გაგრძელება, – ცოტა ზარმაცი ვარ. ქეთი მასი კი მეუბნება, სიზარმაცე არაა ეგ, სხვა რამეაო, მაგრამ მაინც ასე ვუძახი. რაღაცების გაკეთება მინდა ხოლმე, მაგრამ არ ვაკეთებ. ზოგჯერ მგონია, არ გამომივა, ზოგჯერ მეძნელება და რაღაც სხვა მირჩევნია. არადა, ის გასაკეთებელი არც მავიწყდება და არც სურვილი მეკარგება. ამაში მეხმარება ხოლმე აპლიკაციაც და მეხმარებიან სხვებიც. ჩემი ჩვევები იმდენად ბუნებრივია, ვერც ვამჩნევ, რას ვაკეთებ, რას ვამბობ ამ დროს...

– ანუ ყველა გეგმას და დეტალს წერთ და ერთმანეთს აკონტროლებთ. მაგისთვის სხვა აპლიკაციებიც არსებობს. სულ უცხო ვინმეც შეგიძლია ნახო და იმას გააცნო გეგმები და პროგრესი.

– ეგ ვარიანტიც ითქვა, როდესაც ამ სისტემაზე ვლაპარაკობდით. ზოგი ერთ კლასელთანაა წყვილში, ზოგი სულ უცხოს ეკონტაქტება. მეორე წელია, ამ აპლიკაციას ვიყენებთ და აქამდე ყველამ მოვსინჯეთ სხვადასხვა რამე. ექსპერიმენტებს ისევ ვაგრძელებთ. ცხადია, აპლიკაციამდეც გვქონდა რაღაც სტრატეგიები. ოღონდ ეს უკეთ გვაჩვენებს იმას, რასაც ასე ჰაერში ლაპარაკით ვერ აკვირდები.

– ჰო, მაგრამ, როგორც ვთქვი, ბევრი აპლიკაციაა ასეთი. ანუ გეგმების შესასრულებელი.

– ეს არც მარტო სამაგისოა. თან ეს აპლიკაციები ხი-სავითაა, კარგი ინსტრუმენტია, მაგრამ გამოყენება უნდა გასწავლონ. თან სულ ვიცვლებით. მაგალითად, ადრე მე არ შემეძლო ასე ყველასთან ლაპარაკი იმაზე, რა მინდოდა ან რას ვაპირებდი. სულ ნერვებს მიშლიდა, ვინმე რომ მეკითხებოდა, აბა, რა ქენიო.

აქ უფრო დავინტერესდი და ძალაუნებურად გამოვტყდი:

– არც მე მიყვარს, როდესაც ჩემს გეგმებზე სხვებთან ვლაპარაკობ.

– ჰო? იცი, რატომ?

– რატომ?

– არა, შენ გეკითხები. მე არ ვიცი პასუხი. ყველას სხვადასხვა მიზეზი აქვს რაღაცებისთვის. ზოგჯერ ერთსა და იმავეს აკეთებენ ხოლმე და სულ სხვადასხვა მიზეზით.

– და რა მნიშვნელობა აქვს, რატომ?

– რა და, მაგალითად, ზოგს იმიტომ არ უყვარს გეგმებზე ლაპარაკი, რომ სიურპრიზად უყვარს გაკეთებული საქმის გამოჩენა. ზოგს არ უყვარს იმიტომ, რომ ეშინია, მაინც ვერ გააკეთებს და არ უნდა, ყველამ გაიგოს, რომ რაღაც უნდოდა და ვერ ქნა. მე ვარ ეგრე. ოღონდ თავიდანვე არ ვიცოდი ამაზე. ნელ-ნელა მივხვდი. რამე რომ მართლა მინდოდა, სხვებთანაც მიყვარდა ლაპარაკი, ერთად დაგეგმვა. ხალისი მემატებოდა. მაგრამ რაღაცა მაჩერებდა ხოლმე. მერე რომ შემომთავაზა მასწმა, ხომ არ გინდა, გეგმებში შემოგვიერთდეო, დაუფიქრებლად ვუპასუხე, რომ ვერ გავაკეთო-მეთქი? და მერე მიხვდი, თურმე რატომ ვჩუმდებოდი. მაგრამ არ ვიცოდი, როგორ აჯობებდა მოქცევა. მერე მითხრა, ჯერ ერთი, ბევრს გვემართება ხოლმე ეგრე, ყველა რომ ყოველთვის აკეთებდეს იმას, რასაც აპირებს, სულ სხვანაირი იქნებოდა სამყარო; მეორეც – მოდი, დავსხდეთ და ვილაპარაკოთ, რის გაკეთება შეიძლება, რომ ასე არ მოხდეს ხოლმეო. მერე ბევრი ვილაპარაკეთ. ისეთ კითხვებს მისვამდა, როგორებიც მე არ დამისვამს ჩემი თავისთვის აქამდე. არ ვიცოდი, რომ უნდა დამესვა.

– მაგალითად?

– მაგალითად, მთხოვა, წარმომედგინა, რომ დარწმუნებული ვიყავი, აუცილებლად გავაკეთებდი იმას, რაც მინდოდა. კარგად წარმომედგინა და მერე მეპასუხა, მინდოდა თუ არა ამაზე ხმამაღალა ლაპარაკი. აღმოჩნდა, რომ მინდოდა. ანუ ის მაჩერებდა, რომ მეეჭვებოდა, ვიზამდი თუ არა. მერე კიდევ მკითხა რაღაცები, რომ გაგვერკვია, რა მიშლიდა ხელს, ხომ არ იყო ეს საქმეები მომიზეზებული და მათ უკან ისევ რამე ხომ არ იმალებოდა. თურმე იმალებოდა, – გაეღიმა.

– რა იმალებოდა?

– ჩემ შემთხვევაში, ის, რომ ისევ მეშინოდა. ამჯერად იმის, რომ კარგად ვერ გავაკეთებდი რაღაცას. და მერჩივნა, სულ არ გამეკეთებინა. აი, მაგალითად, თათას, – თავი გადააქნია წითელ-მაისურიანი გოგოსკენ, – აღმოჩნდა, რომ სულ არ აინტერესებდა ტელესკოპები. უბრალოდ, მისი საყვარელი დეიდაა ასტრონომი და მისი მიბაძვით უნდოდა ამბებში გარკვევა. მოკლედ, მიზეზი ბევრი შეიძლება იყოს. მთავარია, სწორი კითხვა დაგისვან და შენც მზად იყო პასუხისთვის.

– და თუ ყველას წინაშე არ მინდა პასუხების გაცემა?

– არცაა აუცილებელი. ზოგს სულ მარტო ელაპარაკება ხოლმე. ზოგის პასუხებს არც ისმენს, ფურცელზე აწერინებს თავისთვის, თუ ასე ურჩევნია იმას. კი, ჭირს მომდევნო კითხვების დასმა, მაგრამ მაინც ახერხებს.

ცოტა ხანს დავფიქრდი.

– ანუ ისეა, როგორც ხი-სთან.

– ხი-სთან? – ვერ მიხვდა ლაშა უცებ.

– ჰო. მთავარია, იცოდე, კითხვა როგორ დაუსვა და რაზე ჩაეძიო.

– აა, – ისევ გაეღიმა, – კი, ეგრე გამოდის. ხი-ები გამოვდივართ, – უფრო ფართოდ გაეღიმა, – ოღონდ ხშირად ეს არ ვიცით. არ ვიცით, რომ ყველაფერზეა შესაძლებელი სწორი პასუხის მონახვა, მთავარია, კითხვა დაისვას სწორად. და ჩვენ თუ ხი-ს ვუსვამთ კითხვებს, მასწავლებელი ჩვენ გვისვამს. და ნელ-ნელა სწავლობ შენითაც. როგორც ხი-სთან. თავიდან რომ მივედ-მოვედებოდით ხოლმე.

მეც გამეღიმა. გამახსენდა, ოდესღაც როგორ ვცდილობდი ხი-ს საშუალებით იმის გარკვევას, სად მალავდა დედა შოკოლადებს.

ამასობაში ზარიც დაირეკა.

ისტორია ნაცნობი სცენარით წარიმართა. ვისხედით, ეკრანებს მივჩერებოდით, ვკითხულობდით და ვწერდით. თითქოს ცოტათი დავმშვიდდი, მაგრამ მაინც მოუსვენრად ვიყავი, მომდევნო გაკვეთილი ფიზიკა გვქონდა და ისევ შეკითხვების ლოდინში მომიწევდა ყოფნა.

ქეთი მასი რომ შემოვიდა კლასში, უკვე გადაწყვეტილი მქონდა, ამ საკითხზე მოვლაპარაკებოდი და ამეხსნა, რომ არ მიყვარს საჯაროდ რაღაცების განხილვები. კარებთანვე მოვახერხე მისი შეჩერება, სანამ მაგიდასთან მივიდოდა და სხვები შემოეხვეოდნენ:

– მას, პრეზენტაციები ყველამ უნდა აკეთოს ხოლმე?

– სასურველია. თუმცა შენ ახლავე არ გინდა დაწყება, ჯერ ცოტათი მაინც შეეჩვიე გარემოს. ალბათ, წინა სკოლაში ასე არ იქცეოდით, ჰო?

– დიახ. და სულ რომ არ გავაკეთო? უბრალოდ, დავალებები რომ ჩაგაბაროთ ხოლმე, რაც პროგრამაშია გაწერილი?

მასწავლებელი დაკვირვებით მომაჩერდა:

– რა თქმა უნდა, დასაწყისში მაინც ეგრე ვქნათ. მერე თუ შეიცვლება რამე, ვნახოთ.

– არა მგონია, მას.

– კარგი. შეიძლება გკითხო, ასე რატომ ფიქრობ? არ ვცდილობ, აზრი შეგაცვლევინო. მართლა მაინტერესებს მიზეზი. თუ გინდა მითხრა, ცხადია.

არ მიყვარს საჯარო გამოსვლები და იმიტომ. რა დიდი ფიქრი უნდა? მაგრამ ეს ვითომ საკმარისად კარგი მიზეზია, რომ რაღაცები არ ვაკეთო, რაც არ მიყვარს? არც დავალებების კეთებაზე ვგიჟდები, მაგრამ ვაკეთებ. რით განსხვავდება ეს ორი? ერთს შეჩვეული ვარ? ჰმ. რამდენ რამეს ვაკეთებ ჩვევის გამო? და რამდენ რამეს არ ვაკეთებ იმიტომ, რომ შეჩვეული არ ვარ?

დუმილი გამიგრძელდა. ქეთი მასი დაკვირვებით მიყურებდა. ხმას არ იღებდა, არც მოუთმენლობა ეტყობოდა.

– კარგი, – თქვა ბოლოს, – ალბათ, არ გინდა პასუხის გაცემა. როცა მოგინდება საუბარი, განვაგრძოთ.

თავი დავუქნიე და ისიც მაგიდისკენ წავიდა და ბავშვებს შეერია.

გაკვეთილს ნახევრად ვუსმენდი. ფიქრები ისევ იმას დასტრიალებდა, რას რატომ ვაკეთებდი ან არ ვაკეთებდი. თითქოს პასუხთან ვიყავი და მაინც ვერ გამეგო ბევრი რამე.

არ მინდოდა მეკითხა. არც პასუხის გაცემა მინდოდა სხვისთვის. ჩემი საქმეა. სხვებს ამის გაგება არაფერში სჭირდებათ.

დაბნეული ვიყავი. რაღაც ახალი მაწუხებდა. თან რაღაცას ველოდი. ვერ ვიგებდი, რას. ბევრმა რამემ დამაბნია მოკლე ხანში.

არა, ლაპარაკში ჩართვა არ მინდოდა. არც – სხვისთვის რამის გაზიარება, მოყოლა ან ხმამაღალა ფიქრი.

კითხვები მჭირდებოდა.

და ვიცოდი, ვინც დამისვამდა ამ კითხვებს.

მაკა ცხვედიანი

დაჯექი, აღბერტ!

– მიდი, თავიდან!

ირინამ ცალხაზიანი რვეულიდან ამოხეული ფურცელი დაჭმუჭნა და გვერდით გადადო. ნიკოს ნელ-ნელა, გულმოდგინედ გამოჰყავდა ასოები.

14 აპრილი

საწ...

– ნორმალური ხარ, შვილო?! ეს შ ასოა?! რამდენჯერ შეიძლება აგიხსნა, შევიშალე უკვე!

ირინამ ეს ფურცელიც ამოხია რვეულიდან და სანამ დაჭმუჭნიდა, დაწერა: „საშინაო დავალება“. მერე შ-ს ხაზი გაუსვა.

– აი, ესაა შ ასო, დაიმახსოვრე ერთხელ და სამუდამოდ, მარცხენა მხარეს აქვს შ-ს თავი.

ნიკომ იცოდა, რომ დღესაც უმოწყალოდ გაიწელებოდა მეცადინეობა, ტირილამდე გაიწელებოდა ჯერ წერა, მერე ნახევარგვერდიანი ტექსტის კითხვა – ერთმანეთში გადაზელილი ასოებით, შ-ებისა და წ-ების, ხ-ებისა და ძ-ების ლაბირინთებით, ნებისყოფის გაკანკალებამდე დაძაბვით და დედას თავმობეზრებული წამოძახილით: „წაიკითხე, შვილო, თავიდან!“

ნიკომ იცოდა, რომ უშეღავათოდ გაიწელებოდა არდადეგებამდე დარჩენილი ორი თვე, გაიწელებოდა ზაფხულიც – სხვა ზაფხულების მსგავსად, მასწავლებლის ინსტრუქციის გამო: ძალიან, ძალიან ბევრი აკითხეთ, რომ გაიწაფოს, თორემ მეხუთე კლასიდან დიდი ტექსტები რომ შემოვა და ყველა საგანში სხვადასხვა მასწავლებელი ეყოლება, გაუჭირდებაო.

დაიწყო მეხუთე კლასი და ყველა საგანი სხვადასხვა მასწავლებელმა ჩაიბარა. ნიკო და დედა მთელი ზაფხული ბეჯითად ასრულებდნენ დაწყებითების დამრიგებლისგან ანდერძივით დატოვებულ მითითებას – იკითხოს ბევრი, სანამ რამენაირად არ გაიწაფებაო. კითხულობდა, კითხულობდა და ზაფხულის ბოლოს, როგორც ყველა გასული ზაფხულის ბოლოს, ნიკო კითხულობდა ნელ-ნელა, მარცვალ-მარცვალ, შეცდომებით. მთელი სამი თვის ძალისხმევა არაფერში იყო საგრძნობი.

ახალ მასწავლებლებს და ახალ საგნებს გრძელი ტექსტებიც მოჰყვა. პირველივე საღამოს, დედა გვერდით რომ მიუჯდა მეცადინეობისას და ქართულის წიგნი გადაშალა, თითქმის ორგვერდიანი გაკვეთილის დანახვისას ნიკომ იგრძნო, სკოლის მიმართ პროტესტი როგორ ხვიარასავით აცოცდა მისი შეკუმშული გულისკენ. დედა ცდილობდა, მობილიზებული შესახედაობა ჰქონოდა, მაგრამ ნიკო ხვდებოდა, რომ ფარ-ხმლის დაყრას მასაც ბევრი არაფერი უკლდა. არადა, სასწავლო წელი დღეს დაიწყო. კიდევ ერთი გრძელი წელიწადი.

ქართული და მათემატიკა ყოველდღე ჰქონდათ. ორგვერდიანი ტექსტი მეორე დღისთვის კარგად კითხვით მისცათ დაახლოებით ორმოცი წლის თმაგადაწეულმა ქალმა, რომელიც დინა მასწავლებლად გაეცნოთ.

ნიკომ იცოდა, რომ „კარგად კითხვით“ ნიშნავდა ტექსტის სწრაფად, უშეცდომოდ წაკითხვას, ანუ ისე წაკითხვას, როგორც კითხულობდა მისი ყველა კლასელი, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, რომლებიც იმდენად ზარმაცები იყვნენ, წიგნს სახლში,

სავარაუდოდ, არც შლიდნენ. თუმცა საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, ეს ყველაზე ზარმაცი ბავშვებიც კი გაკვეთილზე მაინც თითქმის იდეალურად კითხულობდნენ უცნობ ტექსტს – თითქოს ყველა საპროგრამო ლექსი და მოთხრობა წინასწარ ჰქონდათ წაკითხული. მათი დედები შვილებთან ერთად ბეჯითად არ უსხდნენ მაგიდებს, მეათასედაც არ უსწორებდნენ შვილებს მარცვალ-მარცვალ წაკითხულ ტექსტში ყოველ მეორე სიტყვაში დაშვებულ შეცდომებს, არ ხევდნენ რვეულებიდან ფურცლებს, სადაც მეორე ხაზზე გულდასმით დაწერილი „საწინაო დავალება“ გამორიცხავდა გაგრძელების შესაძლებლობას, შეგუებული მრისხანებით არ იმეორებდნენ: „თავიდან!“

– ნიკოლოზ ტაბიძე, გააგრძელე.

ნიკო სიტყვებს გაფაციცებული ექაჩებოდა თავისკენ. ასოები დაუბრკოლებლად მოჰყვებოდნენ, როგორც პატარა ბრჭყვიალა ქორჭილები – ანკესს, მაგრამ შუა გზაში სხლტებოდნენ, ახალი თავგადასავლისთვის უჩინარდებოდნენ გაუმჭვირვალ წყლებში.

– რატომ არ იმეცადინე, ნიკოლოზ? – მშვიდად იკითხა დინა მასწავლებელმა და ნიკომ, შეგუებულმა, გაიფიქრა: „დაიწყო...“

– მას, კითხვა არ იცის! – წამოიძახა ვიღაცამ.

მასწავლებელმა ყურადღებით მოავლო კლასს თვალი და მშვიდი გამომეტყველება ოდნავაც არ შესცვლია, ისე დაამატა:

– მე ნიკოლოზს ვკითხე.

მომდევნო დღეებში ქართულის მასწავლებელი სხვა ბავშვებს აკითხებდა, ნიკო მაშინ ააყენა, როცა ახალი ტექსტი ახსნა და მის ირგვლივ კითხვებს სვამდა.

ნიკო კარგი მსმენელი იყო, თხრობაც თანმიმდევრული ჰქონდა. დინა მასწავლებელმა ეს პირველივე კითხვის დასმის დროს მარტივად შენიშნა.

მის რვეულში დავალებების ნაწილში წესრიგი იყო, საკლასო წერის დროს აებნეოდათ ხოლმე ასოებს თავგზა.

დინამ კლასის დამრიგებელს, მათემატიკის მასწავლებელს, სთხოვა, პარასკევისთვის ნიკოლოზ ტაბიძის მშობელი დაებარებინა.

– ირინა, დავიწყებ იმით, რომ ძალიან კარგი ბიჭია ნიკოლოზი...

– რამე ხომ არ დააშავა?

– არა, არა, სხვა რაღაცის გამო გთხოვეთ მოსვლა. თქვენ უკეთ იქნებით ჩახედული, რომ ბავშვს კითხვის პრობლემა აქვს.

– დიახ, როგორ არ ვცდილობ, მაგრამ ვერაფრით ვერ ვასწავლე წესიერად კითხვა. ახლაც მთელი ზაფხული ყოველდღე ვისხედით, ვწერდით, ვკითხულობდით... მართლა ჩამწარებული აქვს ბავშვს ყველა ზაფხული, ვერც იმას ვიტყვი, რომ არ ინდომებს... არავის არ აქვს კლასში პრობლემა. ნიკომაც სკოლაში შესვლამდე ისწავლა ასოები, ყველა ასოს ცნობდა, მარტივ სიტყვებს კითხულობდა, მაგრამ მერე, წინადადებებზე რომ გადავიდნენ, თითქოს პირველკლასელის დონეზე გაიყინა. რასაც სხვები ხუთ წუთში კითხულობენ, ეს ანდომებს ნახევარ საათს. თან იღლება, ორი აბზაცის მერე უკვე ძლივს აგრძელებს, უამრავ შეცდომას უშვებს... ვერ წარმოიდგენთ, რად მიჯდება ამისი მეცადინეობა.

– დისლექსიის შესახებ გსმენიათ?

– არა.

– მე ვფიქრობ, რომ ნიკოლოზს დისლექსია აქვს.

– ანუ?

– ეს გახლავთ კითხვის შეფერხების სინდრომი, საკმაოდ გავრცელებული მდგომარეობა, როცა ადამიანს მთელი ცხოვრების განმავლობაში შეიძლება უჭირდეს გამართულად კითხვა და წერა.

– დაავადებაა?

– არა, სპეციფიკურ მდგომარეობად განიხილება. სახლში რომ მიბრძანდებით, მოძებნეთ ინტერნეტში, უამრავი ინფორმაციაა.

– და რა უნდა ვქნა, თუ ეგ აქვს?

– საგანგაშო არაფერია, ხელშეწყობა სჭირდება, რომ ამ მოცემულობის ფარგლებში თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოიყენოს და სრულფასოვანი განათლების მიღება შეძლოს.

– და სულ ასე წაიკითხავს?

– არა, სათანადო ძალისხმევის შემთხვევაში, პროგრესი აუცილებლად ექნება.

– არ ვიცი, ეგ ძალისხმევა რად დაჯდება, ცოტა მოზრდილ ტექსტს რომ დაინახავს, ტირის. მეც როდემდე ვეჯდები, საგნებიც დაემატა, მერე კიდევ დაემატება... არაა, ესე იგი, საშველი...

– იცით, რა, ირინა, ყოველთვის ნაკლებად საშიშია ის, რასაც ჰქვია სახელი.

– რაღა ნიკოს დაემართა?

– სხვებს სხვა პრობლემები აქვთ და არ ვიცით. ჩვენ ხომ ჩვენი ამბებით და გრძნობებით ვართ მოცული. ვიღაცის შვილს, მაგალითად, ასთმა აქვს, რაც სიცოცხლისთვის სახიფათოა, ან კიდევ უარესი რამდენი ვერსია შეიძლება არსებობდეს.

– იცით, რას ვერ ვიგებ? აი, ჩემს შვილს რატომ უნდა გასჭირვებოდა კითხვა. მე კითხვაზე მეტად არაფერი მიყვარს, ნიკოსაც დაბადებიდან ვუკითხავდი ლექსებს, ზღაპრებს, დარწმუნებული ვიყავი, რომ კარგ მკითხველს გავზრდიდი და ბავშვი ერთ გვერდს ვერ კითხულობს. „კარლსონის“ და „ლიონებერგელი ემილის“ იქით აღარაფერი აქვს წაკითხული. ესეც, რა თქმა უნდა, მე წავუკითხე.

– კიდევ უკითხეთ.

– ასტრიდ ლინდგრენი?

– ყველაფერი, რაც გინდათ, რომ წაკითხული ჰქონდეს. პოეზია, რომანები... დამღლელია, მაგრამ სრულიად რეალურია, ამ გზით მიიყვანოთ ლიტერატურამდე. სთხოვეთ, წაიკითხოს თუნდაც სულ ცოტა, ვთქვათ, ერთი აბზაცი და მერე თქვენ გააგრძელეთ. რაღაც დროის მერე კიდევ ერთი აბზაცი წააკითხეთ. ჩვენც კი, დიდები, ინსტინქტურად ვისხლეტთ იმას, რაც რთული და საჩოთირო გვეჩვენება. რა გასაკვირია, რომ ბავშვს ჰქონდეს პროტესტი იმის მიმართ, რაც ტანჯავს?!

– და მოისმენს მაინც?

– შეურჩიეთ ის, რაც გაიტაცებს, ყველანი ხომ ჩვენი საყვარელი წიგნებით მივედით სხვა წიგნებამდე.

– როგორ მითხარით, რა ჰქვია ამ რაღაცას?

ირინამ ჩანთიდან მომცრო ლურჯი ბლოკნოტი ამოიღო – საყიდლების სიას იწერდა ხოლმე – და მასწავლებელს გაფართოებული თვალებით ახედა. გაკვირვება, იმედგაცრუება, შფოთვა, შიში, დარდი სინათლის სისწრაფით ირეოდა ამ თვალებში.

– ირინა, არაფერია საშიში, ეს რაღაც განსაკუთრებული, უიშვიათესი დარღვევა არ გეგონოთ. უამრავ ცნობილ ადამიანს აქვს დისლექსია, ამასაც ნახავთ ინტერნეტში, და ისინი არიან წარმატებულები, ბედნიერები, მათი ცხოვრების ხარისხი არის მაღალი... უბრალოდ, თქვენ, როგორც მშობელი, კარგად უნდა იყოთ ინფორმირებული, რომ დაეხმაროთ შვილს და დაიცვათ იმ შემთხვევაში, თუ ეს დასჭირდება.

ირინამ მთელი საღამო აგროვა ინფორმაცია დისლექსიის შესახებ. ყველა გამოხატულება ემთხვეოდა. რაღაცნაირად მართალი იყო ქართულის მასწავლებელი – თითქოს ნაკლებად მტკივნეული ეჩვენებოდა ის, რასაც უკვე ერქვა სახელი.

მერე იმაზე დაიწყო ფიქრი, უნდა ეთქვა თუ არა ნიკოსთვის, რატომ უჭირდა მას კითხვა, რატომ აცლიდა ქანცს პატარა აბზაცის ჩაკითხვაც კი, რატომ ერეოდა ერთმანეთში ძ და ხ, რატომ ვერაფრით განასხვავა შ და წ. ფიქრობდა, უნდა აეხსნა თუ არა ეს ყველაფერი მისთვის, უნდა სცოდნოდა თუ არა, რომ კი არ ზარმაცობდა ან ძალისხმევას კი არ აკლებდა, უბრალოდ, ასე იყო მოწყობილი მისი ტვინი, რომელიც ტექნოლოგიებს, მაგალითად, ისრუტავდა, სწრაფად კითხვას კი უარობდა. ვალდებული იყო დედა, რომ ეს ყველაფერი სცოდნოდა ნიკოს? ასე უფრო სამართლიანი იქნებოდა? ან კიდევ რით შეეძლო დახმარებოდა – ლოგოპედი ჩაერთო საქმეში? ფსიქოთერაპევტი? უარესი ხომ არ იქნებოდა ამ დარღვევაზე საუბარი, ხომ არ აღიქვამდა ბავშვი ამას რაღაც დამღად, რომელიც გამოარჩევდა მთელი კლასისგან? „მე დისლექსია მაქვს“ – არასრულფასოვნების განცდის მეტ საფრთხეს აჩენდა თუ, ვთქვათ, მეშვიდე, მერვე, მეცხრე კლასებში მარცვალ-მარცვალ, შეცდომებით კითხვა, ხელის მოწერის კომპლექსი? როდის გაჩნდებოდა კითხვები? ხმამაღალი იქნებოდა ეს კითხვები თუ მჭრელი და არდასმული?

ნიკოს ცხოვრება კი უცებ ისე გაიოლდა, დიდ ტექსტებზე დარდი ვერც მოასწრო. დინა მასწავლებელმა, ირინასთან შეხვედრის შემდეგ, დამრიგებლის დახმარებით, მისი ყველა მასწავლებელი შეკრიბა და მათ დეტალურად აუხსნა, რომ ნიკოლოზ ტაბიძეს გამართულად კითხვისა და წერის პრობლემა აქვს, რაც დისლექსიით – კითხვის შეფერხების სინდრომითაა გამოწვეული. ისაუბრა იმაზე, რომ ნიკოლოზი პასუხისმგებლობით გამოირჩევა, მაგრამ ეს სინდრომი აჩენს საფრთხეს, ბავშვს თანდათან ჩამოუყალიბდეს კომპლექსი, გახდეს დაცინვის მსხვერპლი, გაუჩნდეს კლასელებთან ურთიერთობის პრობლემა, შესძულდეს სკოლა.

განიხილეს სხვადასხვა ვერსია, მათ შორის ისიც, ხომ არ იქნებოდა მიზანშეწონილი, ნიკოლოზი მშობელს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლედ დაერეგისტრირებინა, რაც გაამარტივებდა შეღავათებს. საბოლოოდ, დინა მასწავლებლის ვერსიაზე შეჩერდნენ. მას ყოველდღიური ურთიერთობა ჰქონდა ნიკოსთან. ქართულის გაკვეთილი ყველაზე დიდი დოზით მოიცავდა კითხვის, წერის აუცილებლობას. დინა კოლეგებს უხსნიდა, რომ ნიკოლოზს არც გაკვეთილის სწავლის, არც მოყოლის პრობლემა არ ჰქონდა, ხოლო ის, რა ძალისხმევად უჯდებოდათ მას და დედამისს ეს შედეგი – ყველა თვალს მიღმა იყო. მათ მხარი უნდა დაეჭირათ ამ ძალისხმევისთვის და ეზრუნათ, რომ ბავშვს თავი განსხვავებულად არ ეგრძნო მეცადინეობაზე დახარჯული მეტი დროის გამო. დინამ ისიც თქვა, რომ ამ პროცესში ნიკოლოზის დედა იქნებოდა მათი მხარდამჭერი და თანამზრახველი.

გადაწყდა, რომ ნიკოლოზს კლასში ხმამაღლა არ წააკითხებდნენ ტექსტს, დასჯერდებოდნენ იმას, რაც დაამახსოვრდა – სახლში კითხვით, მასწავლებლისა თუ დედის მოსმენით; რომ ქულებს არ დააკლებდნენ, როცა წ-ების და შ-ების სამყაროში გზა აებნეოდა.

არც სახლში მიდიოდა საქმე ცუდად. ნიკოს თავზარს აღარ სცემდა გრძელი ტექსტები. ჩაამთავრებდა ერთ აბზაცს და დედა ენაცვლებოდა: „ოღონდ ყურადღებით მომისმინე“.

ირინამ მოგვიანებით აუხსნა, რომ ზოგი ვერ სწავლობს მათემატიკას, ზოგს არ ეხერხება უცხო ენები და ზოგს უჭირს კითხვა. უჭირთ ცნობილ ადამიანებსაც, მაგალითად, მეცნიერებს ან ჰოლივუდის ვარსკვლავებს. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვერ გაიგებ, რა წერია დიდების წიგნებში; რომ, სხვა თუ არაფერი, არსებობს აუდიოლიტერატურა; რომ ვარჯიშით, ცოტ-ცოტა, მაგრამ სისტემატური კითხვით მოვა პროგრესიც; რომ გაიზრდები და აირჩევ, რომელ პროფესიასაც გინდა, დაგაინტერესებს კონკრეტული ამბები და იკითხავ თუნდაც ნელა, მაგრამ გატაცებით.

ირინა ნიკოს ამ ყველაფერს რომ უყვებოდა, ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ურთულეს გამოცდას აბარებდა და მისი ბედი ამ გამოცდაზე იყო დამოკიდებული. უხსნიდა უკიდურესი მღელვარებით, სიფრთხილით, ზომავდა და წონიდა ყველა სიტყვას.

მაგრამ ნიკოსთვის ყველაფერი გაცილებით იოლი იყო. წესიერად აღარც ისმენდა, უკიდეგანოდ ამხიარულებდა ის ფაქტი, რომ თურმე აინშტაინმაც ვერაფრით ისწავლა წესიერად კითხვა. დანარჩენი მილიონი კარგი ტიპი, დედამ რომ ჩამოუთვალა, მის გვერდით მოსატანიც არ იყო.

ნიკო ფხუკუნებდა.

„დაჯექი, ალბერტ, არაფერი შენგან არ დადგება“.

ნინო ქადაგიძე

ანიკო მასწავლებელი

ეძღვნება სოფელ დვანის მოსწავლეებს.
ამჯერად მათი სოფლიდან იწყება, სამწუხაროდ, საქართველოს საზღვარი

ლალე, ლალე, დივლი-დალა-ლალე,
ჩემო ლამაზო სამშობლოვ, შენ კი გენაცვალე.
ხალხური

– ვაი, ანიკო, ანიკორ! დაგიდგეს ეგ არდასაყენებელი თვალები, რა დროს მოესწარი, გოგო, რა დროს მოესწარი! რამდენ რამეზე უნდა იდარდო და იხეთქო ეგ ერთი მუჭა გული, გოგო, რამდენ რამეზე! დარდს კიდე როგორი ჩათრევა სცოდნია, შენ გენაცვალე! ჯერ ერთზე დარდობ, მერე გაგახსენდება მეორე სადარდებელი, მერე – მესამე და ეპრიი!.. გასკდა ერთი მუჭა გული, შენ გენაცვალე, განა მეტიღაა ადამიანი?!

ჯერ ერთი, აბა, რაღა დროს ჩემი გამოცდებია და რამე! იტყვი, შენ გენაცვალე, წაიწუწუნებ და სულ ბრტყელ-ბრტყელად მოგაყრიან. გწვდებიან ყანყრატოში და გამოგაცლიან, განა დაგინდობენ. პენსიონერები სახლში დასხედით, მომავალ თაობას დაუთმეთ, ბატონო, ასპარეზიო. არა, განა ტყუიან, მაგრამ სოფელი რომ აღარავის უნდა! თან ამ საზღვრისპირა ზოლზე, სროლების ბათქაბუთქში, ამ კოჭებამდე ტლაპო-ტალახში! რომელი მომავალი გაგიჩერდება, შენ გენაცვალე! აგე, რამდენი ბავშვიც სკოლას დაამთავრებს, ისინიც უკანმოუხედავად გარბიან. ვერც ვამტყუნებ, მაგრამ მედარდება. ისე იზრდებიან, ისე ეკიდებიან ოჯახებს და ქალ-კაცობაში შედიან, თუ ჩამოივლიან წელიწადში ერთხელ პაპა-ბებიას სასაფლაოზე, სააღდგომოდ. მანქანებში კიდე სუ ვეღარა ვცნობ მაგ მამაძაღლებს, რომელი რომელია, რა ვიცი. გამარჯობა, ანიკო მასწავლებელოო! – მერეღა მივხვდები ხოლმე ხმაზე. ჩამოვლენ-მეთქი, ჩამოვლენ რა, სასაფლაოც მავთულხლართით თუ არ დახვდათ შემობურდული. მოიწევენ ოკუპანტები და თან ითრევენ მკვდარსაც, ცოცხალსაც, ჩიტსაც, ქვასაც, ღრუბლის ნაგლეჯსაც, შენ გენაცვალე! წავიდნენ ეს ბავშვები, წავიდნენ, განა არ უნდა წავიდნენ, ისწავლონ, ნახონ დედაქალაქი, თვალი აახილონ, მაგრამ მენანება ეს დადუმებული სახლები, მიყუჩებული არემარე, გაუდაბურებული აქაურობა. რო აღარავინ იცხოვრებს, გადმოვა რუსი და დაეპატრონება, მა განა დაგიხვალიებს! გადმოსწევს იმ თავის რკინის ხელ-ფეხს და შემოუჭერს ჩვენს ეზო-კარსაც და ჩამოვა ეგე თბილისშიაც. დაეხლართოთ მაგათ აგრემც ეგ რკინის ხელ-ფეხი! მაგრამ გმირები არიან ეს ჩვენი სოფლის ბავშვები, შენ გენაცვალე. სკოლიდან რუსების სამხედრო ბაზამდე სულ ას ოცი ნაბიჯია, გადათვლილი მაქვს. საცრისოდენა თვალებით იხედებიან, ყურს უგდებენ, სერს გადაღმა როგორ ატარებენ რუსი ჯარისკაცები წვრთნებს, როგორ ისვრიან და აფეთქებენ. სერს გადმოღმა ესენი კიდე კლასში „აი ია“-სა კითხულობენ.

თქვენ მოგიკვდეთ თქვენი ანიკო მასწავლებელი, თქვე პატარა გმირებო, თქვე მამაძაღლებო, თქვენა!

ნუ ეძახი, ქალო, მოსწავლეებს მამაძაღლებს, მასწავლებლის მეტყველებას არ შეეფერებაო! ამათმა მზემ! დახეული ჩულქებით სიარული ხო შეეფერება! თან მე, შენ გენაცვალე, ისეთ ასაკში ვარ, მამაძაღლის თქმაც მეკუთვნის. სუ ჩემ ხელში არ გამოიზარდნენ მშობლებიან-შვილებიანად ეს მართლა მამაძაღლები, ესენი?! აგე,

კიდე წამომცდა! მამაძაღლი არ არის ქოჩორა ვალიკოს ბიჭი, მა რა არის. დაღლილ-დაქანცული ქარელის ბაზრიდანა ვბრუნდებოდი, იმსიმძიმე ჩანთებს მოვათრევდი და ადგილი დამითმო ავტობუსში. ეგ კი ისე მესიამოვნა, ვლოცე და ვლოცე მონაგარით, ნაშიერებით, მაგრამ ჩასვლისას იმ მამაძაღლს ოცლარიანი დავარდნია, ფეხებთან რომ მედგა ჩანთა, იმ ჩანთაზე. სახლში მისულმა არ შევამჩნიე?! ხელახლა გადავიცვი ეს საწოლის თავზე გადაკიდებული კაბა, საჩეხში დაყრილ ფეხსაცმელებში წავყავი ეს უძლური ფეხები და სუ ოფლის ღვრით ავიარე ის აღმართი. არც მანქანიანი შემხვდა ვინმე და არც უმანქანო. ეზო შევხსენი, დავიძახე და ანიკო მასწავლებელო, თქვენაო? რამ შეგაწუხათო? შენმა ოცლარიანმა-მეთქი, შე მამაძაღლო! ბევრი ფული გაქ, რო ესე გარე-გარე ფანტავ-მეთქი და ვერ ჩაგიკუჭია ჯიბეში? ამის გულისთვის ამოვიარე ეს გულშევარდნილი აღმართი-მეთქი. გაწითლდა პატარა ბიჭივით ეგ მართლა მამაძაღლი, ეგა! დიდი მადლობაო, დარცხვენილმა. იმისმა ცოლმა კიდე სკამი გამომირბენინა, ჩამოისვენეთო, და ჭიქით წყალი გამომიწოდა. მაგ ოცლარიანის სასესხებლად გადავიდა გვერდზე სოფელში ეს ბეჩავიო. გაწბილებული კი მოვიდა სახლში, დანა პირს არ უხსნიდა და ვერ გავიგე, რა დაემართაო. კარგად მენახეთ-მეთქი, თქვენ გენაცვალეთ, კარგად მენახეთ! კიდევ კარგი, ჩემს ჩანთაზე დავარდა და არა სხვა ალაგას-მეთქი. მადლობა, ანიკო მასწავლებელოო.

ჰოდა, ახლა მითხრეს, ამოცანა მოგივა და ღია პასუხი დაუწერეო. რაც მოითხოვს სიტუაციის ანალიზს, პრობლემის დაძლევაზე ორიენტირებული აქტივობების აღწერასა და შესაძლო შედეგების შეფასებასო. ახლა ოცლარიანი კი არა და ორლარიანიც რომ გდებულიყო იმ ჩემს ჩანთაზე, მაინც იმ აღმართს ავასკდებოდი, შენ გენაცვალე! მაგას როგორ ვიკადრებდი, დამეტოვებინა სხვისი ფული, მე ბავშვებსაც ეგრე ვასწავლი. აბა, ამ ამოცანაში როგორ დავწერო, ჩემი მოსწავლეები პატიოსნები არიან, პატარა გმირები, თავსა და გულს უშვერენ, ხან მშიერ კუჭსაც, დაღლილ ხელებსაც, ძროხაში ნამწყემს ფეხებსაც იმ ოხერ ოკუპაციას-მეთქი. ძროხების მწყემსვაზე გამახსენდა. არ დაუჭერია ეს ჩვენი ჩია ვანო რუს ჯარისკაცს და მიათრევს ავტომატმიშვერილი?! რო გამოვენთე ბაღჩიდან და გადავუდექი! განა შემეშინდა! ქვა და ეკალი, ქვა და ხვინჭა – რაც ხელში მომხვდა მიწიდან, სუ ზედ ვაყარე. დაიცა, სალდატ, სად მიგყავს-მეთქი ეს ჩვენი ჩია ვანო, ქართველი კაცი ციხისთვის არ არის-მეთქი გაჩენილი, არა! შენ გენაცვალე! შემომიბღვირა. სტარუხა, ზამრი, სტრილიატ ბუდუო!

სტარუხა დედაშენია-მეთქი, შე მამაძაღლო! რო ვეცი და გამოვდღლიზე ეს ჩემი ვანო, საით დავარდა, აღარც შევხედე. ვიყვირე, ვიკივლე, სულ კბილით გავწიწკნიდი იმ რუს ჯარისკაცს, ისე გავმწარდი. არა, განა ვანო არ მიშლიდა სკოლაში ნერვებს, რანაირი ტლუ ბავშვი იყო. ეგ ოხერი თითი კიდე ცხვირიდან ვერ გამოვაღებინე, მაგრამ საცოდავი ბავშვი იყო ყოველთვის. უჭირდა მაგათ ოჯახს და ზამთარში იმ ყინვა-ყიამათში თხელძირა ფეხსაცმლით დადიოდა თოვლში. ეტყობა, გაცივდა ეს საცოდავი და ხანდისხან გაკვეთილზე ეპარებოდა ხოლმე. აბა, მაგას როგორ გავაგებინებდი ბავშვებს. სკამიდან ვერა დგებოდა ეს საბრალო. პირველად როცა შევამჩნიე, ყველა გავუშვი, ვანოსთან საქმე მაქვს-მეთქი. კარი მიეხურე, მასწავლებლის მაგიდის მუშამბა მოვახვიე ტანზე, არ დაიმორცხვოს-მეთქი. გავაძრე ის თითგამოვარდნილი რეიტუზიცა და გახეხილი შარვალიც და აგუგუნებულ ღუმელთან სკამზე მივუფინ-მივუშრე, ისე გავუშვი სახლში. როგორი მეტყველი თვალები ჰქონდა, როგორ მდუმარედა მმადლობდა. ახლაც რუსის ჯარისკაცს რომ გამოვტაცე ხელიდან, ეგეთი მავედრებელ-მადლიერი თვალებით მიცქერდა. აბა, ან ეს ამბავი რანაირად უნდა აღვწერო სტრატეგიებში. მერე კიდე კარადაში ჩემი ძმიშვილის ნაქონი, დაპატარავებული რეიტუზშარვალი დავაგდე, თუკი ვინმეს მარცხი მოუვა, შევეშველო-მეთქი.

კიდევ რა ოინი მახსენდება, იცი? საახალწლოდ პატარა ლურსმნები გვჭირდებოდა კლასის გასაფორმებლად. ჩვენი მეზობელი პლატონა დურგალი იყო და ყველა ზომის ლურსმანი ეყარა ხის ყუთებში. რევაზის ბიჭი არ მომადგა, მასწავლებელო, აი, სამი ცალი ლურსმანი, პლატონა ძიასგან ავიღეო? დაეკითხე თუ დაუკითხავადა-მეთქი? თავი ჩაღუნა. სულ ცეცხლი წამეკიდა. არ დავტუქსე, მაგრამ გაკვეთილების შემდეგ გამომყევი-მეთქი, შე მამაძაღლო, ძია პლატონასთან. არა რა, მასწავლებელო, მეტს აღარ ვიზამო. ხელი მოვკიდე და წავათრიე. რო გეუბნები-მეთქი, მომყევი. პლატონასთან შესულმა ის ლურსმნები ყუთში ჩუმად ჩავაბრუნე. მეთქი – პლატონ, შენ გენაცვალე, საკლასო ოთახისთვისა მჭირდება რამდენიმე ლურსმანი და თუ დაგვითმობ, თუ არა და თანხას გადავიხდი. რას ამბობ, ანიკო მასწავლებელო, სამ ცალ ლურსმანში რა უნდა გადაგახდევინოო, და ერთი მუჭა გადამიხვია გაზეთში.

სუ გაბადრული გამომყვა რევაზის ბიჭი, მასწავლებელო, სამი ცალი დავაბრუნეთ და რამდენი გვაჩუქესო. ეგრე იცის-მეთქი, შე მამაძაღლო, პატიოსნად მოქცევამ. შენ არაფერი აიღო დაუკითხავად და არ მოიპარო და მისაღებს მიიღებ-მეთქი, შენ გენაცვალე, ყოველთვის.

ის კიდე, ისა, ცარიელი ძვალი და ტყავი, პეპელასავით მსუბუქი როა ლეილას მეშვიდე გოგო. რანაირი გამხდარია და კაფანდარა, სულ მგონია, მშიერი აქვს ის კუჭ-სტომაქი. მგონია კი არა, მშიერი დაკანკალებს. დედამისი ვერ ატანს, ეტყობა, სახლიდან ხემსს, ფული

მაგათ არა აქვთ, შენ გენაცვალე, ბუფეტისათვის და იზოს კარტოფი-ლის ღვეზელებს გადავადებინებდი ხოლმე მთელი თვე, დედაშენმა დამიტოვა ფული და ჭამე-მეთქი, შე მამაძაღლო!

რა ვიცი მე, საკუთარი გამოცდილებიდან დაწერეთო. რა დავწე-რო, თქვენ გენაცვალეთ, რომელი ერთი, რომელი მიესადაგება ახლა თქვენს შეფასების სქემას, ლეილას მშიერი გოგო, ჩაფსუტული ჩია ვანო, საახალწლოდ მოპარული სამი ლურსმანი, ეს ჩემი დახეული ჩულქი თუ ამ საზღვრისპირა, ნახევრად დაცარიელებული სოფლის სევდა?

რომელი ერთი დავწერო და რომელ ერთზე ვიხეთქო ეს ერთი მუჭა გული, თქვენ გენაცვალეთ!



ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:
„კვლევაზე დაფუძნებული სწავლება“

სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

mastsavlebeli.ge

კონკურსის პარტნიორი

ღიპვერთი

ლიტერატურული კონკურსის მხარდამჭერები

მუზეუმების ბაქჩიანება
THE UNION OF MUSEUMS

APC Georgia
www.chemistry.ge

გამომცემლობა
ინტელექტი

სულაკაურის
გამომცემლობა

WWW.TPDC.GE